CIAN MAGENTA YALLOW BLACK

ალია

N124/3054/ 27 აგვისტო 2014 წ ფასი 1 ლარი

ორშაბათი ქრონიკა სამშაბათი ალია ოთხშაბათი ალია ხუთშაბათი ალია პარასკევი ალია

„ძალაუფლება რყვნის, აბსოლუტური ძალაუფლება რყვნის აბსოლუტურად!!!“ ლორდი ექტონი 1877 წელი

WWW.ALIA.GE გამოდის 1995 წლიდან

## ყვითელი ავტობუსების მძღოლები გაფიცვისთვის ემზადებიან?



# გიგა ბოკერია და გივი თარგამაძე მხარდამჭერ ახალგაზრდებს პროვოკაციებისთვის ამზადებენ



თემურ შაშიაშვილი: „ორი ისეთი პიროვნება აღმოვაჩინე „ქართულ ოცნებაში“, ეს ადამიანები ხალხს ეზიზღებოდა, მაგრამ ბიძინას ხათრით ესენიც კი აირჩიეს. ესენი აზრზე არ არიან, რა ტალღა შეიძლება აგორდეს მათ წინააღმდეგ“

## რა შედეგს მოიტანს პუტინისა და პოროშენკოს შეხვედრა?

## პეტრე მამრაძე: „ღარიბაშვილი უსუფაშვილს აღარ ენდობა და სანდო ინფორმატორისგან ვიცი, პარლამენტის ნამდვილი თავმჯდომარე არის გია ვოლსკი“



ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## 94 ქვეყნის სია, რომელსაც საქართველოსთან უვიზო მიმოსვლა ექნება



2014 წლის 1-ლი სექტემბრიდან ძალაში შედის „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს ახალი კანონი. გთავაზობთ იმ ქვეყნების ჩამონათვალს, რომელთა მოქალაქეებსაც შეუძლიათ საქართველოში უვიზოდ შემოსვლა მოკლევადიანი მიზნებისთვის:

1. ავსტრალიის თანამეგობრობა; 2. ავსტრიის რესპუბლიკა; 3. აზერბაიჯანის რესპუბლიკა; 4. ალბანეთის რესპუბლიკა; 5. ამერიკის შეერთებული შტატები; 6. ანდორის სამთავრო; 7. ანტიგუა და ბარბუდა; 8. არაბთა გაერთიანებული საამიროები; 9. არგენტინის რესპუბლიკა; 10. ახალი ზელანდია; 11. ბარბადოსი; 12. ბაჰრეინის სამეფო; 13. ბაჰამის თანამეგობრობა; 14. ბელარუსის რესპუბლიკა; 15. ბელგიის სამეფო; 16. ბელიზი; 17. ბოსნია და ჰერცეგოვინა; 18. ბოტსვანის რესპუბლიკა; 19. ბრაზილიის ფედერაციული რესპუბლიკა; 20. ბრუნეი-დარუსალამი; 21. ბულგარეთის რესპუბლიკა; 22. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა; 23. დანიის სამეფო; 24. დანიის სამეფოს ტერიტორიები – ფარერის კუნძულები და გრენლანდია; 25. დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფო; 26. დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს საზღვარგარეთის ტერიტორიები – ბერმუდის კუნძულები, კაიმანის კუნძულები, ბრიტანეთის ვირჯინიის კუნძულები, ფოლკლენდის კუნძულები, ტერკსის და კაიკოსის კუნძულები, გიბრალტარი; 27. დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს დამოკიდებული ტერიტორიები – ჯერზი, გერნზი, კუნძული მენი; 28. დომინიკის რესპუბლიკა; 29. ელ-სალვადორი; 30. ეკვადორის რესპუბლიკა; 31. ესპანეთის სამეფო; 32. ესტონეთის რესპუბლიკა; 33. თურქეთის რესპუბლიკა; 34. თურქმენეთი; 35. იაპონია; 36. ირლანდიის რესპუბლიკა; 37. ისლანდია; 38. ისრაელის სახელმწიფო; 39. იტალიის რესპუბლიკა; 40. კანადა; 41. ყატარის სახელმწიფო; 42. კვიპროსის რესპუბლიკა; 43. კოლუმბიის რესპუბლიკა; 44. კორეის რესპუბლიკა; 45. კოსტა-რიკის რესპუბლიკა; 46 ლატვიის რესპუბლიკა; 47. ლიტვის რესპუბლიკა; 48. ლიბანის რესპუბლიკა; 49. ლიხტენშტაინის სამთავრო; 50. ლუქსემბურგის დიდი საჰერცოგო; 51. მავრიკის რესპუბლიკა; 52. მალაიზია; 53. მალტის რესპუბლიკა; 54. მექსიკის შეერთებული შტატები; 55. მონაკოს სამთავრო; 56. მოლდოვის რესპუბლიკა; 57. მონტენეგრო; 58. ნიდერლანდების სამეფო; 59. ნიდერლანდის სამეფოს ტერიტორიები – არუბისა და ნიდერლანდის ანტილის კუნძულები; 60. ნორვეგიის სამეფო; 61. ომანის სასულთნო; 62 პანამის რესპუბლიკა; 63. პოლონეთის რესპუბლიკა; 64. პორტუგალიის რესპუბლიკა; 65. რუმინეთი; 66. რუსეთის ფედერაცია; 67. საბერძნეთის რესპუბლიკა; 68. სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა; 69. სან-მარინოს რესპუბლიკა; 70. საუდის არაბეთის სამეფო; 71. საფრანგეთის რესპუბლიკა; 72. საფრანგეთის რესპუბლიკის ტერიტორიები – საფრანგეთის პოლინეზია და ახალი კალედონია; 73. სეიშელის კუნძულები; 74. სენტ-ვისენტი და გრენადინები; 75. სერბეთის რესპუბლიკა; 76. სინგაპურის რესპუბლიკა; 77. სლოვაკეთის რესპუბლიკა; 78. სლოვენიის რესპუბლიკა; 79. სომხეთის რესპუბლიკა; 80. ტაილანდის სამეფო; 81. ტაჯიკეთის რესპუბლიკა; 82. უზბეკეთის რესპუბლიკა; 83. უკრაინა; 84. უნგრეთი; 85. ფინეთის რესპუბლიკა; 86. ქუვეითის სახელმწიფო; 87. ყირგიზეთის რესპუბლიკა; 88. ყაზახეთის რესპუბლიკა; 89. შვედეთის სამეფო; 90. შვეიცარიის კონფედერაცია; 91. ჩეხეთის რესპუბლიკა; 92. წმინდა საყდარი; 93. ხორვატიის რესპუბლიკა; 94. ჰონდურასის რესპუბლიკა.

ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების მოქალაქეებს საქართველოში შემოსვლა შეუძლიათ სამგზავრო დოკუმენტის, ასევე ევროკავშირის წევრი სახელმწიფოს მიერ გაცემული პირადობის მოწმობის საფუძველზე.

საქართველოში უვიზოდ შემოსვლისა და ნებისმიერ 180-დღიან პერიოდში 90 კალენდარული დღის ვადით უვიზოდ ყოფნის უფლება აქვთ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ან მისი სპეციალიზებული სააგენტოების მიერ გაცემული სამგზავრო დოკუმენტის – ლესე-პასეს (Laissez-Passer) მფლობელ უცხოელებს. იგივე წესი ვრცელდება იმ ქვეყნის მოქალაქეებზეც, რომლებთანაც საქართველოს აქვს ორმხრივი და მრავალმხრივი შეთანხმებები უვიზო მიმოსვლის შესახებ, რომელშიც არ არის გათვალისწინებული საქართველოს ტერიტორიაზე ყოფნის კონკრეტული ვადები (აზერბაიჯანი, ბელარუსი, სომხეთი, ტაჯიკეთი, მოლდოვა, უზბეკეთი, უკრაინა, ყირგიზეთი). (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## მწერების სიმრავლის გამო ბათუმში რესტორნები დახურა



ბათუმში რამდენიმე რესტორანს საწარმოო პროცესი შეუჩერდა. სურსათის ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით, ბათუმში, ქუთაისის ქუჩაზე მდებარე რესტორნები – „სოფრაზ“ (ი/მ „ზექი კარტალი“), „მარტი“ (შპს „OFKAY“) და „HB“ (შპს „pepe“); გამსახურდიას ქუჩაზე – რესტორანი „ბასრა“ (შპს „Al Hadi“) შემოწმდა.

გეგმური ინსპექტირებისას რესტორნებში აღმოჩნდა კრიტიკული შეუსაბამობები – ტექნოლოგიური პროცესის ნაკადურობის დარღვევა, კონდენსატის წარმოქმნა დაკიდულ კონსტრუქციებზე, მწერები სურსათის წარმოებისა და გადამუშავების ადგილას, აღჭურვილობების არასათანადო დასუფთავება-დეზინფიცირება, ხორცის შენახვის არასათანადო ტემპერატურული რეჟიმი.

ერთ-ერთმა ბიზნესოპერატორმა ვერ წარმოადგინა ხორცის კეთილსაიმედოობის დამადასტურებელი დოკუმენტი – ვეტერინარული მოწმობა – ფორმა №2. აღნიშნული დარღვევების გამო რესტორნებს – „სოფრაზ“-ს, „მარტს“, „HB“-ს და „ბასრას“ შეუჩერდა საწარმოო პროცესი და ბიზნესოპერატორები 1000-1000 ლარით დაჯარიმდნენ. (kvira.ge)

## სკოლებში მასწავლებლის, დირექტორისა და მოსწავლის ეთიკის განახლებული კოდექსი ამოქმედდება




მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრს, მასწავლებლისა და დირექტორის ეთიკის კოდექსსა და მოსწავლის ქცევის კოდექსის ცვლილებაზე მუშაობა უკვე დაწყებული აქვს.

განახლებული დოკუმენტის შემუშავებაში აქტიურად არიან ჩართული არასამთავრობო ორგანიზაციები და სახალხო დამცველის აპარატი. მკვეთრად არის გამოყოფილი ისეთი საკითხები, როგორიცაა რელიგიური შემწყნარებლობა, ბავშვთა უფლებების დაცვა, არაძალადობრივი ქმედებების იდენტიფიცირება.

ეთიკის კოდექსის საფუძველზე, ყველა სკოლას შინაგანაწესის შემუშავება დაევალება, რომლის მიხედვითაც ეთიკის კოდექსის დაცვა გაკონტროლდება. ცნობილია ისიც, რომ ამ ეტაპზე, არსებულ კოდექსს რაიმე კონტროლის მექანიზმი არ გააჩნია. (რეპორტიორი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## რუსეთის რეგულარული არმია უკრაინაში შეიჭრა



რუსეთის რეგულარული არმია ტაგანროგის მხრიდან უკრაინის ტერიტორიაზე შეიჭრა, ნოვოაზოვსკის მიმართულებით გადაადგილდება და ბლოკსაგუშაგოებს აყენებს. ინფორმაციას ამის შესახებ „ფეისბუკის“ გვერდზე ტელეკომპანია „ინტერის“ ჟურნალისტი რომან ბუჩკალა აქვეყნებს. მისი თქმით, ამის შესახებ ინფორმაციას მესაზღვრეები და მოხალისეთა ბატალიონის მებრძოლები ავრცელებენ, რომლებიც ამ დროისთვის იმ რაიონში იმყოფებიან. „რუსეთის მხრიდან 30 ტანკი, დაჯავშნილი ტექნიკა და ცოცხალი ძალა შემოვიდა. ისინი უკრაინის სიღრმეში რვა კილომეტრზე იმყოფებიან და ექვს საზღვრისპირა სოფელს აკონტროლებენ“, – წერს ჟურნალისტი. მისივე ინფორმაციით, ოკუპანტები ბლოკსაგუშაგოებს ამაგრებენ და ნოვოაზოვსკის გარეუბნებში სროლები ისმის. ასევე, რუსულ არმიას ე.წ. დონეცკის რესპუბლიკის მებრძოლები შემოჰყვნენ, რომლებიც ადგილობრივ მოსახლეობას სთხოვენ, ცოტა ხანი მოითმინონ და ყველაფერი კარგად იქნება. ჟურნალისტის ინფორმაციით, უკრაინული არმიის ქვედანაყოფები იძულებული არიან, უკან დაიხიონ, ისინი დახმარებას ითხოვენ, წინააღმდეგ შემთხვევაში ნოვოაზოვსკის შენარჩუნებას ვერ შეძლებენ და მარიუპოლზე გზა გაიხსნება. არიან დაღუპულები და დაჭრილები (პირველი რადიო)

## ივლისში, საბანკო სექტორის წმინდა მოგებამ 50 მლნ ლარი შეადგინა



საქართველოს ეროვნული ბანკის მონაცემებით, გასული თვე საბანკო სექტორმა მოგებით დაამთავრა. ივლისის წმინდა მოგებამ 50.0 მლნ ლარი შეადგინა.

2014 წლის ივნისთან შედარებით, საქართველოს კომერციული ბანკების მთლიანი აქტივები (მიმდინარე ფასებში) 0.1 მლრდ ლარით, ანუ 0.6 პროცენტით გაიზარდა და 18.4 მლრდ ლარი შეადგინა.

საბანკო სექტორის საკუთარი სახსრები 3.2 მლრდ ლარს შეადგენს, რაც კომერციული ბანკების მთლიანი აქტივების 17.7 პროცენტია. უცხოური კაპიტალის მონაწილეობა ბანკების მთლიან განაღდებულ საწესდებო კაპიტალში 78.5 პროცენტი იყო. ხუთი უმსხვილესი აქტივების მქონე ბანკის წილმა საბანკო სექტორის მთლიან აქტივებში 76.1 პროცენტი შეადგინა.

2014 წლის 1-ლი აგვისტოს მდგომარეობით, საქართველოს საბანკო სექტორი 21 კომერციული ბანკითაა წარმოდგენილი; მათ შორის 17 – საწესდებო კაპიტალში უცხოური კაპიტალის მონაწილეობით და 2 – უცხოური ბანკის ფილიალით.

2014 წლის ივნისში საბანკო სექტორის წმინდა მოგებამ 54.9 მლნ ლარი შეადგინა. (ნეტგაზეთი)

## მიხეილ სააკაშვილი: „აბა რა ჰქვია იმას, როცა რუსული ტანკები და სამხედრო დანაყოფები არიან უკრაინის ტერიტორიაზე“



საქართველოს ყოფილმა პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ტელეკომპანია Fox news-ის სტუდიაში, მინსკში პრეზიდენტ პოროშენკოსა და ვლადიმერ პუტინს შორის დაგეგმილ შესაძლო შეხვედრაზე ისაუბრა:

„მთელი სამიტი ამ შეხვედრისთვის დაიგეგმა, ეს ძალიან ჰგავს პუტინის სტილს. ის იგივეს კიდევ და კიდევ იმეორებს, არის თუ არა ეს ინტერვენცია. აბა, რა ჰქვია იმას, როცა რუსული ტანკები და სამხედრო დანაყოფები არიან უკრაინის ტერიტორიაზე, არტილერია კი უკრაინას ბომბავს. მოლაპარაკებები 26 აგვისტოს დაემთხვა, ეს არის დღე, როცა რუსეთმა განახორციელა ე.წ. აღიარება აფხაზეთისა და ცხინვალის. დღეს იუბილეა და ჩვენ უნდა გამოვიტანოთ დასკვნები, პოროშენკო ახლა რთულ სიტუაციაშია, პუტინი ეცდება, ეს შეხვედრა საკუთარი დღის წესრიგისთვის გამოიყენოს. მიზანი კი როგორც ტერიტორიის მითვისება, ასევე უკრაინის დემოკრატიის იდეის მოკვლაა“, – განაცხადა სააკაშვილმა. (news.ge)

## „პოლიციელები დაკავებულს შვიდი-ათი წუთის განმავლობაში სცემდნენ“

„ადამიანის უფლებათა ცენტრის“ წარმომადგენლები პოლიციაში 24 წლის ახალგაზრდის ცემის ფაქტზე საუბრობენ. იურისტების მტკიცებით, 24 აგვისტოს, ღამის 2 საათზე გიორგი ცომაია მისივე უბნის პოლიციის განყოფილებაში მივიდა და მორიგე პოლიციელს, წინა პატიმრობისას პოლიციის მიერ ამოღებული ნივთების დაბრუნება სთხოვა. ოჯახის წევრებისა და ადვოკატების მტკიცებით, აღნიშნულ მოთხოვნას პოლიციალების მხრიდან შეურაცხყოფა მოჰყვა. „გიორგის არ დაარეკინეს სახლში. მისი უფლება ხომ იყო ერთი ზარის განხორციელება. მერე სცემეს უმოწყალოდ. ვითხოვ, რომ გამოიძიოს ეს საქმე და ვინც დასასჯელია, უნდა დაისაჯოს. დღეს ჩემს შვილს სცემენ, ხვალ სხვის შვილს სცემენ და ა.შ“. – აცხადებს ცომაიას დედა.

ადვოკატი თამარ ავალიანი კი ამბობს, რომ: „შვიდი-ათი წუთის განმავლობაში სცემდნენ პოლიციის შენობაში. ვთქვათ იმ ვერსიით, რომ თითქოს წინააღმდეგობას უწევდა პოლიციას და თავდასხმა განახორციელა პოლიციაზე, მათივე ვერსიასაც რომ გავყვეთ, ერთი მოქალაქე რაოდენ აგრესიულიც არ უნდა იყოს, შესაძლებელია ისე გააუვნებელყოს პოლიციამ, რომ თერთმეტი პოლიციელის ცემა არ დასჭირდეს და პოლიცია ზოგადად არ უნდა სცემდეს მოქალაქეს. დროებით მოთავსების იზოლატორმა არ მიიღო იმ მიზეზით, რომ ის იყო ძალიან მძიმედ ნაცემი და აქ არ გარდაიცვალოსო და, შესაბამისად, ჩვენ მას ვერ მივიღებთ, სანამ ფორმა ასს არ წარმოგვიდგენთო და ზუსტად, მას შემდეგ, რაც ეს იზოლატრომა მოითხოვა, ყიფშიძის სახელობის კლინიკაში ცომაიას ჩაუტარდა გამოკვლევები, დათვალიერება“, – აღნიშნავს ადვოკატი.

შსს-ში ცომაიას ცემის ფაქტს არ ადასტურებენ და განმარტავენ, რომ ფიზიკური შეურაცხყოფა თავად ცომაიამ მიაყენა მორიგე პოლიციელს: „აღნიშნული პიროვნება დაკავებულია პოლიციელზე თავდასხმის ფაქტზე საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 353-ე მუხლის პირველი ნაწილით. აღნიშნული პიროვნება ღამის ორ საათზე მივიდა პოლიციის შენობაში, სადაც იქ მყოფ მორიგეს მიაყენა სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა, რასაც მოჰყვა მისი დაკავება. რაც შეეხება მისი ცემის ფაქტს, ამ ფაქტს ჩვენ არ ვადასტურებთ“, – განაცხადა შსს-ს საზოგადოებრივ საქმეთა დეპარტამენტის დირექტორმა ნინო გიორგობიანმა. (news.ge)

რეკლამა: ☎ 2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge




უფროსად დანიშნეს 70 წელს გადაცილებული ქალბატონი და საქართველოში ამბობენ, 70 წლის ადამიანი ცოცხალი რატომ არისო? უნდა ვაღიარო, მთავრობის თავმჯდომარე სწორად იქცევა, რომ „ენდიაის" დამფუძნებელს, სოროსელსა და „თავისუფლების" ინსტიტუტის შემქმნელს უპირისპირდება. ვგულისხმობ მარგველაშვილს, რომელშიც დასავლეთში მოღვაწე სექტანტებმა ყველაზე დიდი ფული ჩადეს და კადრებიც მოამზადებინეს. ადრეც გითხარით და ვიმეორებ: ამ ადამიანს ჯერ კიდევ სააკაშვილის რეჟიმის პერიოდში შეუქმნეს უნივერსიტეტი და თვითონ იღებდა იმდენს, რამდენსაც იღებს ჩვენი დედა უნივერსიტეტის ყველა პროფესორი. როგორ გგონიათ, ამას შემთხვევით აკეთებდნენ? მარგველაშვილი სახიფათო კაცია ქართული იდეოლოგიისთვის, ეს უნდა სცოდნოდა ბიძინა ივანიშვილს,

**„ორი ისეთი პიროვნება აღმოვაჩინე „ქართული ოცნების" რიგებში, ორი ისეთი პიროვნება ვნახე დაწინაურებული, თავის დროზე შევარდნაძეს ვუთხარი, მაგათი დეპუტატობა როგორ შეიძლება-მეთქი? ეს ადამიანები ხალხს ეზიზღებოდა, მაგრამ ახლა ბიძინას ხათრით ესენიც კი აირჩიეს. ესენი აზრზე არ არიან, რა ტალღა შეიძლება აგორდეს მათ წინააღმდეგ"**

მოსწონდა, მაგრამ წავიდა კომპრომისზე. როდესაც ის პრემიერ-მინისტრი გახდა, შეეძლო ეთქვა, თუ გინდათ, ყველაფერი წაიღეთ, მაგრამ არ იქნება არავითარი კომპრომისი. მას ჰქონდა ოქროს დრო და ეს დრო გაუშვა ხელიდან. რასაც გამსახურდია ლაპარაკობდა ხელისუფლებაში მოსვლამდე, იმის საწინააღმდეგო მოქმედებები დაიწყო მოსვლის შემდა, რომ მოვიდა, სხვანაირად დაინახა და დააჩქარა თავისი წასვლა. სააკაშვილი როგორც მოვიდა, ისე წავიდა, მას დავალებების მიცემაც კი არ სჭირდებოდა. ამიტომ ვამბობ, რომ დღეს არ არის ეს ადამიანი პრობლემა, ბოლოს და ბოლოს, ერთი ჩამშვები „კაგებეშნიკია", სკოლაში ბავშვებს უშვებდა, „შატალოზე" წავიდნენო. ეს იყო თავიდანვე არაკაცი

# თემურ შაშიაშვილი: „ორი ისეთი პიროვნება აღმოვაჩინე „ქართულ ოცნებაში", ეს ადამიანები ხალხს ეზიზღებოდა, მაგრამ ბიძინას ხათრით ესენიც კი აირჩიეს. ესენი აზრზე არ არიან, რა ტალღა შეიძლება აგორდეს მათ წინააღმდეგ"

„ალიას" ესაუბრება „სახალხო კრების" ერთ-ერთი ლიდერი, **თემურ შაშიაშვილი:**

**— ბატონო თემურ, ბოლო დროს თქვენ დაჟინებით აცხადებთ, რომ უკვე აივსო მოთმინების ფიალა და საჭიროა გადამწყვეტი ნაბიჯების გადადგმა. რას აპირებთ და გადამწყვეტ ნაბიჯებში რას გულისხმობთ?**

– დღეს საქართველოში ყველა ლაპარაკობს წარსულზე. კი ბატონო, პროკურატურამ უნდა იმუშაოს წარსულზე, პოლიციამაც, თუ ვინმეს დანაშაული აქვს ჩადენილი, უნდა დაისაჯოს, მაგრამ ხელისუფლება ორიენტირებული უნდა იყოს მომავალზე, ლაპარაკია მხოლოდ იმაზე, რა იყო გუშინ და გუშინწინ. მიმაჩნია, რომ დღეს სააკაშვილი არ არის საქართველოს პრობლემა, არც მარგველაშვილია პრობლემა, არც „ნაცმოძრაობაა" პრობლემა, ჩვენი პრობლემა უფრო ღრმაა, ამ ზედაპირულმა მიდგომამ წალეკა ქვეყანა.

**— იქნებ დავაკონკრეტოთ, პრობლემა არის ხელისუფლებაში წარმოშობილი უთანხმოება? მარგველაშვილი წამდაუწუმ იძახის: მე ახლა წავალ, გავაძლიერებ უშიშროების საბჭოს, გავაძლიერებ ჩემს უფლებებს და ასე შემდეგ.**

– აი, ესეც სწორედ იქიდან მოდის, რაზეც მე ვლაპარაკობ. წეღან ვთქვი, სააკაშვილი არ არის-მეთქი პრობლემა... დიახ, პრობლემა არის ის იდეოლოგია, რომელსაც ემსხვერპლა სააკაშვილი. იგივე იდეოლოგიის მსხვერპლია მარგველაშვილი და ხელისუფლების ნახევარზე მეტი. დიდი დაკვირვებაც არ არის საჭირო, აშკარად ვხედავთ, რომ „თავისუფლების ინსტიტუტის" კადრები მოედვნენ მთელ ქვეყანას. ასევე მოედვნენ „ენდიაის" კადრები, „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის" კადრები, „ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციის" კადრები, უცხოეთიდან დაფინანსებული არასამთავრობოები. ამერიკაში საფინანსო სამსახურის რომელმაც თქვა, თუ ეს კაცი პირველ ტურში არ გაიმარჯვებს, მეორე ტურში მონაწილეობას აღარ მიიღებსო. ბატონი ბიძინა ლამის დაჩოქილი ეხვეწებოდა საქართველოს მოსახლეობას, სწორედ ეს უნდა აირჩიოთო. აირჩიეს, თავად ივანიშვილი გამოვიდა და შევცდიო, ასეთი არაფერი მინახავსო.

**— ბატონო თემურ, თქვენ თქვით, ბიძინა ივანიშვილს შეეშალა, მარგველაშვილი ვერ ამოიცნოო. მართლა ასეა საქმე თუ სხვა გზა არ ჰქონდა? ჩვენ აშკარად ვხედავთ, რომ პრემიერ-მინისტრი ამ „უჯიშოებს" წინააღმდეგობას უწევს და აქ ჩანს ივანიშვილის სურვილიც, მაგრამ კონკრეტულად რა შეეშალა, ან რა აიძულეს?**

– მე ახლა ვხვდები, როგორი სიმართლე მითხრა ედუარდ შევარდნაძემ „ვარდების რევოლუციამდე" რამდენიმე დღით ადრე: მე სიკვდილამდე ვიქნები პრეზიდენტი, თუ იმას გავაკეთებ, რასაც მეუბნებიან. თუ ამ ყველაფერს გავაკეთებ, შევარდნაძეების ძვალი მიწაში არ დარჩება, საერთოდ ამოგვთხრიანო. ახლა ვხვდები, რა იყო ეს. ამერიკელი ხალხი ჩვენი მეგობარია, მე არ ვლაპარაკობ ლიბერმანსა და მაკკეინზე, რომლებსაც ამერიკაში არავინ არაფრად თვლის, როცა საქართველოში ჩამოდიან, მაშინ გრძნობენ კაცებად თავს. ბიძინა ივანიშვილი იძულებული გახდა, დაჰყოლოდა. მე არა მგონია, რასაც ივანიშვილი აკეთებდა, ყველაფერი



**„უნდა ვაღიარო, მთავრობის თავმჯდომარე სწორად იქცევა, რომ „ენდიაის" დამფუძნებელს, სოროსელს და „თავისუფლების" ინსტიტუტის შემქმნელს უპირისპირდება. ვგულისხმობ მარგველაშვილს, რომელშიც დასავლეთში მოღვაწე სექტანტებმა ყველაზე დიდი ფული ჩადეს და კადრებიც მოამზადებინეს"**

დეგ, ჩვენ ვიცით, რა გამონათქვამები აქვს ამერიკასა და დასავლეთზე. შევარდნაძე მოვიდა რუსულ-ამერიკული შეთანხმებით, ცდილობდა, ბალანსი დაეცვა, მაგრამ ბოლოს საკუთარი თავის გაგდებაზეც კი დასთანხმდა. სანამ ბიძინა ივანიშვილი მოვიდოდა, სხვანაირად ხედავდა და ასე არაკაცურად დადის ბოლომდე. გამსახურდიას ხელისუფლება გაუყვეს და ისე დაამხვეს, შევარდნაძეს ხელისუფლება გაუყვეს და ისე გააგდეს, ეს ვერ გაუკეთეს სააკაშვილს, იმიტომ, რომ პირველივე ბრ-

*გაგრძელება მე-4 გვერდზე*

**„დემაგოგები მოდიან ხელისუფლებაში, საყარძლებში სხდებიან და სდევნიან განათლებულ ადამიანებს. ისეთი ადამიანები კადრულობენ უკადრებელს, გაოცებული ვარ, რა უქნეს ამ ხალხს? სექტანტური იდეოლოგიის წინააღმდეგ ბოლომდე წასვლას ვერ ბედავს ირაკლი ღარიბაშვილი, ვერ ბედავს ვერავინ"**

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## რუსეთმა უკრაინაზე კონტრშეტევა დაიწყო



ამერიკის ელჩი უკრაინაში საკუთარი „ტვიტერის" გვერდზე ავრცელებს განცხადებას, რომ რუსეთმა დაიწყო კონტრშეტევა უკრაინის მიმართულებით.

„რუსული ტანკების ახალი კოლონები და მძიმე ტექნიკა კვეთენ რუსეთ-უკრაინის საზღვარს, რაც იმას მოწმობს, რომ კონტრშეტევა უკვე დაიწყო", – აღნიშნა ელჩმა. უფრო ადრე მედიაში ვრცელდებოდა ინფორმაცია, რომ მოსალოდნელი იყო რუსული კოლონების შეჭრა უკრაინის ტერიტორიაზე.

ამასობაში გავრცელდა ინფორმაცია, რომ უკრაინაში რუსი მედესანტეები დააკავეს. 10 სამხედრო სეპარატისტების მიერ კონტროლირებადი დონეცკის ახლოს აიყვანეს. უკრაინულმა ტელეარხებმა მათთან ჩაწერილი ინტერვიუებიც გაავრცელეს. მედესანტეების განცხადებით, ეს არ არის მათი ომი, ერთ-ერთმა სერჟანტმა ხელისუფლებას მოუწოდა, შეაჩეროს რუსი სამხედროების შეყვანა უკრაინის ტერიტორიაზე.

სამხედროების დაკავების ფაქტს მოსკოვშიც ადასტურებენ. რუსეთის თავდაცვის სამინისტროს განცხადებით, მედესანტეებმა საზღვარი შემთხვევით გადაკვეთეს. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი...

## ინფრასტრუქტურულ პროექტებზე ახალი ტენდერები გამოცხადდება



თბილისის მთავრობის გადაწყვეტილებით, მიმდინარე წლის 25 აგვისტოს, სატენდერო და ხელშეკრულებების პირობების დახვეწის მიზნით, შეწყდა 31 ინფრასტრუქტურული ტენდერი, ელექტრონულ ვაჭრობაზე დაფიქსირებული ჯამური ღირებულებით დაახლოებით 26 მილიონ ლარი. ტენდერების შეწყვეტის მიზეზი არაკვალიფიციურად შედგენილი ხელშეკრულებები გახდა.

განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა შესრულებული სამუშაოების ხარისხს. შემოდის ხარისხის უზრუნველყოფის გარანტიის კომპონენტი ხელშეკრულების ღირებულების 5%-ის დაკავების ფორმით, საიდანაც 2,5% ანაზღაურდება სამუშაოების სრულად დასრულების შემდეგ, ხოლო დარჩენილი 2,5% ხარისხის საგარანტიო ვადის გასვლის შემდეგ. საბანკო გარანტიის წარმოდგენის შემთხვევაში კონტრაქტორებს მიეცემათ მეტი ავანსი წინა პერიოდთან შედარებით.

ხელშეკრულებაში მკაფიოდ იქნება გაწერილი სამუშაოების შესრულების ეტაპები. სავალდებულო გახდება განსახორციელებელ სამუშაოთა გეგმა-გრაფიკების წარმოდგენა. მათი შეუსრულებლობის შემთხვევაში გამკაცრდება საჯარიმო სანქციები.

შეწყვეტილი სატენდერო ხელშეკრულებების შესახებ ინფორმაცია საჯაროა და ნებისმიერ დაინტერესებულ პირს მისი ნახვა შეუძლია სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე: spa.gov.ge. (ნიუპოსტი)

*მესამე გვერდიდან*

ძანებით ერთიანი სექტა ჩამოაყალიბეს „ნაცმოძრაობის“ სახით.

**— რა გამოდის, ახლაც ხელისუფლების გაყოფამდე მივდივართ, როცა მარგველაშვილი რაღაცას ჩირთიფირთობს?**

– მარგველაშვილი არის არარაობა!

**— არა, კონკრეტულად მიპასუხეთ: დღეს ხელისუფლების გაყოფასთან გვაქვს საქმე?**

– დღეს საქმე გვაქვს სექტანტების გაძლიერებასთან, რომლებიც ყველგან ძვრებიან და ისე მოიწევენ წინ. ირაკლი ღარიბაშვილსაც არა აქვს კარგად გაცნობიერებული, რა ხდება... ის საკადრო პოლიტიკა, რაც მას აქვს, ნამდვილად არ არის კარგის მომტანი. უახლოეს ხანში გაყოფა დაიწყება არა თბილისის დონეზე, არამედ რეგიონებში. გადახედეთ გერმანიას, იაპონიას, ჩინეთს, ამერიკას, გამოუცდელ ხალხს თანამდებობებზე არ ნიშნავენ. დღეს ირაკლი ღარიბაშვილს რეგიონებში მერები და გამგებლები რომ ჰყავს, მათი იმედი აქვს? სექტანტები რევოლუციას დაიწყებენ რეგიონებიდან, ამ პაპანაქება სიცხეშიც კი გაყინეს ცხოვრება საქართველოს ქალაქებსა და რაიონებში, ხალხო! აი, ერთ მაგალითს გეტყვი, ქუთაისში ქართული ობიექტი იყო – „მირზაანი“, სადაც დაისვენებდი, კულტურის ობიექტად ითვლებოდა. ახლა ვიყავი ჩასული, სათამაშო ბიზნესი გაუხსნიათ. ეს ხდება სამეფო სასახლის გვერდით. ადგილობრივი არჩევნების პერიოდში 5-6 ობიექტი დახურული იყო და როგორც კი არჩევნები დამთავრდა, ყველგან აზარტული თამაშები გაჩაღდა. სექტანტურმა ჯგუფებმა დაირქვეს დასავლეთის სახელი და ბინძური ხერხებით თამაშობენ... აი, მათი იდეოლოგიაა საქართველოს უბედურება და არა სააკაშვილი და მარგველაშვილი. თუ არ გავწმინდეთ ქვეყანა „თავისუფლების ინსტიტუტისა“ და „ენდიაის“ იდეოლოგიისგან, მოვა სხვა მარგველაშვილი. როგორ ფიქრობთ, ასე მაგრად რომ ფინანსდებიან ცალკეული ტელევიზიები, ქართული ორიენტაციის გაზეთებს რომ ლამის ყოველდღე გაჯარიმებენ და სამაგიეროდ მილიონმილიონს ურიგებენ „რესპუბლიკელებს“, არასამთავრობოებს, ეს შემთხვევით ხდება? ბიძინა ივანიშვილი აიძულეს, ესენი ხელისუფლებაში მოეყვანა. პოლიტიკამ გონება დაკარგა, გონების ნაცვლად წინა პლანზე წამოვიდა დემაგოგია. დემაგოგები მოდიან ხელისუფლებაში, სავარძლებში სხდებიან და სდევნიან განათლებულ ადამიანებს. ისეთი ადამიანები კადრულობენ უკადრებელს, გაოცებული ვარ, რა უქნეს ამ ხალხს? სექტანტური იდეოლოგიის წინააღმდეგ ბოლომდე წასვლას ვერ ბედავს ირაკლი ღარიბაშვილი, ვერ ბედავს ვერავინ. როდესაც ამერიკაში ახალ პრეზიდენტს ირჩევენ, ის პირველ რიგში მიდის მეცნიერებთან და ელაპარაკება. საქართველოში მეცნიერებს უთხრეს: აგერ, ფული, თქვენ სახლში ისხედით, ხმა არ ამოიღოთო. მე რაც ვნახე რეგიონებში, თავზარდაცემული ვარ, ორი ისეთი პიროვნება აღმოვაჩინე „ქართული ოცნების“ რიგებში, ორი ისეთი პიროვნება ვნახე დაწინაურებული, თავის დროზე შევარდნაძეს ვუთხარი, მაგათი დეპუტატობა როგორ შეიძლება-მეთქი? ეს ადამიანები ხალხს ეზიზღებოდა, მაგრამ ახლა ბიძინას ხათრით ესენიც კი აირჩიეს. ესენი აზრზე არ არიან, რა ტალღა შეიძლება აგორდეს მათ წინააღმდეგ. საკრებულოების წევრების 80 პროცენტი ბომბია „ქართული ოცნებისთვის“. მე არ ვლაპარაკობ მხოლოდ ქუთაისზე, ასეთივე მდგომარეობაა თბილისში, ასეთივე მდგომარეობაა მთელ საქართველოში. კაცი ერთხელ ვინმეს რომ უღალატებს, დამთავრებულია, მას მეორედ აღარ უნდა ენდო. მთავრობის ირგვლივ ხალხი ტრიალებს, რომ გამოვუქვეყნო, რეები აქვთ ნათქვამი ჯერ გამსახურდიაზე, შემდეგ შევარდნაძეზე, ბოლოს სააკაშვილზე, საკუთარი თავი შეგძულდება. ესენი ყველას აქებდნენ და ახლა ღარიბაშვილის ქებაზე არიან გადასულები. ახლა ვხედავ ისეთ ადამიანს, რომელიც 1999 წელს ერთ დღეს შევიდა სამ პარტიაში – „რესპუბლიკელებთანაც“ მივიდა და კიდევ ორ პარტიაში გაწევრიანდა ჩუმად. ამას დავანებოთ თავი... აგერ, ამერიკის ელჩი, ნორლანდი გამოვიდა და ამბობს: საქართველოში კრიზისი ყოველთვის არის მოსალოდნელიო. როგორ ფიქრობთ, ეს რაზე მიანიშნებს? დავუშვათ, გერმანელ მეწარმეს უნდოდა ჩვენთან შემოსვლა, ამ სიტყვების შემდეგ შემოვა? ვინც დღეს საქართველოშია შემოსული, ის ამ სიტყვების შემდეგ არ გაიქცევა? გარდა ამისა, ეს არის ნიშანი „ნაცმოძრაობისთვის“: მაგრად იყავით, იაქტიურეთ, იხტუნავეთ, არ გაჩერდეთ, ჩვენ თქვენ გვერდით ვართ! თუ მთელი საქართველო არ დადგა ფეხზე, ამათ ვერც ღარიბაშვილი მიხედავს, ვერც მთავრობა და ვერც ვერავინ.



**„მარგველაშვილი სახიფათო კაცია ქართული იდეოლოგიისთვის, ეს უნდა სცოდნოდა ბიძინა ივანიშვილს, რომელმაც თქვა, თუ ეს კაცი პირველ ტურში არ გაიმარჯვებს, მეორე ტურში მონაწილეობას აღარ მიიღებსო. ბატონი ბიძინა ლამის დაჩოქილი ეხვეწებოდა საქართველოს მოსახლეობას, სწორედ ეს უნდა აირჩიოთო. აირჩიეს, თავად ივანიშვილი გამოვიდა და შევცდიო, ასეთი არაფერი მინახავსო“**



**„სააკაშვილი როგორც მოვიდა, ისე წავიდა, მას დავალებების მიცემაც კი არ სჭირდებოდა. ამიტომ ვამბობ, რომ დღეს არ არის ეს ადამიანი პრობლემა, ბოლოს და ბოლოს, ერთი ჩამშვები „კაგებეშნიკია“, სკოლაში ბავშვებს უშვებდა, „შატალოზე“ წავიდნენო. ეს იყო თავიდანვე არაკაცი და ასე არაკაცურად დადის ბოლომდე. გამსახურდიას ხელისუფლება გაუყვეს და ისე დაამხვეს, შევარდნაძეს ხელისუფლება გაუყვეს და ისე გააგდეს, ეს ვერ გაუკეთეს სააკაშვილს იმიტომ, რომ პირველივე ბრძანებით ერთიანი სექტა ჩამოაყალიბეს „ნაცმოძრაობის“ სახით“**



**„ირაკლი ღარიბაშვილსაც არა აქვს კარგად გაცნობიერებული, რა ხდება... ის საკადრო პოლიტიკა, რაც მას აქვს, ნამდვილად არ არის კარგის მომტანი. უახლოეს ხანში გაყოფა დაიწყება არა თბილისის დონეზე, არამედ რეგიონებში“**

**„ამერიკის ელჩი, ნორლანდი გამოვიდა და ამბობს: საქართველოში კრიზისი ყოველთვის არის მოსალოდნელიო. როგორ ფიქრობთ, ეს რაზე მიანიშნებს? დავუშვათ, გერმანელ მეწარმეს უნდოდა ჩვენთან შემოსვლა, ამ სიტყვების შემდეგ შემოვა? ვინც დღეს საქართველოშია შემოსული, ის ამ სიტყვების შემდეგ არ გაიქცევა? გარდა ამისა, ეს არის ნიშანი „ნაცმოძრაობისთვის“: მაგრად იყავით, იაქტიურეთ, იხტუნავეთ, არ გაჩერდეთ, ჩვენ თქვენ გვერდით ვართ!“**

**— ბატონო თემურ, ალბათ, ნახეთ ინფორმაცია, „ენდიაის“ დირექტორი, ლუის ნავარო საქართველოდან წავიდა, თანაც ჩუმად.**

– მოვა მეორე ნავარო. ჩვენი პარტიის ერთ-ერთმა წევრმა ეგ კაცი კახეთში წაიყვანა და მის ვენახებში იხტუნა, იქ სულ სხვა რაღაცები ილაპარაკა. ნავარომ დალია, დაიწყო ვენახებში სირბილი და მონანიება, ქართველი ხალხი ძალიან მიყვარს, მაგრამ რა ვქნა, ამ დავალებებს ამერიკიდან ვიღებო.

**— კონკრეტულად მთავრობამ და ირაკლი ღარიბაშვილმა რა უნდა გააკეთონ?**

– პირველ რიგში, საჭიროა სერიოზული ანალიზი. ღარიბაშვილმა დაახლოებით ათი მიმართულებით უნდა შექმნას სამეცნიერო ჯგუფები, რომლებიც შეისწავლიან დღევანდელ მდგომარეობას. ამერიკაში კანონებს წერენ მეცნიერები და შემდეგ კონგრესმენები ადასტურებენ. ჩვენთან კაბინეტებში ისეთები არიან შეყუჟულები, ერთი წიგნი რომ არ წაუკითხავთ და ისინი წერენ კანონებს. ფიქრია საჭირო, ფიქრი და ანალიზი. მე რომ ყველაფერი ვიცოდე, რა უნდა გააკეთოს ირაკლი ღარიბაშვილმა, კარგი იქნებოდა, მაგრამ უპირველესად საჭიროა ჭკვიან და გაუსვრელ ხალხზე დაყრდნობა.

გელა ზედელაშვილი
555 48-48-61

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი...

## „თავისუფალი ზონა“ კი არა, თქვენ უნდა გერქვათ „ცუციკოები ზონაზე“




„მამული, ენა, სარწმუნოების“ ხელმძღვანელი ლადო სადღობელაშვილი „ფეისბუკის“ პირად გვერდზე „თავისუფალი ზონის“ აქტივისტებს მიმართავს: „თქვენი „მოღვაწეობა“ სულ მალე ნაციონალებთან ერთად გაქრება 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების დასრულებისას... ვწუხვარ, რომ ასეთი გოგო-ბიჭები ემორჩილებით ისეთ კრიმინალურ რეჟიმს, რომელმაც მსოფლიო ასპარეზზე თავი დაამახსოვრა, როგორც ციხეებში მოძალადე ხელისუფლებამ! რა ღირს თქვენი მომსახურება? რა ტარიფზე მუშაობთ? რა არის თქვენი საათობრივი განაკვეთი? 30? 50? 100? თუ 200 ლარი? უფასო მუშაკები ხომ არ ბრძანდებით შემთხვევით? იქნებ გულანთებული აქტივისტები ხართ, რომლებიც მხოლოდ მაშინ იჩენთ თავს, როდესაც საქმე ეხება უწყინარ რუს ტურისტს, ხოლო რუსის ჯარისკაცის დანახვაზე მსგავსად თქვენი ლაჩარი პრეზიდენტი სააკაშვილისა, მიწაზე ფორთხავთ!?

სად ხართ მაგრები კალათბურთის მატჩზე fuck putin-ის პლაკატით ხელში?! ხელში ავტომატი აიღეთ და ღირსეულად ემსახურეთ საქართველოს, ასე მაგალითად, შექმენით პარტიზანული დაჯგუფება და წინ!!! თუმცა სად გაქვთ თქვენ მაგის ერთი ადგილი? დარწმუნებული ვარ, გაგეპარებათ და დაიწყებთ ყლინჯების მირთმევას სამჯერ დღეში, პლუს დესერტად ყოველ ჯერზე! თუმცა თქვენ მაშინ ხართ მაგრები, როდესაც ძია „გივი-გევარა“ ერთ-ორ კაპიკს გადმოგიგდებთ და მიგაქსევთ ცოფიანი ძაღლივით ტურისტ დედა-შვილზე, ან ხანდაზმულ ცოლ-ქმარზე... „თავისუფალი ზონა“ კი არა, თქვენ უნდა გერქვათ „ცუციკოები ზონაზე“... – წერს სადღობელაშვილი. (რეპორტიორი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## „იმის გამო, რომ მარგველაშვილი ბრძანდებოდა თურქეთში, ინაუგურაციაზე მიემგზავრება ღარიბაშვილი“




საგარეო საქმეთა მინისტრი მაია ფანჯიკიძე აცხადებს, რომ თურქეთის პრეზიდენტის ინაუგურაციაზე ირაკლი ღარიბაშვილი გაემგზავრება, რადგან პრემიერ-მინისტრის რანგში მას თურქეთში ვიზიტი არ ჰქონია.

„ჩვენ ამის თაობაზე გვქონდა კომუნიკაცია თურქეთის მხარესთან. პირველად ხდება, რომ თურქეთის პრეზიდენტის ინაუგურაცია ტარდება, პირდაპირი წესით პრეზიდენტი პირველად აირჩიეს და ალბათ, ამიტომ გადაწყვეტეს უფრო საზეიმო ვითარებაში ინაუგურაცია. იმის გამო, რომ საქართველოსა და თურქეთის პრეზიდენტების ვიზიტების გაცვლა წელს უკვე მოხდა, ბატონი გიორგი მარგველაშვილი ბრძანდებოდა თურქეთში და თურქეთის პრეზიდენტიც იმყოფებოდა საქართველოში, თურქეთის პრეზიდენტის ინაუგურაციაზე მიემგზავრება საქართველოს პრემიერ-მინისტრი. ირაკლი ღარიბაშვილი არ ყოფილა თურქეთში, რაც ის პრემიერ-მინისტრია. თურქეთის მხრიდანაც იყო მოლოდინი, რომ საქართველოდან პრემიერი ჩავიდოდა“, – განაცხადა ფანჯიკიძემ. (ნიუპოსტი)



# პეტრე მამრაძე: „ღარიბაშვილი უსუფაშვილს აღარ ენდობა და სანდო ინფორმატორისგან ვიცი, პარლამენტის ნამდვილი თავმჯდომარე არის გია ვოლსკი“

**„ალიას“ „მართვის სტრატეგიული ცენტრის“ ხელმძღვანელი, პეტრე მამრაძე ესაუბრა:**

**— ბატონო პეტრე, აგვისტოში პოლიტიკური პროცესები მინავლებული იყო, მაგრამ, სხვა პარტიებისგან განსხვავებით, „ნაციონალები“ აქტიურობდნენ, დროდადრო ბრიფინგებს მაინც აწყობდნენ. ახლა ისიც დაანონსდა, რომ 15 სექტემბრიდან, ვადამდელი არჩევნების მოთხოვნით, აქტივობები იწყება. როგორ ფიქრობთ, მართლა ცხელი შემოდგომა გველის?**

– დავიწყოთ იმით, რომ „ნაციონალები“ არიან ის ადამიანები, რომლებიც არასდროს იკლებენ სიამოვნებას. მოგეხსენებათ, რომ ყველა, ვინც დღეს არის „ნაციონალების ცნობადი სახე, არის ძალიან მდიდარი ადამიანი, ეს ჩვენს საზოგადოებაში ძალიან კარგად იციან. არავისთვის არ იყო სენსაცია, როცა გამოქვეყნდა დავით ბაქრაძის სიმამრისგან მიღებული „საჩუქარი“ ვეებერთელა თანხა. შეგახსენებთ, რომ ბაქრაძის კარიერულ აღმასვლას მოჰყვა სწორედ მისი სიმამრის გამდიდრება. თუ ერთი ნაწილი აქტიურობდა, მეორე ნაწილი ისვენებდა და ნებივრობდა. ეს ადამიანები მოწოდებით პოლიტიკოსები არ არიან, ესენი არიან სააკაშვილის სადისტური სისტემის ნარჩენების მსახურები. მათი მიზანი კარგი ცხოვრება და კარგი დროსტარებაა, ამიტომ არც დასვენებას მოიკლებენ და არც სიამოვნებას.

მეორე მომენტია ის, რომ მას შემდეგ, რაც გამოძიებამ „ნაცისტების“ საქმეებზე წინ წაიწია, ეს მათთვის დარტყმაა. ბაქრაძის ამბავიც დიდი დარტყმაა, რადგან სწორედ მან მოუწოდა ქართველ ხალხს, ტანკებს დახვედროდნენ ყველა საშუალებით აგვისტოს ომის დროს, სააკაშვილის ავანტიურის შედეგად შემოსულ რუსულ ჯარს ტანკებს შევარდნოდნენ და სწორედ იმ დროს ის და მისი სიმამრი მდიდრდებოდნენ. ასე მდიდრდებოდნენ სხვებიც. პარიზში კეზერაშვილი და ჩერგოლეიშვილი ერთობოდნენ. ახლა, გამოძიების კვალობაზე, როგორც იქნა, მელნიკოვმა ილაპარაკა და, ფაქტობრივად, მოყვა, რაც იყო მაშინ, უკვე ითქვა, რომ ყველაფერი სააკაშვილის კაბინეტში გადაწყდა საბოლოოდ, ილაპარაკა ბიბილურიძემაც და ხელი დაადო მერაბიშვილს, ეს დიდი დარტყმა იყო. ამ დარტყმების შემდეგ შემოდგომაზე ნაკლებად ველოდები „ნაცისტებიდან“ პოლიტიკურ შემოტევებს, მე ყველაზე დიდ საფრთხეს იმაში ვხედავ, რომ დღევანდელი ხელისუფლებაა ძალიან არაეფექტიანი, უნიათო და ეს აშფოთებს მსოფლიოს. ხელისუფლებამ უკვე იკადრა ბევრი უკანონო ქმედებაც.



> „არავისთვის არ იყო სენსაცია, როცა გამოქვეყნდა დავით ბაქრაძის სიმამრისგან მიღებული „საჩუქარი“ — ვეებერთელა თანხა. შეგახსენებთ, რომ ბაქრაძის კარიერულ აღმასვლას მოჰყვა სწორედ მისი სიმამრის გამდიდრება... აგვისტოს ომის დროს, როცა ხალხს მოუწოდებდა, რუსულ ტანკებს შევარდნოდნენ, სწორედ იმ დროს ის და მისი სიმამრი მდიდრდებოდნენ“

**— კონკრეტულად რას გულისხმობთ?**

– მე ვგულისხმობ იმას, რომ როცა ხელისუფლება „რემენას“ ტესტს ვერ აბარებს, როცა საბუთდება, რომ კონსულს კიევში მართლაც გაუცია საბუთი ბარბაქაძის თბილისში ჩამოსვლაზე, მას დახვდნენ კიდეც და შემდეგ დაიკარგა, როცა ცნობილია რეისის ნომერიც და ეს ინფორმაცია კარგად იციან „ნაციონალებმა“, რადგან პოლიციაში კარგი კონტაქტები აქვთ, ამის შემდეგ სულ სხვანაირი ურთიერთობა იქმნება „ნაცების“ ნარჩენებსა და „განაცებულ“ „ქოცებს“ შორის.

**— რა ურთიერთობაზე მიანიშნებთ?**

– ერთმანეთს ეუბნებიან, ეს არ თქვა, თორემ მე იმას ვიტყვიო. ერთმანეთს აშანტაჟებენ ამ ფორმით. ამ თემაზე კი სპეკულირება ასე დაიწყო - ესა და ეს არ თქვა, თორემ მე „რემენაზე“ და ფარცხალაძის მიერ მერაბიშვილის გაყვანაზე ვილაპარაკებო. ერთი მხრივ, ხელისუფლება პრინციპული არაა, „ნაციონალები“ კი ამით სარგებლობენ. ზურაბ ჟვანიას დაპატიმრებული ექსპერტი გავიხსენოთ, გაოგნებულები არიან უცხოელები მისი დაპატიმრებით, თუ ეს კაცი ტყუის, მაშინ საწინააღმდეგო საექსპერტო დასკვნა რატომ არ არის დადებული? იმ დროს, როცა გირგვლიანისა და გელაშვილის საქმის გახსნას ამდენი წელი დასჭირდა, ყველამ ყველაფერი ვიცოდით, მაგრამ საბოლოოდ დადასტურდა, მე გარწმუნებთ, მრავალი წელი არ დასჭირდება იმას, რომ ახალი ხელისუფლების ეს უკანონო მოქმედებები გაირკვეს. როგორც მელნიკოვმა ილაპარაკა, ფაქტობრივად, ისე გავიგებთ „რემენას“ საქმესაც და ფარცხალაძის ამბავსაც. ეს დრო ახლოვდება. ხელისუფლებამ ისეთ დღეში ჩაიგდო თავი თავისი ქმედებებით, რომ ის უკვე დაუცველია პოლიტიკური თავდასხმებისგან და მოუწევს, კიდევ მეტ დათმობებზე წავიდეს.

> **„შემოდგომაზე ნაკლებად ველოდები „ნაცისტებიდან“ პოლიტიკურ შემოტევებს, მე ყველაზე დიდ საფრთხეს იმაში ვხედავ, რომ დღევანდელი ხელისუფლებაა ძალიან არაეფექტიანი, უნიათო და ეს აშფოთებს მსოფლიოს. ხელისუფლებამ უკვე იკადრა ბევრი უკანონო ქმედებაც“**

**— ეს დრო ახლოვდებაო, რომ ამბობთ, რას გულისხმობთ — იმას, რომ ვადაზე ადრე დასრულდება ეს ხელისუფლება?**

– სწორედაც. არჩევნებამდე ეს პროცესები განვითარდება. არის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი, ვინაიდან საზოგადოება ვერ

*გაგრძელება მე-6 გვერდზე*

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი...

## Moody's რეიტინგში საქართველოს მაჩვენებელი გაუმჯობესდა



საერთაშორისო სარეიტინგო სააგენტო Moody's რეიტინგში საქართველოს მაჩვენებელი გაუმჯობესდა. ეკონომიკის მინისტრ, ვიცე-პრემიერ კვირიკაშვილის განცხადებით, სააგენტომ საქართველოს შეფასება „სტაბილურიდან“ „პოზიტიურში“ გადაიყვანა, რაც ქვეყნისთვის ძალიან მნიშვნელოვანია.

„ეს ძალიან სასიხარულოა და ვფიქრობთ, კარგია, არა მხოლოდ სახელმწიფო სესხების ნაწილში, არამედ კომპანიებისთვის. ეს მათ კერძო საკრედიტო რესურსის ნაწილში გაცილებით გაუადვილებს საკრედიტო რესურსის მოზიდვას. ეს ეხება, როგორც საფინანსო ინსტიტუტებს, ასევე იმ კომპანიებს, რომლებიც საკრედიტო ურთიერთობებში იმყოფებიან უცხოელ პარტნიორებთან“, – განაცხადა კვირიკაშვილმა. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## სისხლისფრად შეღებილი ხილის კალათები და აქცია კანცელარიასთან



რუსეთის ბაზარზე ქართული პროდუქციის გატანის შეჩერების მოთხოვნით მთავრობის ადმინისტრაციასთან აქცია გაიმართა. „თავისუფალი ზონის“ წევრებმა შენობასთან სისხლისფრად შეღებილი ხილის კალათები მიიტანეს. აქციის მონაწილეები საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების, აგვისტოს ომისა და უკრაინაში მიმდინარე პროცესების გამო ხელისუფლებას ევროკავშირის ინიციატივის მხარდაჭერასა და რუსეთის ბაზარზე ექსპორტის შეჩერებას სთხოვენ.

„მინდა მივმართო პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილს, რომ პროდუქცია, რომელიც ექსპორტზე გააქვთ, კარტოფილი იქნება, მწვანილი, ყურძენი თუ ვაშლი, არის იმ ბიჭების სისხლით მორწყული, რომლებიც უკრაინაში იღუპებიან და რომლებიც რუსეთმა 2008 წელს დაგვიხოცა“, – განაცხადა აქციის მონაწილემ, ლაშა ხუსკივაძემ. (ნიუპოსტი)




## ქრთამის აღების ფაქტზე სატყეო სააგენტოს თანამშრომლები დააკავეს

ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა, ქრთამის აღების ფაქტზე, ეროვნული სატყეო სააგენტოს სატყეო სამსახურის თანამშრომლები ხვიჩა მჭედლიშვილი და კობა პატაშური დააკავეს.

გამოძიების ინფორმაციით, ეჭვმიტანილები დაქვემდებარებული ტყის ტერიტორიაზე უკანონოდ შეშვებისა და ხის მასალის უკანონოდ მოჭრის სანაცვლოდ, მოქალაქეებს, ქრთამის სახით, სისტემატურად სთხოვდნენ და ართმევდნენ სხვადასხვა ოდენობის თანხას. (ნიუპოსტი)

*მეხუთე გვერდიდან*

ხედავს ვერც ეკონომიკურ და ვერც სოციალურ გაჯანსაღებას, ეს უდავოდ იფეთქებს. თუ იქნება ძვრა უკეთესობისკენ, ხალხი კიდევ დახუჭავს თვალს, თუ ასე არ მოხდება, ბევრი მძაფრი პრობლემა წამოიწევს. ამას წინათ „ოცნების“ ერთი მხარდამჭერი მეუბნებოდა, პოლიციაში დემორალიზებული ვითარებაა, თუ ადრე ახალი ფორმის შექნა დროზე ხდებოდა, თუ პოლიციელს მეტად აფასებდნენ, ახლა სხვანაირადაა ყველაფერიო. კი ვიცით, როგორ იყენებდნენ პოლიციას „ნაცისტები“, მაგრამ ფაქტია, რომ დღეს პატრულს მორიგეობის საათები ისე გაუზარდეს, რომ ბიჭები საჭესთან ყვინთავენ, მანქანები ილეწებაო. ორი-სამი სოციალური გამოსვლა რომ მოხდეს, თუნდაც მძღოლების გამოსვლა, შეიძლება ხელისუფლებას ძალოვან სტრუქტურებში დამცველი არ ჰყავდეს. ამას თავისი დადებითი მხარეც აქვს. ძალოვნების გამოყენება სოციალურ ფონზე გამოსვლების ჩასახშობად, არის ამაზრზენი და საბოლოოდ ეს სხვა რეჟიმამდე მიგვიყვანს. გუნდში კიდევ უფრო დაიძაბა ვითარება. ყველამ ვიცით, რა ურთიერთობით მოვიდა ეს ხელისუფლება, გვახსოვს გინების ჩანაწერები და ერთმანეთზე საუბრებიც, ახლა ეს უფრო გაღრმავდა.

**— რის ფონზე ღრმავდება? ალბათ, პიროვნების განაწყენება მისი იგნორირების გამო, ან თანამდებობაზე არდანიშვნის გამო... ასეა?**

– ძირითადად ასეა, ჩემი სათქმელი თქვით. საქმე ისაა, რომ მთელი ძალაუფლება ღარიბაშვილის ხელშია, ამას ემორჩილებიან პარლამენტის თავმჯდომარე და პრეზიდენტი, თუმცა მათ ეს სულაც არ უხარიათ, მათ შესანიშნავად იციან, რომ ბევრი სამარცხვინო კამპანია ხდება ქვეყანაში და ხმას ვერ იღებენ, მორჩილების გამო რეიტინგსაც კარგავენ, ამიტომ ფიქრობენ, რამე ისეთი გააკეთონ, რომ საფლავში არ ჩაჰყვნენ ამ ხელისუფლებას.



**„საქმე ისაა, რომ მთელი ძალაუფლება ღარიბაშვილის ხელშია, ამას ემორჩილებიან პარლამენტის თავმჯდომარე და პრეზიდენტი, თუმცა მათ ეს სულაც არ უხარიათ, მათ შესანიშნავად იციან, რომ ბევრი სამარცხვინო კამპანია ხდება ქვეყანაში და ხმას ვერ იღებენ, მორჩილების გამო რეიტინგსაც კარგავენ, ამიტომ ფიქრობენ, რამე ისეთი გააკეთონ, რომ საფლავში არ ჩაჰყვნენ ამ ხელისუფლებას“**

შემთხვევითი არაა ისიც, რომ უსუფაშვილს ღარიბაშვილი აღარ ენდობა და სანდო ინფორმატორისგან ვიცი, პარლამენტის ნამდვილი თავმჯდომარე არის გია ვოლსკი. ვერ დაგისახელებთ ახლა მის სახელს, რომ ყველა ინიციატივა და იდეა ღარიბაშვილისგან გია ვოლსკის პირით ხმაურდება და მიდის პარლამენტამდე. დამიჯერეთ, არც უსუფაშვილი, არც მინისტრთა კაბინეტის დიდი ნაწილი, არც პრეზიდენტი თავის მრჩევლებთან ერთად არ ჩაჰყვება ღარიბაშვილს პოლიტიკურ სამარეში.

**— ამ ურთიერთობებს უცხოეთი როგორ უყურებს, რას ამბობენ თქვენი უცხოელი მეგობრები?**

– ამ დაპირისპირებას უცხოეთი უყურებს, როგორც სამარცხვინო, არაადეკვატურ ურთიერთობას. სამარცხვინოა, როცა პრეზიდენტი აკეთებს განცხადებას, პროკურატურას უნდა მოეხსნა თუ არა გრიფი კონკრეტულ დოკუმენტზე. ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენ სახელმწიფო არ ვართ, დიდები პატარა ბავშვებივით კინკლაობენ. ანეკდოტია, მაგრამ უცხოელი დიპლომატები და ელჩები გაგიჟებულები მეუბნებოდნენ, რას ჩხუბობენ ღარიბაშვილი და მარგველაშვილი, ვინ მოაწერს ხელს ასოცირების ხელშეკრულებაზეო. დიპლომატიურად ამბობდნენ, რა არასერიოზული ხელისუფლებააო. ამ ეტაპზე თავს იკავებენ რადიკალიზმისგან და ამბობენ, იმედია, ახალგაზრდები ისწავლიან სახელმწიფოს მართვასო. უსუფაშვილი ამბობს, მაპ-ი თუ არ მივიღეთ უელსის სამიტზე, მასობრივი პოლიტიკური დესტაბილიზაცია მოხდებაო. ხალხს აჩვევს უკვე ასეთ რამეებს. უარესები თქვა მერე, რამე ისეთი თუ არ მივიღეთ სამიტზე, რომელსაც მივყიდით ჩვენს ხალხს, ცუდად იქნება ჩვენი საქმეო.

**„მრავალი წელი არ დასჭირდება იმას, რომ ახალი ხელისუფლების ეს უკანონო ქმედებები გაირკვეს. როგორც მელნიკოვმა ილაპარაკა, ფაქტობრივად, ისე გავიგებთ „რემენას“ საქმესაც და ფარცხალაძის ამბავსაც. ეს დრო ახლოვდება. ხელისუფლებამ ისეთ დღეში ჩაიგდო თავი თავისი ქმედებებით, რომ ის უკვე დაუცველია პოლიტიკური თავდასხმებისგან და მოუწევს, კიდევ მეტ დათმობებზე წავიდეს“**



**„უსუფაშვილი ამბობს, მაპ-ი თუ არ მივიღეთ უელსის სამიტზე, მასობრივი პოლიტიკური დესტაბილიზაცია მოხდებაო. ხალხს აჩვევს უკვე ასეთ რამეებს. უარესები თქვა მერე, რამე ისეთი თუ არ მივიღეთ სამიტზე, რომელსაც მივყიდით ჩვენს ხალხს, ცუდად იქნება ჩვენი საქმეო“**

**— და თქვენ რამეს ელოდებით ხელშესახებს ამ სამიტისგან?**

– არაფერს ისეთს, რაც გადამწყვეტი და მნიშვნელოვანი იქნება. მორიგი ტყუილის გასაღება ხდება. 2016 წელს არის არჩევნები დანიშნული, მაგრამ არჩევნებამდე რომ ვერ მიაღწევს ეს პროცესები, ამის ალბათობა დიდია. ახლა დაიწყო დიდი ჩაშვებები, გაიხსენეთ მელნიკოვის აღიარება. უკვე ისეა მისული საქმე, ოღონდ ციხეში არ ჩაჯდნენ და კანონს გამოიყენებენ, რომ სხვისი, უფრო დიდი ფიგურის დაჭერის სანაცვლოდ თავისუფლებას მოიპოვებენ. ესენი ფიცდადებული მაფიოზები კი არ არიან, ლაპარაკობენ ყველაფერს, როგორც კი მიადგები.

**„ძალოვნების გამოყენება სოციალურ ფონზე გამოსვლების ჩასახშობად, არის ამაზრზენი და საბოლოოდ ეს სხვა რეჟიმამდე მიგვიყვანს. გუნდში კიდევ უფრო დაიძაბა ვითარება. ყველამ ვიცით, რა ურთიერთობით მოვიდა ეს ხელისუფლება, გვახსოვს გინების ჩანაწერები და ერთმანეთზე საუბრებიც, ახლა ეს უფრო გაღრმავდა“**

**— ლუის ნავარო საქართველოდან ჩუმად წავიდა. არის ვერსია, თითქოს პროკურატურას მასზე რაღაც მასალები ჰქონდა და გაასწრო. ამის შესახებ რამე იცით?**

– ფულადი ურთიერთობა რთული წარმოსადგენია, მაგრამ მათ ჰქონდათ ღრმა პირადი ურთიერთობა. მოგეხსენებათ, გიორგი თარგამაძე მისი ნათლიაა და ერთ-ერთ კვლევაში ქდმ-ს ბევრად მეტი რეიტინგი დაუწერა, ვიდრე ეს საერთოდ არსებობდა. გრეგორი მენჯაკი, რომელიც „ენდიაის“ ხელმძღვანელია, იყო ჩამოსული და თავად თქვა, ოფისის მუშაობით არ ვარ კმაყოფილი, არაობიექტურ კვლევებს ატარებსო. იქვე თქვა, „ნაციონალურ მოძრაობას“ კადრებს უზრდისო. ამით ყველასთვის ნათლად ითქვა სათქმელი.

ჟანა ასანიძე
558 00 16 16

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი...

## უკრაინაში დაღუპული 11 რუსი სამხედრო ჯარიდან უკანა რიცხვით დაითხოვეს



„გაზეტა.რუ“-ს ინფორმაციით, საომარი მოქმედებების დროს, უკრაინის ტერიტორიაზე 11 რუსი სამხედრო მოკლეს.

„ეს იყო ქალაქი სნეჟნოე, ლუგანსკისა და დონეცკის ოლქების საზღვარი. კოლონას „გრადებით“ შეუტიეს“, – განაცხადა სტავროპოლის ჯარისკაცთა დედების კავშირის წარმომადგენელმა ლუდმილა ბოგატენკომ. მისი ინფორმაციით, 9 აგვისტოს სპეცდანიშნულების რაზმის 9 წევრი გარდაიცვალა. თუმცა, ეს სრული სია არ არის: „11 აგვისტოს კიდევ ორი ადამიანი გარდაიცვალა, 27 წლის უფროსი ლეიტენანტი ევგენი პილიპენკო და 38 წლის პოდპოლკოვნიკი იური პეშკოვი“, – განაცხადა ბოგატენკომ. მისთვის ასევე ცნობილია სხვა დაღუპულების შესახებაც, არიან დაჭრილებიც, ისინი როსტოვის, ჰანკალისა და სხვა ქალაქების სამედიცინო დაწესებულებებში არიან გადანაწილებულნი.

დაღუპული სამხედროების ცხედრები მათ ოჯახებს უბრუნდება. „შემდეგ დაღუპულთა ოჯახებს სწერენ, რომ გარდაცვლილები უკვე განთავისუფლებულნი იყვნენ სამხედრო სამსახურიდან, მათი გარდაცვალება კი გაუგებარ ვითარებაში მოხდა. სხვა შემთხვევებში წერენ, რომ გარდაიცვალნენ სამხედრო სწავლების დროს. დაღესტანში ახლობლებთან სატელეფონო კავშირი გვაქვს. რა უნდა ვუთხრა მათ, თუ მათ შეატყობინეს, რომ სამხედრო მოხელე განთავისუფლების შემდეგ გარდაიცვალა“, – განაცხადა ბოგატენკომ. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... ფაქტი...

## სურსათის ეროვნულმა სააგენტომ კაფეები და რესტორანი დახურა

სურსათის ეროვნულმა სააგენტომ საქართველოს რეგიონებში რამდენიმე ობიექტი დახურა.

იმერეთის რეგიონული სამმართველოს წარმომადგენლებმა კრიტიკული შეუსაბამობები აღმოაჩინეს ქუთაისში, ჭავჭავაძის ქუჩაზე მდებარე ი/მ „თამილა თევდორაძის“ ხორცის სარეალიზაციო ობიექტში, საიდანაც ამოღებულია საეჭვო წარმომავლობის ხორცი.

ვეტერინარული მოწმობა ფორმა №2-ის გარეშე ხორცის რეალიზაციის, ტემპერატურული რეჟიმის დარღვევის, ანტისანიტარიის, სურსათის წარმოებისა და გადამუშავების ადგილას აღმოჩენილი მწერების გამო აჭარის რეგიონული სამმართველოს წარმომადგენლებმა საწარმოო პროცესი შეუჩერეს ბათუმში, აეროპორტის გზატკეცილზე მდებარე შპს „სოფიოს“ კაფეს.

საეჭვო წარმომავლობის ხორცის რეალიზაციის ფაქტები გამოვლინდა ასევე მცხეთის რაიონის სოფელ წიწამურში – შპს „ხეკორძულას“ რესტორან „ზღაპარსა“ და ნარეკვავის მიმდებარე ტერიტორიაზე შპს „ლიდერფუდის“ კაფეში, სადაც ინსპექტირება მცხეთა-მთიანეთის რეგიონული სამმართველოს წარმომადგენლებმა განახორციელეს.

აღნიშნული დარღვევების გამო ი/მ „თამილა თევდორაძის“ ხორცის სარეალიზაციო ობიექტს, შპს „სოფიოსა“ და შპს „ლიდერფუდის“ კაფეებს, რესტორან „ზღაპარს“ შეუჩერდა საწარმოო პროცესი და ბიზნესოპერატორები 1000-1000 ლარით დაჯარიმდნენ. (news.ge)



# გიგა ბოკერია და გივი თარგამაძე მხარდამჭერ ახალგაზრდებს პროვოკაციებისთვის ამზადებენ

მოძრაობა „ეროვნულობის" ლიდერმა, სანდრო ბრეგაძემ, „ფეისბუკის" საკუთარ გვერდზე შემდეგი შინაარსის სტატუსი განათავსა:

„ყველა ინფორმაციითა და ლოგიკით ძალიან დაძაბული პოლიტიკური შემოდგომა და განსაკუთრებით 2015 წლის გაზაფხული გველის. სამწუხაროდ, ბევრი ჩემგან პატივსაცემი მეგობარი ამას სერიოზულად არ უფიქრდება და ვერც მოახლოებულ საშიშროებას გრძნობს. ყველაფერი დაიწყება ახალგაზრდული და სტუდენტური პროტესტით, რომლისთვისაც აქტიური მზადება მიმდინარეობს. თანხები, რომლებიც ამ საქმეს უნდა მოხმარდეს, მეტად შთამბეჭდავია, იმდენად შთამბეჭდავი, რომ სერიოზული განგაშის საფუძველს იძლევა. შეუიარაღებელი თვალითაც ნათელია, რომ მეტად გააქტიურებულია ნაცების მიერ კონტროლირებადი ორგანიზაცია „თავისუფალი ზონა", რომელიც ძირითადად შედგება მერაბიშვილისგან კონტროლირებადი პოლიციის ყოფილი ზონდერებისგან, რომლებიც ფულის გულისთვის არაფერზე უკან დამხევები არ არიან. მათ უკვე ფაქტობრივი ტერორი აქვთ გამოცხადებული ტურისტებზე, ხოლო ამ ვანდალიზმის ხელისშემშლელი არავინაა. სტუდენტური თვითმმართველობებისა და სტუდენტური ორგანიზაციების ძირითადი ნაწილიც მათ კონტროლქვეშაა. ამ დროს კი იმ სტრუქტურებს, რომლებიც ახალგაზრდობის პრობლემებით უნდა იყვნენ დაკავებულები, საღათას ძილით სძინავთ. უარესიც, ამ სტრუქტურებში იგივე ხალხია, ვინც ნაციონალების დროს მართავდა პროცესებს".

**„ალია" სანდრო ბრეგაძეს დაუკავშირდა:**

**— ბატონო სანდრო, „ნაციონალები" რომ შემოდგომაზე აქციებს აპირებენ, ეს ჯერ კიდევ ზაფხულის დასაწყისში თქვეს. რამე ახალი ინფორმაცია გაქვთ?**

– ჩვენ კარგად ვიცით, რომ სააკაშვილის რეჟიმის დროს მთელი სტუდენტური თვითმმართველობები და ე.წ. ახალგაზრდული ორგანიზაციები, რეალურად იყვნენ „ზონდერჯგუფები". ისინი დაკომპლექტებულნი იყვნენ „ნაცმოძრაობის" წევრებითა და მათი აქტიური მხარდამჭერებით, იქ იყვნენ კუდ-ის, სოდ-ის და სხვა სპეცსამსახურების აგენტები და სააკაშვილის ხელისუფლება მათ იყენებდა პოლიტიკური ოპოზიციისა და ხალხის წინააღმდეგ. ეს თვითმმართველობები და ეს აგენტურული ქსელი, დღესაც შემორჩენილია სტუდენტობაში, თითქმის ყველა უმაღლეს სასწავლებელში და ამ ე.წ. ახალგაზრდულ ორგანიზაციებში. მე მაქვს ინფორმაცია, რომ ამ ახალგაზრდებს, რეალურად კი „ზონდერებს", შემოდგომისთვის ამზადებენ, რომ მათი მეშვეობით დაიწყოს გამოსვლები, შემდეგ კი დესტაბილიზაცია და უმართავი პროცესები მოჰყვეს ამას.

**— ვინ ხელმძღვანელობს ამ ჯგუფებს?**

– გივი თარგამაძე, გიგა ბოკერია და კობა ხაბაზი. ესენი დგანან ამ პროცესების სათავეში, ბუნტის მომზადება უშუალოდ მათ აბარიათ. შემოდგომით ამ ახალგაზრდა „ზონდერებმა", სხვადასხვა მოთხოვნით, თბილისში უნდა დაიწყონ საპროტესტო გამოსვლები, ეს არ იქნება ჩვეულებრივი აქციები, ეს იქნება, ასე ვთქვათ, ხულიგნური აქციები. იქნება რადიკალური ქმედებები – ხალხის შეურაცხყოფა და სხვა დანარჩენი, რაც მათთან დაპირისპირების მიზეზს მისცემს ჩვენს საზოგადოებას. ყველაფერს გააკეთებენ, რომ ხალხი გამოიწვიონ, მოხდეს დაპირისპირებები და ცხადია, ცემატყეპაზეც არ იტყვიან უარს, მიზანი კი ქვეყანაში არეულობის, ქაოსის გამოწვევაა.

**— თქვენ ამ ახალგაზრდული ორგანიზაციებიდან ერთი — „თავისუფალი ზონა" დაასახელეთ. სხვები ვინ იქნებიან?**

– „თავისუფალი ზონა" არის ყველაზე აგრესიული და ანტიქართული ახალგაზრდული ორგანიზაცია. გარდა ყოფილი სპეცსამსახურების აგენტებისა, ამ ორგანიზაციაში გაერთიანებულნი არიან ძალოვანი უწყებებიდან გამოყრილი ხალხი, რომელთაც უამრავი დანაშაული აქვთ წარსულში ჩადენილი, ასევე, სასჯელაღსრულების სისტემის ყოფილი თანამშრომლები, რომლებიც, ასევე, არაერთ დანაშაულში არიან მხილებულნი. ისინი დაითხოვეს სამსახურიდან და მათ „თავისუფალ ზონას" შეაფარეს თავი. ამ ადამიანებს „ნაციონალთა" არაერთი უკანონო დავალება აქვთ შესრულებული. რასაც სამსახურებში სცოდავდნენ, რა საშინელებასაც იქ სჩადიოდნენ, ამის გარდა, მონაწილეობდნენ ხალხის დარბევაში, დაშინებაში, ტერორში... „თავისუფალ ზონას" აუცილებლად შეუერთდება ორგანიზაცია „დროა", რომელსაც, ასევე, „ნაციონალები" აკონტროლებენ. ამ ეტაპზე „თავისუფალი ზონა" ახდენს ამ ე.წ. ახალგაზრდული ორგანიზაციებისა და სტუდენტური თვითმმართველობების კონსოლიდაციას, აერთიანებს მათ, რათა შემოდგომიდან ერთიანი ძალით შეუტიონ ხელისუფლებას.

**— თქვენ აცხადებთ, რომ ამ ყველაფერს სოლიდური დაფინანსება ექნება. ეს ის ფულია, რომელიც უცხოეთში აქვთ გატანილი და დავით კეზერაშვილსა და ზურაბ ადეიშვილს აბარიათ?**

– ცხადია, სწორედ ეგ ფულია და არა მარტო ეგ. უცხოეთში ხომ აქვთ უზარმაზარი თანხები გატანილი და საქართველოშიც სოლიდური ფული აქვთ. მარტო „ნაცმოძრაობის" პოლიტიკური ლიდერებისა და მათი ყოფილი ჩინოვნიკების მოპარულ ფულზე არ არის ლაპარაკი. ამ აქციებს დააფინანსებს არაერთი ბიზნესმენი, რომელიც „ნაცმოძრაობის" ზეობის პერიოდში, წელიწადში ათეულობით მილიონ დოლარს შოულობდა და დღეს ამ ფულის საშოვნელი არხი გადაკეტილი აქვს. ეს ხალხიც გაირჯება და საკუთარი კაპიტალის ნაწილს დახარჯავს ამ ხელისუფლების დასამხობად, „ნაციონალთა" ხელისუფლებაში დასაბრუნებლად, რათა მერე ძველებურად იშოვონ მილიონები ხალხისა და სახელმწიფოს ხარჯზე.

**— თქვენ რუსი ეროვნების ტურისტების ტერორზეც ამახვილებთ ყურადღებას. კონკრეტულად რა სახის ტერორი მიმდინარეობს რუს ტურისტებზე?**

– სწორედ ეს „ნაცმოძრაობის" მხარდამჭერი ახალგაზრდები აყენებენ შეურაცხყოფას რუს ტურისტებს, პირდაპირი თავდასხმები ხდება მათზე, ძალადობენ ტურისტებზე, სიტყვიერ შეურაცხყოფას აყენებენ, ოკუპანტს, ოკუპანტი ქვეყნის წარმომადგენლებსა და ათას უბედურებას ეძახიან. სოციალურ ქსელში იყო ამის ამსახველი ვიდეოები. საწყენია, რომ ამ ყველაფერზე ჩვენი სამართალდამცავი სტრუქტურები არ რეაგირებენ, ამ უკანონობაზე ჯერ პასუხი არავისთვის მოუთხოვიათ. თუ შს სამინისტროში ეს არ იციან, შემიძლია, გავუგზავნო ეს ვიდეოები და მოახდინონ ამ ფაქტებზე რეაგირება. ფაქტია, რომ ეს პროვოკაციები შორს გათვლილ მიზანს ემსახურება. ქართულ-რუსული ურთიერთობის გაუარესებას, თუ შეიძლება, ამ ურთიერთობის კიდევ უფრო გაუარესება. არადა, ამ ურთიერთობაში რაღაც სასიკეთო ძვრები შეინიშნება, რაღაც ხელშესახები კეთდება და ამ ყველაფრის ჩასაშლელადაც არის მიზანმიმართული ეს აღვირახსნილი ქმედებები. ასევე, ამ უმსგავსობის ერთ-ერთი მიზანია რუსების დაშინება, რომ აქ ტურისტებად აღარ ჩამოვიდნენ, რადგან ვითომ აქ საფრთხე მოელით და მათი დამცველი არავინაა. ეს ყველაფერი სახელმწიფოებრივი პრობლემაა და სანამ დროა, ხელისუფლება უნდა დაინტერესდეს ამით, მერე ძალიან გვიანი იქნება.

**— სადამდე მივა „ნაციონალთა" ეს აღვირახსნილობა? დავუშვათ და მოახერხეს ქვეყანაში არეულობის დაწყება, მერე?**

– დღეს ქართულ ციხეებში ზის რამდენიმე ისეთი ადამიანი, რომელთაც რამდენიმე ასეული მილიონი დოლარი აქვთ თითოს. ვანო მერაბიშვილისა და გიგი უგულავას გახსენებაც კმარა, თუმცა სხვებიც არიან. გარდა ამისა, მრავალი „ნაციონალი" უცხოეთშია გაქცეული, მათ დაჭერის საფრთხე ემუქრებათ და ესენიც უზარმაზარ თანხებს ფლობენ. ვიდრე ეს ხელისუფლებაა, ვინც ციხეშია, ის ციხიდან ვერ გამოვა და ვინც ძებნილია, საქართველოში ვერ დაბრუნდება, მათგან ბევრს კი, დაიჭერენ, ჩამოიყვანენ საქართველოში და ციხეში ჩასვამენ. რომელი მათგანი დაიშურებს ფულს საიმისოდ, რომ ხელისუფლება გადააგდოს ნებისმიერი გზით, თავად დაბრუნდნენ ხელისუფლებაში, ეს თავიანთი მილიონები ისევ განკარგონ და კიდევ დამატებით იშოვონ? მე მაქვს სარწმუნო ინფორმაცია, უტყუარი წყაროებიდან, რომ „ნაცმოძრაობის" ლიდერებმა, ციხეში მყოფებმაც, გაქცეულებმაც და მათაც, ვინც ჯერ არ დაუჭერიათ, გადაწყვიტეს, რომ მთელი თავიანთი ქონება ხელისუფლებასთან ბრძოლას მოახმარონ, მოაწყონ არეულობა, მოახდინონ ხელისუფლების ცვლილება და დაბრუნდნენ ქვეყნის სათავეში.

ეს ქვეყანა ამ ხელისუფლებისა არ არის, ეს ქვეყანა ხალხისაა, ამ ხალხმა კი მიხეილ სააკაშვილსა და მის ძალადობრივ რეჟიმს უარი უთხრა, ებრძოლა, დაამარცხა და გაუშვა ხელისუფლებიდან. ამ ხალხის დაკვეთაა, რომ სააკაშვილი და მისი ამფსონები დაისაჯონ და „ნაცმოძრაობა", როგორც დანაშაულებრივი პარტია, აღარასდროს დაბრუნდეს ხელისუფლებაში. აი, ამის მიხედვით უნდა იმოქმედოს ხელისუფლებამ და მისი ყველა ღონისძიება აქედან უნდა მოდიოდეს. ხელისუფლებამაც და ხალხმაც ყველაფერი უნდა გავაკეთოთ საიმისოდ, რომ ქვეყანაში დესტაბილიზაცია არ დავუშვათ.

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი...

## ქუთაისში მძღოლები გაიფიცნენ



ქუთაისში საქალაქო ტრანსპორტის მძღოლები მგზავრობის საფასურის მომატების მოთხოვნით გაიფიცნენ. გაფიცულთა განცხადებით, არსებული ტარიფი – 30 თეთრი ტრანსპორტის შეკეთებისა და საწვავის ხარჯებს ვერ უზრუნველყოფს, შესაბამისად, მგზავრობის ღირებულებამ 10 თეთრით უნდა მოიმატოს.

ქუთაისის მერიაში აცხადებენ, რომ მძღოლებს მუნიციპალიტეტისთვის კონკრეტული მოთხოვნებით არ მიუმართავთ, შესაბამისად, კომენტარს ვერ გააკეთებენ.

ცნობისთვის, ქუთაისში საქალაქო ტრანსპორტის ოპერირებას ტენდერში გამარჯვებული რამდენიმე კერძო კომპანია ახორციელებს, რომელთაც ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადა ეწურებათ, მერიაში კი ახალი ტენდერის გამოსაცხადებლად ემზადებიან. (ფრონტნიუსი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... ფაქტი... ამბავი...

## 29 აგვისტოდან საქართველოში აგრილდება



29 აგვისტოდან 1-ელ სექტემბრამდე საქართველოს მთელ ტერიტორიაზე დროდადრო ხანმოკლე წვიმებია მოსალოდნელი. გარემოს დაცვის სააგენტოს გრძელვადიანი პროგნოზების ბიუროს უფროსის მოადგილის ნინო წვერავას განცხადებით, 28 აგვისტომდე საქართველოში კვლავ ცხელი ამინდია მოსალოდნელი და ქვეყანაში საშუალო ტემპერატურა 38 გრადუსი იქნება. დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოში უმეტესწილად უნალექო ამინდები შენარჩუნდება. შავი ზღვის სანაპირო რაიონებში 33 გრადუსია მოსალოდნელი.

29 აგვისტოდან კი ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე დროგამოშვებით ხანმოკლე წვიმები იქნება ელჭექით. 29 აგვისტოს საქართველოში საშუალო ტემპერატურა 33 გრადუსამდე დაიკლებს.

30 აგვისტოდან 1-ელი სექტემბრის ჩათვლით, თბილისში მოსალოდნელია ხანმოკლე წვიმა ელჭექით. 30 აგვისტოს თბილისში ჰაერის საშუალო ტემპერატურა 30 გრადუსი, 31 აგვისტოსა და 1-ელ სექტემბერს კი 28 გრადუსი იქნება.

2 სექტემბრიდან ამინდი კვლავ შეიცვლება და ტემპერატურა მოიმატებს. (ინტერპრესნიუსი)

CIAN MAGENTA YELLOW BLACK



ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ახალი ექსპერტიზა კიწმარიშვილის საქმეზე „თვალით უჩინარი კვალის“ აღმოსაჩენად




ეროსი კიწმარიშვილის ოჯახი იმ ავტომანქანის დამატებით ექსპერტიზას ითხოვს, რომელშიც „რუსთავი 2“-ის ერთ-ერთი დამფუძნებელი გარდაცვლილი იპოვეს. გარდაცვლილის ძმის, ზურა კიწმარიშვილის განცხადებით, ექსპერტიზას „თვალით უხილავი კვალის შემოწმება“ ეწოდება და ახლო მომავალში ჩატარდება:

„მანქანასთან დაკავშირებით კიდევ არის დეტალები, თვალით უხილავი კვალის შემოწმების ექსპერტიზა გვაქვს გასაკეთებელი. ახლახან შემთხვევის ადგილის დათვალიერება გადავწყვიტეთ ასეთი უხილავი კვალის აღმოჩენის მიზნით და იგივეს გაკეთება გვინდოდა მანქანაშიც. ეს ჯერჯერობით არც ერთ ეტაპზე არ გაკეთებულა და (პროკურატურასთან) შეთანხმებული ვართ, რომ მოგვეცემა ერთად მუშაობის საშუალება. ამან შეიძლება გამოავლინოს, იყო თუ არა სხვა ადამიანი მანქანაში, და ასე შემდეგ....ვნახოთ, შეიძლება მოულოდნელი რაღაცაც დაადგინოს“, – აცხადებს კიწმარიშვილი.

კიწმარიშვილის ოჯახის მიერ დაქირავებული ექსპერტ-ბალისტიკოსის, ზაზა ალთუნაშვილის თქმით, პირადად მას თავის დროზე ჩატარებულ მანქანის დათვალიერების პროცესში მონაწილეობა არ მიუღია, ამიტომ ახლა საუბარია კრიმინალისტიკური ტექნიკის გამოყენებით თვალით უჩინარი კვალის აღმოჩენის ექსპერტიზაზე, რომელიც ეროსი კიწმარიშვილის ავტომობილში უნდა ჩატარდეს:

„კიდევ უნდა მოხდეს მანქანის დათვალიერება. ამაში ჩვენც უნდა მივიღოთ მონაწილეობა. აქ კომპლექსურად ხდება დათვალიერება, რაღაცამ რაღაც უნდა გამორიცხოს, რაღაცამ უნდა დაადასტუროს რაღაც.

მოგეხსენებათ, ჩვენ ცოტა ხნის წინ შემთხვევის ადგილი დავათვალიერეთ დამატებით, იქიდან რაღაც კითხვები დაისვა, რაღაცები გამორირიცხა“, – აცხადებს სპეციალისტი და დასძენს, რომ ამ კითხვებს გამოძიებამ და ექსპერტიზამ უნდა გასცეს პასუხი. უშუალოდ რა ახალი საკითხები გამოიკვეთა, ალთუნაშვილი არ საუბრობს და აცხადებს, რომ ეს საგამოძიებო მასალებია, რისი გასაჯაროებაც მას არ შეუძლია.

ეროსი კიწმარიშვილი 15 ივლისს გარდაიცვალა, რის შემდეგაც უკვე თვე-ნახევარი გავიდა, მიუხედავად ამისა, ალთუნაშვილი არ ფიქრობს, რომ ძიების პროცესი ზედმეტად გაიწელა. მისი თქმით, სხვადასხვა ტიპის ექსპერტიზის ჩატარება, ასევე, ოპერატიული-სამძებრო ღონისძიებები გარკვეულ დროს მოითხოვს. ზურა კიწმარიშვილის ინფორმაციით კი, გამომძიებელი, რომელიც ეროსი კიწმარიშვილის საქმეს იძიებდა, ამჟამად შვებულებაშია, ხოლო მისი შემცვლელი გარდაცვლილის კუთვნილი პლანშეტიდან, ასევე მობილური ტელეფონიდან ამოღებული ინფორმაციის გაშიფვრითა და ანალიზითაა დაკავებული, რაც საკმაოდ შრომატევადი საქმეა.

ზურა კიწმარიშვილის თქმით, ოჯახი კვლავ არ იზიარებს თვითმკვლელობის ვერსიას და გამოძიების დასრულებას ელოდება.

„არაფერი არ შეცვლილა, ის, რომ ამ საკითხზე პრესაში ინფორმაცია აღარ ვრცელდება, არ ნიშნავს იმას, რომ ან ჩვენ შევიცვალეთ პოზიცია, ან გამოძიებამ დაასრულა მუშაობა. ჩვენ პოზიცია არ შეგვიცვლია, ისევ მოლოდინში ვართ, გამოძიებასთან ისევ ვთანამშრომლობთ და მოვითხოვთ, რომ ყველაფერი ბოლომდე იქნას გამოძიებული. ჩვენ არ ვიცით შედეგები, არ ვიცით, რაზე მუშაობს გამოძიება, აქედან გამომდინარე, ველარაფერს ვამბობ. როცა მეცოდინება შედეგი, ჩვენს დამოუკიდებელ ექსპერტებთან ერთად ვიმსჯელებთ, რა გაკეთდა, როგორ, სად გაიცა ბოლომდე პასუხები და სად – არა“, – აცხადებს ზურა კიწმარიშვილი.

საქმეზე უკვე ჩატარებული ბალისტიკური ექსპერტიზაც, რომლის შედეგიც ზურაბ ალთუნაშვილისთვის ცნობილია, თუმცა ამ საკითხზე საჯაროდ არ საუბრობს. ამბობს, რომ გამოძიების მასალებს ვერ გაახმაურებს. ამ საქმეზე არც პროკურატურაში საუბრობენ, სადაც აცხადებენ, რომ გამოძიება გრძელდება. (ნეტგაზეთი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## საქართველოს ვიზა 50 დოლარი ეღირება




2014 წლის 1-ლი სექტებრიდან საქართველოს ვიზა 50 აშშ დოლარი ეღირება. საგარეო საქმეთა სამინისტროს საკონსულო დეპარტამენტის დირექტორის, გიორგი ტაბატაძის განცხადებით, სხვადასხვა ტიპის ვიზაზე განსხვავებული ფასები მოქმედებდა, თუმცა კანონში შესატანი ცვლილებების ამოქმედების შემდეგ არც ქვეყნების და არც ვიზის ტიპის მიხედვით დაყოფა აღარ იქნება.

1-ლი სექტემბრიდან იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო აღარ გასცემს საქართველოს ვიზებს. ვიზები გაიცემა საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობებსა და საკონსულოებში. ცვლილებების მიხედვით, ვიზის აღება საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე შესაძლებელი იქნება მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში.

1-ლი სექტემბრიდან ძალაში შედის ახალი კანონი, რომლის თანახმადაც, საქართველოში უვიზოდ ყოფნის ვადა შემცირდა და 360 დღის ნაცვლად, 180-დღიან პერიოდში 90 დღით განისაზღვრა. ასევე, რიგ ქვეყნებს გაუუქმდა უვიზო რეჟიმი საქართველოსთან, თუმცა ევროკავშირის, ნატო-ს, შენგენის, დსთ-ს წევრ და სხვა ძირითად პარტნიორ ქვეყნებთან შენარჩუნებული იქნება უვიზო მიმოსვლა. (ინტერპრესნიუსი)

## ქუთაისში კომერციული სასაფლაოს მოსაწყობად მწვანე საფარი იჩეხება



ქუთაისში, ე.წ. ავტოქარხნის სასაფლაოს მოპირდაპირე ტერიტორიაზე მწვანე ზოლი იჩეხება. ადგილობრივების განმარტებით, წიწვოვანი და არა მხოლოდ წიწვოვანი ხეები, კომერციული სასაფლაოების, ცემენტისა და ბეტონის სავაჭრო ობიექტებად მოწყობის მიზნით ნადგურდება.

„მოსახლეობა უძლურია ამ საგანგაშო პრობლემის წინაშე. 1-2 წლის წინათ უკვე გაიხსნა ერთი კომერციული სასაფლაო, რომელიც ქუთაისის წყალკანალის მიერ გაყვანილ წყლის ვეებერთელა მილების თავზე მდებარეობს. ამჟამად მიმდინარეობს ახალი კომერციული სასაფლაოსთვის ტერიტორიის მწვანე ნარგავებისგან „გასუფთავება“. გლობალურ პრობლემებზე რომ ავტეხთ ხოლმე ვიშვიშს, ლოკალური პრობლემების მოწესრიგებით დავიწყოთ და არ დავუშვათ მათი გლობალურ კატასტროფად ქცევა. მივხედოთ პრობლემას“. – აცხადებს მოსახლეობა.

ტერიტორია, სადაც მწვანე საფარის გაჩეხაზეა საუბარი, ქუთაისი-წყალტუბოს ცენტრალურ მაგისტრალზე მდებარეობს. მოსახლეობა ხელისუფლებას რეაგირებისა და თანადგომისკენ მოუწოდებს. (news.ge)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## „პოლიციელებს ეუბნებოდა, არ დამღუპოთ, წამალი არ ჩამიდოთო“




ზესტაფონში მცხოვრები თამაზ გორგოძის ოჯახის წევრები სამართალდამცავებს გორგოძის ცემასა და მისთვის ნარკოტიკული საშუალების განზრახ ჩადებაში ადანაშაულებენ.

როგორც გორგოძის ოჯახის წევრები განმარტავენ, თამაზ გორგოძე სამართალდამცავებმა იმ დროს სცემეს, როდესაც ზესტაფონის ერთ-ერთი სოფლიდან, ზესტაფონში მდებარე მის ბინაში წყლის გაყვანილობის შესაკეთებლად ჩამოვიდა. ოჯახის წევრების განცხადებით, გორგოძეს ბინასთან დაახლოებით 10-მდე პოლიციელი დახვდა, რომლებმაც სცემეს, ხელები გაუკოჭეს და ზესტაფონის პოლიციის განყოფილებაში ნაცემი მიიყვანეს.

„ჩემი მეუღლე პოლიციის განყოფილებაში ფეხშიშველი მიყვანეს. არც „ნასკები“ ეცვა. ნარტყმევი იყო ზურგზე, ტანზე მაისური შემოხეული ჰქონდა. როგორც ვიცი, იმის გამოა დაკავებული, რომ თურმე „ნასკში“ ჰქონია წამალი. არიან მოწმეები, რომლებიც ამბობენ, რომ ჩემი ქმარი იძახდა, არ დამღუპოთ, წამალი არ ჩამიდოთო. დაკავება ჩემი საცხოვრებელი კორპუსის წინ მოხდა. ჩემმა ქმარმა რუსეთიდან ჩამოსვლის შემდეგ, „პრადო ლენდკრუიზერის“ 2008 წლის გამოშვება იყიდა. როგორც კი სახლში მოიყვანა, ჩვენი პოლიციის უფროსს მოეწონა ეს მანქანა და მისი წართმევის სურვილი გაუჩნდა. ამის შემდეგ ჩემი ქმარი ყაჩაღობის ცრუ ბრალდებით დააპატიმრეს და ციხეში 4 წელი გაატარა, სადაც ჯანმრთელობასთან დაკავშირებით პრობლემები შეექმნა. როგორც ჩანს, მისი დაპატიმრების სურვილი ახლაც გაუჩნდათ“. – ამბობს გორგოძის მეუღლე ფიქრია საყვარელიძე.

თამაზ გორგოძის ახლობლების განცხადებით, მათთვის ამ უკანასკნელის ჯანმრთელობის მდგომარეობა ამ დროისთვის უცნობია, რის გამოც ოჯახი დაკავებულის ნახვას ითხოვს. (news.ge)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ვის ეკუთვნის Anaklia IEP – 600-მილიონიანი ქართული ინვესტიცია სომხეთში



ვის ეკუთვნის Anaklia IEP და რატომ იდება თითქმის მილიარდიანი ინვესტიცია სომხეთში? პრემიერ ღარიბაშვილის სომხეთში ვიზიტის ფარგლებში ცნობილი ხდება ახალი პროექტის შესახებ. სომხური გამოცემა გარიგების დეტალებზე წერს. თუმცა, საქართველოს ინტერესებიდან გამომდინარე, ჩნდება კითხვა: გამოიწვევს თუ არა აღნიშნული პროექტი ურთიერთობების დაძაბვას საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის? გაუგებარია ისიც, რატომ უნდა ჩაიდოს სომხეთში ამ მასშტაბის მშენებლობაში ქართული ფული, თუკი ჩვენ მოგვიწევს გამომუშავებული ელექტროენერგიის შეძენა? მით უმეტეს იმ პირობებში, როცა საქართველოში უმუშევრობა კვლავ ნომერ პირველ პრობლემად რჩება. მსგავსი პროექტის საქართველოში განხორციელება, როგორც მინიმუმ, ბიუჯეტს გადასახადებით 200 მილიონს მოუტანდა.

„ნიუპოსტი“ უცვლელად გთავაზობთ „რადიო თავისუფლების“ სომხური გამოცემის მიერ მომზადებულ სტატიას.

„სომხეთში ახალ, დიდი სიმძლავრის თბოელექტროსადგურს ნაკლებად ცნობილი კომპანია Anaklia IEP Holding-ი ააშენებს, ხოლო მის მიერ წარმოებული ელექტროენერგია საქართველოს მიეწოდება. ამის შესახებ სომხეთის ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრმა ერევანს ზახარიანმა განაცხადა.

ეს განცხადება მინისტრმა Anaklia IEP Holding-თან შესაბამისი ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ გააკეთა, რომელიც საქართველოს პრემიერ-მინისტრის, ირაკლი ღარიბაშვილის ერევანში ვიზიტის ბოლო დღეს მოხდა.

ხელშეკრულების „ძირითად პირობებს“ ხელი სომხეთის მთავრობის მიერ მისი ოფიციალურად დამტკიცების შემდეგ მოეწერა. მთავრობის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ Anaklia IEP Holding ჩადებს დაახლოებით 600 მილიონი დოლარის ინვესტიციას თბოელექტროსადგურში, რომელიც სომხეთში ჯერჯერობით გაურკვეველ ტერიტორიაზე აშენდება. ელექტროსადგურს ექნება General Electric-ის 540 მეგავატიანი ტურბინები.

სომხეთის მინისტრმა ასევე განაცხადა, რომ სანაცვლოდ სომხეთი ელექტროსადგურს მიაწვდის, ჯერჯერობით გაურკვეველი ინვესტორისგან დაბალი ფასად მიღებულ ბუნებრივ აირს, რაც გააადვილებს წარმოებული ელექტროენერგიის ექსპორტს.

ხელმოწერის ცერემონიაზე, რომელსაც მედიის ძალიან ცოტა წარმომადგენელი ესწრებოდა, ზახარიანმა მხოლოდ ის დაადასტურა, რომ საქართველო იქნება ელექტროენერგიის ძირითადი მიმღები და რომ მშენებლობა ძალიან მალე, 3 წელიწადში დასრულდება. ეს სიტყვები სომხეთის ოფიციალური სააგენტოს – „არმენპრესის“ მიერ იქნა გავრცელებული. სხვა დეტალებზე ინფორმაცია არ გავრცელებულა.

გაურკვეველი რჩება, ვინ არის Anaklia IEP Holding-ის მფლობელი და რატომ გადაწყდა თითქმის უცნობი კომპანიის ამ მასშტაბისა და მოცულობის ენერგოპროექტის განხორციელებაში მონაწილეობა. სომხეთის ოპოზიციური სააგენტოს ilur.am-ის ცნობით, კომპანია Anaklia IEP Holding ეკუთვნის ქართველ ბიზნესმენთა ჯგუფს და დარეგისტრირებულია ბრიტანეთის ვირჯინიის კუნძულებზე – ე.წ. „გადასახადების სამოთხეში“.

საინტერესოა, რომ ანაკლია არის ქართული შავიზღვისპირა ქალაქი, სადაც საქართველოს მთავრობა გეგმავს, ააშენოს ახალი პორტი, გათხევადებული ბუნებრივი აირის ტერმინალებით.

Anaklia IEP შესაძლოა, მოიხიბლა რუსული ბუნებრივი აირის დაბალი ფასით, რომელსაც სომხეთი რუსეთიდან საქართველოს გავლით იღებს. სომხეთის მთავრობამ ფასდაკლება მას შემდეგ მიიღო, რაც შარშან სადავო გადაწყვეტილება მიიღო, სომხეთის ე.წ. „ევრაზიულ საბაჟო კავშირში“ გაწევრიანების შესახებ, რომლის წევრებიც რუსეთი, ბელორუსი და ყაზახეთია.

ხელშეკრულების წინასწარი ხელმოწერა მოხდა მეორე დღესვე, რაც ზახარიანი ქართველ კოლეგას, კახა კალაძეს შეხვდა, რომელიც საქართველოს ოფიციალურ დელეგაციაში შედიოდა, რომელიც ღარიბაშვილს ახლდა. ხოლო ხელშეკრულების შესახებ ოფიციალურად გამოცხადდა მას შემდეგ, რაც ღარიბაშვილი სომხეთის პრემიერს, ოვიკ აბრამიანს ესაუბრა და გაცხადდა ორი მთავრობის სურვილი ახალი ქართულ-სომხური ენერგოურთიერთობის გაღრმავების შესახებ.

ზახარიანმა და კალაძემ თავის გამოსვლაში დაადასტურეს ეს განცხადება პირისპირ შეხვედრის დროს. ზახარიანის პრესსამსახურის განცხადებით, ორ მეზობელ ქვეყანას შორის ელექტროენერგიის გაცვლა სამჯერ მეტად გაიზრდება 2018 წლის შემდეგ, როცა ეს ახალი ხაზი ამოქმედდება“, – წერს გამოცემა. (ნიუპოსტი)

სამიოდე კვირის წინ, „ალიასთან“ ინტერვიუში მძღოლთა უფლებების დამცველი, ნიკოლოზ კაჭკაჭური აცხადებდა, როგორც კი მერიის სამსახურები სიტუაციას გაეცნობიან და სრულყოფილად დაიწყებენ მუშაობას, დოკუმენტაციას წარვუდგენ, პრობლემებშიც ჩავახედებ და გამოსწორების გზებსაც ვაჩვენებო.

**იმის გასარკვევად, შეხვდა თუ არა მერიის წარმომადგენლებს, „ალია“ ნიკოლოზ კაჭკაჭურს დაუკავშირდა:**

**— ბატონო ნიკოლოზ, ბოლო ინტერვიუში გვითხარით, რომ მერთან შეხვედრას აპირებდით, როგორც კი მერიის სამსახურები მუშაობას დაიწყებდნენ. მოახერხეთ?**

– მერთან ვერ მოხერხდა, მაგრამ სატრანსპორტო სამსახურის უფროსის მოადგილეებს შევხვდი ყველა იმ პრობლემაზე სასაუბროდ, რაც მძღოლებს აწუხებს. ამ პრობლემების დეტალური ჩამონათვალი წინა ინტერვიუში უკვე გითხარით. მე დავსვი აბსოლუტურად ყველა ის საკითხი, რაც მტკივნეული და სასწრაფოდ გადასაწყვეტია. მხოლოდ მცირე ნაწილის შესახებ ვისაუბრე 55 წუთის მანძილზე, თვის ბოლოს სამსახურის უფროსს ვხვდები, სადაც კიდევ ერთხელ გავშლი ამ საკითხებს. დავიწყოთ იმით, რომ 4 მძღოლი გვყავს, რომელიც სასწრაფოდ უნდა დაკმაყოფილდეს ბინით. შეთანხმება მიღწეული იყო, მაგრამ ეს თემა კიდევ გადაიდო. წინა ხელისუფლებამ ინვესტორიც ნახა და აკმაყოფილებდნენ ამ ადამიანებს მისაღები ფართით. მერე თქვეს, სხვა ინვესტორი გამოჩნდაო და ტენდერი ჩაიშალა. შემდეგ, ტენდერში სხვისი გამარჯვების გამო ეს მძღოლები დარჩნენ გაურკვევლობაში. ამ საკითხის გარდა, დავსვით მძღოლების, როგორც ინდმეწარმის საკითხი. მათთან გაფორმებული ხელშეკრულებები არის რთული, კაბალური და გადახედვას საჭიროებს. ამას გარდა, ვისაუბრეთ „ჯი-პი-არ-ეს“-ების აუცილებლობაზე, ე.წ. ტაბლოების დადგმასთან დაკავშირებით, ვითხოვთ მიკროავტობუსებზე ფიქსირებული გადასახადის დაწესებას, რომ ბიუჯეტი შეივსოს და არა ვილაცის ჯიბეები (საოცარია, ფიქსირებულზე რომ იყვნენ, გამომუშავების წესზე გადასვლას უნდა ითხოვდნენ, რადგან გეგმა თუ ვერ შეასრულა მძღოლმა, ხომ სახლიდან უნდა მიიტანოს ფული? თუმცა, ეტყობა, მართლა ისეთ გაუსაძლის ყოფაში არიან, სხვა გამოსავალი არ აქვთ. – რედ.). ბოლო დროს მიკროავტობუსების ხელმძღვანელობა დაფაცურდა და სხვანაირად ექცევიან მძღოლებს. უპატრონო ეკლესიასავით მიატოვეს ეს სამსახური, „ნაციონალები“ რომ წავიდნენ, ნებაზე მიუშვეს, ახლა კი ამ სფეროს დალაგება ძალიან ძნელია. ჩიხში მიმწყვდეული მძღოლები ისეთ მდგომარეობაში იყვნენ, რომ აღარავის იმედი არ ჰქონდათ. ყველა პრობლემა იმდენად პირველი რიგის მოსაგვარებელია, რომ, თუ არ დალაგდა, დიდ აჟიოტაჟამდე მივალთ. ყველა პრობლემა მოგვარებადია, რთულს არაფერს ვითხოვთ. ასევე, პირველი რიგის ამოცანაა ზოგიერთ ადგილზე შუქნიშნის გადატანა, ისეთ ადგილას უნდა გადავიდეს, რომ მოძრაობის ნაკადი არ შეფერხდეს. მერიის წინაშე სადაზღვევო კომპანიის საკითხიც დავსვით. საქმე ისაა, რომ არანაირი პუნქტი არ მოქმედებს, რომელიც ამ კომპანიასთან არის დადებული.

**— ანუ?**

– ფული ჭამეს და წავიდნენ, მძღოლები არც კი გახსენებიათ. არავის არანაირი დაზიანება არ აუნაზღაურებია, პირიქით, მე ვიცი მძღოლები, ავარია მოუვიდათ, ვერ დაამტკიცეს თავისი სიმართლე და 6 000 ლარი გადაიხადეს თავისი ჯიბიდან. ისეთი ტვირთი აწევთ მძღოლებს ზურგზე, რომ დასვენებაც არ აქვთ. კომპანიების საქმიანობასაც გადახედვა სჭირდება. მე დავსვი საკითხი, რომ „ნაციონალური“ მოძრაობის ხელისუფლებაში ყოფნის დროს ეს მიკროავტობუსები პოლიტიკური მიზნებისთვის გამოიყენებოდა, ხშირად ამ ტრანსპორტით ხალხი აქციებზე დაჰყავდათ. მძღოლს სამუშაო ადგილს წყვეტდნენ არჩევნების დროს. არაა გამორიცხული, რომ მიკროავტობუსის ხელმძღვანელობა სულ წავიდეს, გაათავისუფლონ სამსახურიდან და მოიყვანონ ახალი კადრები.



# ყვითელი ავტობუსების მძღოლები გაფიცვისთვის ემზადებიან?



**— კორუფციული სქემები მუშავდება კომპანიაშიო, ამბობდით. ამის შესახებ ინფორმაცია თუ მიაწოდეთ მერიის შესაბამის უწყებებს?**

– მხოლოდ მცირედი, დეტალურად ვაპირებ სამსახურის უფროსთან საუბარს, რომ დაბარებულის გადაცემა არ მოუწიოთ მის მოადგილეებს. ერთი ერთში ბევრი სხვა ინფორმაციის მიწოდებას ვგეგმავ.

**— რა კონკრეტული დაპირება მოგცეს?**

– ყველაფერი მოისმინეს და ჩემდა გასაოცრად, კარგად ერკვევიან სფეროში, ბევრი ისეთი კითხვა დავსვი, რომ შევამოწმე კიდეც მათი ამ სფეროში გამოცდილება, ამიტომ ბევრი საკითხი მოვიტოვე შემდგომში სასაუბროდ. ავტობუსების საკითხზე 16-პუნქტიანი ხელშეკრულების გადახედვაც მოვითხოვე. საპირფარეშოების, ბოლო გაჩერებების კეთილმოწყობისა და სადისპეტჩეროების გაკეთება მოვითხოვე და ვუთხარი მათ, თქვენ მოგვეხმარეთ და ჩვენ თავად გავაკეთებთ ყველაფერს-მეთქი. ახლა მათ გვერდით დგომა სჭირდებათ, ჩვენ ამისთვის მზად ვართ. დისპეტჩერები ცის ქვეშ ყრიან, ზოგი საკუთარ მანქანაში ზის და იქიდან მართავს ავტობუსების მოძრაობას. მთელი დღეები უჭმელუსმელები არიან ქუჩაში და ადამიანები არიან ისინიც, ასე გაგრძელება არ შეიძლება.

შეხვედრაზე მარტო ვიყავი, რადგან, როცა ბევრი ადამიანი ესწრება, საუბარი ირევა ხოლმე, ამიტომ კონკრეტული პროექტებით შევედი. ბევრი დამაკმაყოფილებელი პასუხი მივიღე. 22 საკითხი მქონდა და 18 საკითხის შესრულების შესაძლებლობა გაჩნდა. ვიცი, რომ ყველა პრობლემა ერთ დღეში არ გადაწყდება, დღითი დღე უნდა დალაგდეს.

**— პირად საუბარში მითხარით, რომ მძღოლები გაფიცვას აპირებენ. ხომ დაგპირდნენ პრობლემების მოგვარებას. ქალაქის პარალიზება სექტემბერში მძიმე შედეგებს მოიტანს და ისეთი უსაშველო რა არის, ცოტა ხანს რომ ვერ ითმენენ?**

– ქალაქის პარალიზება არის უკიდურესი მომენტი, რომელსაც არ მივესალმები, მაგრამ მე მძღოლებისაც მესმის, ზოგი ისეთ მდგომარეობაშია, რომ სწრაფად უნდა ცვლილებები, დალოდების დრო არ აქვს. ისინი იმდენ ხანს ელოდებოდნენ ახალ ხელისუფლებას, რომ პრობლემების მოგვარებას ვეღარ ელოდებიან დიდხანს. მძღოლებზე დიდი ზეწოლები ხორციელდება დღეს, ახლა მანქანების ქიმწმენდა მოიგონეს, რაც მძღოლების გაღიზიანებას იწვევს. აძალებენ, აუცილებლად აქა და აქ გააკეთეთ ქიმწმენდაც და ზეთის შეცვლაცო. მეტი კორუფცია რა გინდათ? არსებობს ცენტრი, სადაც მანქანები კეთდება და მისი ექსპლუატაციისთვის საჭირო ყველა დეტალი აქვთ, შედარებით დაბალი ფასით, მაგრამ მძღოლებს კომპანიის დირექტორები აიძულებენ, მომსახურებით იქ ისარგებლონ, სადაც გადახდილი ფული მათ ჯიბეში წავა. მინდა დაგარწმუნოთ, რომ მძღოლებს გაფიცვისთვის ბევრი მიზეზი აქვთ, ამ თავზე დაჯდომის გამო ისინი უკიდურეს ფორმაზე მიდიან. ახალი ხელმძღვანელობა თუ არ მოვიდა ავტოპარკებში, მძღოლებს არაფერი ეშველებათ. კაბინეტებიდან განკარგულების გაცემა კი არაა საჭირო, კაბინეტიდან გამოსვლა და გვერდით დგომა სჭირდებათ მძღოლებს.

ჟანა ასანიძე
558 00 16 16

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი...

## მელნიკოვთან საპროცესო შეთანხმების გაფორმების საკითხი 15 დღეში გადაწყდება



თბილისის საქალაქო სასამართლო 15 დღის ვადაში მიიღებს გადაწყვეტილებას, დაამტკიცებს თუ არა პროკურატურას და ოლეგ მელნიკოვს შორის საპროცესო შეთანხმებას.

მელნიკოვის ადვოკატის, ვარლამ ბელხამიშვილის განცხადებით, იმ შემთხვევაში, თუ სასამართლომ საპროცესო შეთანხმება დაამტკიცა, ოლეგ მელნიკოვი პატიმრობიდან მიმდინარე წლის დეკემბერში განთავისუფლდება. ადვოკატის განმარტებით, საპროცესო შეთანხმება ითვალისწინებს მელნიკოვისთვის 2 წლით თავისუფლების აღკვეთას, რომლის ათვლაც უკრაინაში დაკავების მომენტიდან, 2012 წლის დეკემბრიდან იწყება.

„იმის გამო, რომ საპროცესო შეთანხმება მიღწეულია მხარეთა შორის, გირგვლიანის საქმიდან მელნიკოვის ბრალდების საქმე გამოიყო ცალკე წარმოებად. ახლა უკვე სასამართლომ უნდა დაამტკიცოს ეს საპროცესო შეთანხმება. პროკურატურამ უკვე დააყენა შუამდგომლობა. 15 დღის ვადაში უნდა ჩაინიშნოს სხდომა, სადაც მოსამართლე მიიღებს გადაწყვეტილებას, დაამტკიცოს თუ არა საპროცესო შეთანხმება“, – აღნიშნა ბელხამიშვილმა. (ინტერპრესნიუსი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## მთავრობამ საქართველოდან უცხოელების გაძევების წესი დაამტკიცა



იუსტიციის მინისტრ თეა წულუკიანის განცხადებით, „საქართველო, როგორც ცივილიზებული სახელმწიფო, აგრძელებს სვლას იქით, რომ, თუკი საქართველოს ტერიტორიაზე უკანონოდ იმყოფება უცხოელი, მის მიმართ შესაბამისი სანქციები გაგრძელდეს, მაგრამ ადამიანის უფლებების დაცვის პირობებში“.

„შსს-მ ააშენა თანამედროვე სტანდარტების დროებითი განთავსების ცენტრი. აქ მოთავსდება ყველა უცხოელი, ვინც კი გაძევების კანდიდატია, მაგრამ მათი უფლებები დაცული იქნება. გაძევების კანდიდატს წინასწარ ეცნობება, რომ უნდა გააძევონ და მას ნებაყოფლობით ექნება საშუალება, დატოვოს ქვეყანა და ამის შემდეგ მას საქართველოში კვლავ ჩამოსვლის საშუალებაც მიეცემა“, – განაცხადა წულუკიანმა.

მისივე განცხადებით, „იმ უცხოელს, ვინც 6 წლის განმავლობაში კანონიერად იცხოვრებს საქართველოში ბინადრობის მოწმობის საფუძველზე, შეეძლება მუდმივი ცხოვრების უფლება მიიღოს. გამარტივებული წესით მიენიჭება მუდმივი ცხოვრების უფლება ასევე ყველა იმ ადამიანს, რომლებიც წარსულში იყვნენ საქართველოს მოქალაქეები და სხვადასხვა მიზეზით დაკარგეს საქართველოს მოქალაქეობა. ასევე მნიშვნელოვანი სიახლეა ის, რომ გარდა განსაკუთრებული შემთხვევებისა და ამას ითხოვს ვიზა-ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმა ევროკავშირთან, პირველი სექტემბრიდან, საქართველოს საზღვრებზე არ გაიცემა ვიზები. ამიტომ უცხოელებმა წინასწარ უნდა აიღონ შესაბამისი კატეგორიის ვიზა“, – განაცხადა წულუკიანმა. (ფრონტნიუსი; ინტერპრესნიუსი)

## დეკანოზმა ლუკამ თინა ხიდაშელს თავმდაბლობისკენ მოუწოდა



„ნუ მარგარეტობ თინათინ!!!!!!! ცოტა თავმდაბლობა იქონიე, მხოლოდ შენი შვილები არაა მომავალი საქართველო". აღნიშნული კომენტარი სოციალურ ქსელში დეკანოზმა ლუკა მიქაბერიძემ გააკეთა.

შეგახსენებთ, რომ თინა ხიდაშელმა საქართველოს საქაჯეთი უწოდა და განაცხადა, რომ ბედნიერია, რადგან შვილების აქედან შორს წაყვანა მოახერხა.

„სანდრო უსუფაშვილი, გიგა უსუფაშვილი, აი ამიტომ წაგიყვანეთ ასე შორს, ამ ქაჯებს რომ დავსხლეტოდით, ღმერთო ჩემო რა საქაჯეთია. Droni.ge პალტოებით ზღვაზე და საერთოდ ამ გოგოს თავი რომ დაანებოს ყველამ არა :))) სულ მუდამ უხერხულ მდგომარეობაში ვარდებით, სულ არ ვიცნობ, მაგრამ მშვენიერი, ნათელი ახალგაზრდაა და რაც უკვე გაიბანძეთ თავი, მგონი, საკმარისია. თქვენგან ეს ამბავი არახალია, ძველია, მაგრამ პატივი ეცით ადამიანის პირად ცხოვრებას, მით უფრო, როცა სათქმელი არაფერი გაქვთ". – წერს თინა ხიდაშელი.

ქალბატონი თინას ეს სიტყვები, ალბათ, ბევრს გაუჩენს ლოგიკურ კითხვას. „თქვენ, პარლამენტის წევრსა და პარლამენტის თავმჯდომარის მეუღლეს, რა თქმა უნდა, გაქვთ შვილების საქართველოდან წასაყვანი ფული და რა ვქნათ ჩვენ, თქვენი და თქვენი თანაპარტიელების იმედზე მყოფმა რიგითმა მოქალაქეებმა, რომლებსაც თვიდან თვემდე ძლივს გაგვაქვს თავი? ჩვენ ხომ თქვენ იმ იმედით მოგეცით ხმა, რომ ჩვენც შევძლოთ შვილებისთვის თუნდაც იმის ნახევრის გაკეთება, რასაც თქვენ თქვენი შვილებისთვის აკეთებთ? სად არის საქართველო, რომელსაც არჩევნებამდე დაგვპირდით?"

იმედია, ქალბატონი თინა ხიდაშელი გასცემს ამ კითხვას პასუხს და ახლაც ისე არ ჩაიხითხითებს, როგორც თავისი თანაგუნდელის, შს მინისტრ ალექსანდრე ჭიკაიძის სიტყვით გამოსვლისას იცინოდა სულ ცოტა ხნის წინ. (droni.ge)

## სალომე ზურაბიშვილი თეა წულუკიანს: „რაღაც გეშლებათ ქალბატონო მინისტრო"



„ყველა იმ ადამიანს, რომლებიც წარსულში იყვნენ საქართველოს მოქალაქეები და სხვადასხვა მიზეზით დაკარგეს საქართველოს მოქალაქეობა, გამარტივებული გზით შეეძლება საქართველოში მუდმივი ცხოვრების უფლება მოიპოვოს". – ნათქვამია წულუკიანის განცხადებაში!!!!

რაღაც გეშლებათ, ქალბატონო მინისტრო: იმ ქართველებს (ძირითადად უცხოეთში მყოფ და იქიდან ოჯახისა და ქვეყნის დამხმარეებს) საქართველოში მუდმივი ცხოვრების უფლება კი არ სჭირდებათ, ლუკმაპურივით გადმოგდებული, არამედ აღიარება იმისა, რომ არიან სრულყოფილი მოქალაქეები, სრულუფლებიანი და არა მეორე კატეგორიისა და რომ მათ ელოდებიან და თვლიან თავიანთ ქვეყანაში, როგორც ამ ქვეყნის აღმშენებლობის აუცილებელ შემადგენელს. და არა უცხოელებად თავიანთვე ქვეყანაში „საცხოვრებლად" შემოსვლის ნებადართულნი!!!!!

ჩემი აზრით, სრულიად ეს გადაწყვეტილებაა არა კომპეტენტური, მოუფიქრებელი და შეურაცხმყოფელია ყველა იმ ქართველისთვის, ვინც მოქალაქეობა დაკარგა არა „სხვადასხვა" მიზეზის გამო, როგორც არის ნათქვამი, არამედ იმიტომ, რომ ჯერ არ გამართულა ის კანონი, რომელიც ორმაგი მოქალაქეობის შემთხვევაში ქართული მოქალაქეობის მინიჭებისთვის აღარ მოითხოვდა ჯერ გამოსვლას მოქალაქეობიდან, როგორც მინიჭების წინაპირობას, არამედ ამ პროცესს ავტომატურს გახდიდა... იმის მაგივრად, რომ ვფიქრობდეთ უცხოეთში მყოფ თანამემამულეებზე და იმაზე, თუ როგორ დავუბრუნოთ მათ წართმეული მოქალაქეობა, მოქალაქეთა ყოფნის განცდა და სურვილი შევუნარჩუნოთ დაბრუნებისა, ვფიქრობთ... არ ვიცი, რაზე. ნამდვილად არც სახელმწიფოზე, არც მის გაძლიერებაზე. მეტსაც ვიტყვი, ეს არის შინაარსით ანტიქართული კანონი... არ ვიცი, ამდენი თუ აქვს ხელისუფლებას გააზრებული თუ მხოლოდ არ უფიქრიათ და მხოლოდ ვიზიტების განაწილებით არიან გართულნი!

მაინტერესებს, ამ შემთხვევაში დიასპორის სამინისტროს პოზიცია ამ საკითხთან დაკავშირებით.... პრეზიდენტის შეხედულება, რომელიც უნდა თვლიდეს თავს უცხოეთში მცხოვრებ ქართველების უფლებების დამცველად, და საერთოდ, პრემიერს თუ აქვს ეს საკითხი გააზრებული????

ასევე, იმედი მაქვს, რომ ამ გადაწყვეტილების საპროტესტოდ ქართველი საზოგადოება იმავე ენთუზიაზმით შეხვდება ამ გამოწვევას, როგორც წყლის გადავლებას...." – წერს სალომე ზურაბიშვილი „ფეისბუკის" საკუთარ გვერდზე. (droni.ge)

## „მეწყერი ბევრ სოფელსა და ქალაქს წაიღებს! ელოდეთ სიურპრიზებს!" – ლელა კაკულია



„კავკასიონი კიდევ ბევრ გვირაბს გადაკეტავს და მიწას წააყრის (ეს მრავალი წლის წინათ მაქვს ნათქვამი). ვხედავ, რელიეფი იცვლება, მაგრამ ეს ცვლილება კიდევ უკეთ დაიცავს საქართველოს საზღვრებს, ისე, რომ იქ სასაზღვრო ჯარის ჩაყენებაც არ დასჭირდება!!! ამას ყველაფერს კოსმოსი აგვარებს. რაც არ უნდა გამოიძიონ გეოლოგებმა, მკვლევარებმა, პროფესორ-აკადემიკოსებმა, პასუხს მაინც ვერ მოძებნიან. იმიტომ, რომ წესით, ასეთი რამ არ უნდა ხდებოდეს, მაგრამ მოხდება. დარიალის შემთხვევა არის დასაწყისი ამ რელიეფური ცვლილებებისა. ჩრდილოეთ კავკასიაში დიდი წყალდიდობები, მეწყერი ბევრ სოფელსა და ქალაქს წაიღებს. რას იზამ, ბუნებაში ყველაფერი კანონზომიერია. ნახავთ, როგორ შეიცვლება ყველაფერი. ელოდეთ სიურპრიზებს", – წერს ლელა კაკულია. (ნიუპოსტი)



## პუტინისა და პოროშენკოს შემდეგი შეხვედრა, სავარაუდოდ, ხუთშაბათს თურქეთში გაიმართება




ერთმანეთისგან დამოუკიდებელი, რუსეთისა და უკრაინის დიპლომატიური წყაროები ადასტურებენ ინფორმაციას იმის შესახებ, რომ რუსეთისა და უკრაინის პრეზიდენტებს შორის შემდეგი შეხვედრა ამ კვირაშივე გაიმართება.

„ცენზორნეტის" ცნობით, ამჟამად მიმდინარეობს დაგეგმვა 28 აგვისტოს ანკარაში ვლადიმერ პუტინისა და პეტრო პოროშენკოს ერთობლივი სტუმრობისთვის. ამ ინფორმაციით, განიხილება შესაძლებლობა უკრაინა-რუსეთის ორმხრივი შეხვედრის, აგრეთვე, სამმხრივი რაუნდი თურქეთის ახლად არჩეული პრეზიდენტის ერდოღანის მონაწილეობით. სწორედ ამ დღეს უნდა გაიმართოს ერდოღანის ინაუგურაცია, რომელიც ამჟამად ჯერ კიდევ პრემიერია, თუმცა 10 აგვისტოს არჩევნების შედეგების მიხედვით ის თურქეთის რესპუბლიკის პრეზიდენტად არის არჩეული. ცერემონიალზე მიწვეული არიან სხვადასხვა ქვეყნები, მათ შორის უკრაინისა და რუსეთის პრეზიდენტები.

საბოლოო დადასტურება შეხვედრის შესახებ არ არსებობს, თუმცა ცნობილია, რომ პოროშენკოს ადმინისტრაცია სერიოზულად მუშაობს მოლაპარაკებების ორგანიზებაზე. სწორედ ასეთი შეხვედრა-მოლაპარაკების მომხრეა ერდოღანიც. საბოლოო გადაწყვეტილება, შედგება თუ არა ორმხრივი შეხვედრა თურქეთში, მოგვიანებით გახდება ცნობილი. (რეპორტიორი)

## უკრაინული დროშით ქუჩაში გამოსვლის გამო, ქალბატონი ბოძზე მიაბეს და სასტიკად გაუსწორდნენ



The New York Times-მა მსოფლიოს დონეცკში მომხდარი არაადამიანური ფაქტის შესახებ ამცნო. დონეცკელმა სეპარატისტებმა ქუჩაში უკრაინული დროშით მოსეირნე ქალბატონი დაიჭირეს და ბოძზე მიაბეს. ქალბატონი უკრაინის სასარგებლოდ შპიონაჟში დაადანაშაულეს და მას ხელებში დაფა დაუმაგრეს წარწერით: „Она убивает наших детей. Агент карателей".

როგორც The New York Times წერს, ბოევიკების განცხადებით, იმის გამო, რომ ქალბატონი აგენტია, მასზე განხორციელებული ყველა ძალადობა დამსახურებული იქნება. კორესპონდენტის ინფორმაციით, ადგილობრივი პრორუსული განწყობის მაცხოვრებლები მანქანებს სპეციალურად აჩერებდნენ, რათა ქალბატონისთვის შეურაცხყოფა მიეყენებინათ. დონეცკელები ტყვეს აფურთხებდნენ, ურტყამდნენ და პომიდვრებს ესროდნენ.

მას შემდეგ რაც, The New York Times-ის ჟურნალისტმა ტერორისტების მეთაურს მომხდარი ფაქტის შესახებ უსაყვედურა, შემთხვევის ადგილზე ბოევიკების ავტომობილი მოვიდა, რომლითაც ქალბატონი გაურკვეველი მიმართულებით წაიყვანეს.

ფაქტი 24 აგვისტოს, უკრაინის დამოუკიდებლობის დღეს მოხდა, როდესაც დონეცკში ბოევიკებმა უკრაინული არმიის ტყვე ჯარისკაცების მსვლელობა მოაწყვეს. (kvira.ge)

## ნახეთ, რას წერს რობერტ სტურუა სტალინზე



რეჟისორი რობერტ სტურუა საკუთარ „ფეისბუკ" გვერდზე საინტერესო სტატუსს ავრცელებს, რომელსაც უცვლელად გთავაზობთ:

„თოთხმეტი წლის ვიყავი, სტალინი რომ გარდაიცვალა. არ მჯეროდა, რომ დიდი ბელადი ოდესმე მოკვდება. ბევრს არ სჯეროდა, უმფროსებსაც კი. უფრო პატარას ერთმა ფიქრმა მიტირა ყოფა: ნუთუ ბელადი ტუალეტში დადის?!. კარგი ბატონო პატარა საქმეზე შესული კიდევ რაღაცნაირად წარმოვიდგინე, მაგრამ უფრო დიდზე – ვერაფრით! მერე, როცა მივხვდი, რომ მაინც დადის, რას იზამ ადამიანია და შლაკებს ვერ გააჩერებ სხეულში, მაშინ მეორე საკითხმა დამაფიქრა – ნუთუ იწმენდს კიდეც? ნუთუ გაზეთით, როგორც ჩვენ, მოკვდავნი? ანდა სპეციალურ ქაღალდს აძლევენ. (უნდა გამოგიტყდეთ, საბჭოთა ხალხმა არაფერი იცოდა ტუალეტის ქაღალდის არსებობის შესახებ).

დიდი ფიქრის შემდეგ, მივედი იმ დასკვნამდე, რომ ბელადი შოკოლადს რომ ახვევენ, იმ ვერცხლისფერ, ან ოქროსფერ ქაღალდს იყენებს პირად გიგიენისთვის.

ჰოდა, როცა მაინც გარდაიცვალა დიდი ბელადი, რადიოსთან ვიჯექით მთელი ოჯახი, მეგონა ყველაფერი დამთავრდა, დამთავრდა სიცოცხლე, სწავლა (გულის სიღრმეში გამეხარდა) მუშაობა შეწყდება, ცხოვრება შეაჩერებს თავის სვლას, გაზაფხული არასდროს მოვა და საერთოდ ხვალ მზე აღარ ამოვა.

ამოვიდა!

ცხოვრებაც გაგრძელდა. სიყვარულმა არ შეწყვიტა გოგო-ბიჭების ჭკუიდან შეშლა, ბავშვები იბადებოდნენ, ვიღაცას უჭირდა, ვიღაცამ დასაფლავებაზე ხელიც მოითბო – ბელადის ამდენი სურათის დახატვა ხუმრობა საქმეა?! თანაც შავი არშიით. აპრილში მარწყვი გამოჩნდა, ალუჩა. ერთი რუსი პოეტი წერდა გაკვირვებული:

„травы без меня не сохнут,
розы без меня не глохнут".

ბალახიც აბიბინდა, ბელადის გარეშე, ვარდებიც აფრქვევდნენ საოცარ სურნელებას, ბელადის ჩარევის გარეშე.

ჩემთვის კი საუკეთესო ხანა დაიწყო – სიყმაწვილე!

გავა დრო და დაგვავიწყდება ეს აუტანელი ცხრა წელი, გვარებიც დაგვავიწყდება და სახელებიც... ო სიცოცხლე, დიდება შენ მართლმსაჯულებას". – წერს სტურუა.

# რა შედეგს მოიტანს პუტინისა და პოროშენკოს შეხვედრა?

**26 აგვისტოს ბელორუსის დედაქალაქ მინსკში უკრაინა-ევროკავშირი-ევრაზიის სამეულის შეხვედრა დაიწყო. უკრაინის პრეზიდენტ პოროშენკოს თქმით, მინსკში მსოფლიოსა და ევროპის ბედი წყდება. მანვე მოუწოდა შეხვედრის მონაწილეებს, მიიღონ მისი სამშვიდობო გეგმა უკრაინის აღმოსავლეთში არსებული კრიზისის დასარეგულირებლად.**

**თუ რა გეგმაზეა საუბარი და რა ელის ამ შეხვედრის შემდეგ უკრაინას, ამაზე „ალიას“ პოლიტოლოგი სოსო ცინცაძე ესაუბრება:**



– ამ შეხვედრის შემდეგ გარღვევას ნამდვილად არ ველოდები. დღეს რუსეთის გენგეგმა ის არის, რომ როგორმე არ დაუშვას უკრაინის „გადასავლეთება“ და რასაკვირველია, მაციის თანახმად, პენტაგონში განიხილება სამხედრო ოპერაციების ჩატარება, ანუ ჯარების შეყვანა. პირდაპირ რომ ვთქვათ, უკვე მოდიდან გადადის უკრაინის პრობლემა დასავლეთში.

**— ანუ უკრაინა ისევ მთლიანად რუსეთს უვარდება ხახაში?**

– ასე გამოდის... 25 აგვისტოს რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა 2-საათიანი ბრიფინგი გამართა, სადაც საუბარი იყო პუტინის დღევანდელ პოზიციაზე. რაც ილაპარაკა ლავროვმა, იმას გააკეთებს ამ დღეებში პუტინი. ერთი შეხედვით უკრაინაში უნდა გამყარდეს მშვიდობა, მაგრამ პუტინმა სიტუაცია გააჭიანურა, თავისი რუბიკონი მაინც გადალახა ჰუმანიტარული კოლონის შეყვანით, ეს იყო საცდელი ნაბიჯი, თუ რა მოჰყვებოდა დასავლეთის მხრიდან ტვირთების შეტანას. იყო განცხადებები, თუ ამ ტვირთებს წითელი ჯვრისა და უკრაინის მთავრობის თანხმობის გარეშე შეიტანთ, მაშინ ჩვენ ჩავთვლით ღია აგრესიადო, მაგრამ პუტინმა ეს ყველაფერი ფეხებზე დაიკიდა, მერკელს დაურეკა და უთხრა, – საქმის გაჭიანურება აღარ შემიძლია, ხალხი უკვე შიმშილით იხოცებაო. მერკელმა უთხრა, რა ვქნა, თუ ასეა, მაშინ შეიტანეო.

სინამდვილეში რას წარმოადგენს ეს ჰუმანიტარული ტვირთი? რეალობა ასეთია, პუტინს ჰუმანიტარულ ტვირთთან ერთად შეჰყავს ჯარები და შეაქვს იარაღი. ამავე დროს არ დაგვავიწყდეს, რომ პოროშენკომ გააკეთა ძლიერი სვლა, მან დაითხოვა რადა და დანიშნა ახალი არჩევნები. თვითონვე აღიარა, ამ რადაში მე ერთი კანონიც ვერ გამაქვს, აქ სეპარატისტების სპონსორები და მათი გულშემატკივრები სხედანო. პოროშენკოს გეგმა იყო, რომ 24 აგვისტომდე, ანუ უკრაინის დამოუკიდებლობის დღემდე ორი ქალაქი – დონეცკი და ლუგანსკი მაინც უნდა აეღო, მაგრამ არ გამოუვიდა. პირიქით, როგორც კი ეს ჰუმანიტარული ტვირთი შევიდა რუსეთიდან, მეორე დღესვე გააქტიურდნენ სეპარატისტები და სხვა ქალაქებსაც კი შეუტიეს. ეს არ გახლავთ შემთხვევითი ამბავი. თუ ვინმეს ჰგონია, რომ ჯარისკაცები მშივრები იყვნენ, ახლა გაძღნენ და ბრძოლის ხასიათზე დადგნენ, ძალიან ცდება.

**— ბატონო სოსო, უკრაინის ფედერალიზაციაზე საუბარი წამოიწყო ანგელა მერკელმა, ეს ნიშნავს იმას, რომ დასავლეთი ამ აზრზეა?**



– ეს პუტინის სცენარია. ამ შეხვედრას დაესწრო ევროკავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი, კეტრინ ეშტონი და ენერგეტიკის კომისარი, ამათი წინადადებაა, რომ რუსეთმა ენერგეტიკის საკითხი არ გამოიყენოს უკრაინაზე ზეწოლისთვის. გამოიყენებს თუ არა, ეს სულ სხვა ამბავია, ჯერ არ ვიცით. გულახდილად რომ ვთქვათ, დასავლეთისთვის უკრაინა მთავარი პრიორიტეტი აღარ არის. ევროპას ახლა ძალიან რთული პრობლემები აქვს სირიელ მიგრანტებთან დაკავშირებით. ყოველდღე ათასამდე ადამიანი ჩადის იტალიაში და მერე იქიდან ხდება მათი გადანაწილება სხვა ქვეყნებში. აგერ, ზანგი ბიჭი შემოაკვდა პოლიციელს და ამერიკაში ერთი ამბავი ატყდა. ასევე, თავი წამოყვეს სირიასა და ერაყში რადიკალმა ისლამისტებმა, მაგათ წინააღმდეგ საჰაერო დარტყმებმა არ გაამართლა და უახლესი ინფორ-

– ეს თქვა მერკელის ერთ-ერთმა მინისტრმა. რა თქმა უნდა, გერმანია ფედერალიზაციას მხარს დაუჭერს, თავად ეს ქვეყანა მოწყობის ასეთ მოდელზეა გადასული, სხვათა შორის ევროპაში ფედერალიზმი უკვე მოდაშია...

**— ჩვენც ხომ არ შემოგვთავაზებენ აფხაზეთსა და ოსეთთან დაკავშირებით მსგავს მოდელს?**

– ჩვენ არ შემოგვთავაზებენ, რადგან ეს ჩვენთვის იქნება საჩუქარი, გამოდის, აფხაზეთმა და ოსეთმა უარი უნდა თქვან დამოუკიდებლობაზე და რუსეთმა უკან წაიღოს თავისი აღიარება. დღეს ჩვენთვის ეს საოცნებო იქნებოდა, მაგრამ ამას არავინ გვაღირსებს. ამ მოდელზე თავის დროზე შევარდნაძეც კი თითქმის თანახმა იყო. ის ამბობდა, რაც კი მსოფლიოში არსებობს, ყველაზე ფართო ავტონომიას მივცემთო, მაგრამ მაშინ ამაზე არავინ დაფიქრებულა. რუსეთმა ჩვენგან წაიღო მაქსიმუმი და ახლა მინიმუმსაც აღარ დაგვიბრუნებს, ეგ გამორიცხულია.

**— ერთია, გერმანია რას იტყვის, მაგრამ უკრაინა დასთანხმდება ფედერალურ მოწყობაზე?**

– უკრაინისთვის ეს იქნება ყელის გამოჭრა და სიკვდილი, პოროშენკო კარგად ხედავს, რომ დასავლეთის დახმარება არ არის საკმარისი იმისთვის, რომ უკრაინა, როგორც სახელმწიფო, შედგეს. ჩვენც ვამბობთ დღეს, რომ ნატოს სამიტის შემდეგ საქართველო უფრო დაცული იქნებაო, მაგრამ რას ნიშნავს უფრო მეტად დაცულობა? ცნება – „მეტად და ნაკლებად დაცული“ არ არსებობს საერთაშორისო სამართალში, ახლა ჩვენ ვისგან ვართ დაცული? თუ ვამბობთ, რომ ჩვენ ერთი მტერი გვყავს და ეს არის რუსეთი, მაშინ არ ვართ დაცული. ღმერთმა დაგვიფაროს, ომის შემთხვევაში ისევე გარანტირებული გვექნება დამარცხება სამიტის მერე, როგორც დღეს გვაქვს. პოროშენკოს დღეს სჭირდება 20 მილიარდი ევრო ქვეყნის ფეხზე წამოყენებისთვის, მაგრამ 500 მილიონს ითხოვს და ამაზეც ორჭოფულად პასუხობენ, ან მიიღებს და ან – არა. ეუბნებიან, ჯერ რეფორმები უნდა გაატარო, ასე უნდა გააკეთო, ისე უნდა გააკეთოო. პოროშენკო იძახის, რეფორმების დრო აღარ არის, სანამ ამას გავაკეთებ, ხელისუფლებაში აღარ ვიქნებიო. დასავლეთისთვის ესეც არ არის დიდი არგუმენტი, ჩვენ დღეს უკვე შეგვიძლია ვთქვათ, რომ პუტინმა დასავლეთის შემოტევა მოიგერია და თავისი „გაისწორა“...

**— ლუკაშენკო და ნაზარბაევი ამ შეხვედრაში რა როლს ასრულებენ?**

– ესენი არავითარ როლს არ ასრულებენ, ესენი არიან, უბრალოდ, ანტურაჟის როლში, ასე უფრო ადვილი იყო პოროშენკოს ჩაყვანა მინსკში და ასევე, პუტინის ჩასვლაც. როგორც ვიცი, მარტო ჩასვლა პუტინსაც არ უნდოდა. ეს იყო საბაჟო კავშირის წევრთა შეხვედრა, მათ ერთად უნდა დააჯერონ უკრაინა, რომ რუსეთთან და საბაჟო კავშირთან ურთიერთობის გაწყვეტა უკრაინისთვის წამგებიანი იქნება. ასევე, საუბარი იყო დსთ-დან გასვლაზე. პოროშენკომ ჯერ კიდევ საარჩევნო კამპანიის დროს თქვა, როგორც კი პრეზიდენტი გავხდები, უკრაინას დსთ-დან გავიყვანო, მაგრამ ვერ გაიყვანა და პროცედურებიც კი არ დაუწყია.

**— პუტინი ამბობს უკრაინასთან ეკონომიკური კავშირის გაწყვეტის შემდეგ, რუსეთი 100 მილიარდი რუბლით დაზარალდებაო...**

– პუტინი ამბობს, ჩვენ კი დავზარალდებით, მაგრამ უკრაინა საერთოდ დაიშლებაო. ლავროვი ხმამაღლა ლაპარაკობდა, ჩვენი მიზანია, უკრაინა გადავარჩინოთ როგორც სახელმწიფოო, მაგრამ ამ შემთხვევაშიც ცრუობს, პირიქით, რუსეთის მიზანია, უკრაინა რაც შეიძლება ძალიან „დაჩმორდეს“, დაიშალოს და სეპარატიზმი აყვავდეს. საბოლოო ჯამში, ეს ყველაფერი ჩაივლის, დასავლეთის დაპირებებიც აზრს დაკარგავს და უკრაინა მაინც პრორუსულ ქვეყნად დარჩება.

**— ბატონო სოსო, დაბოლოს, ნატოს სამიტისგან, რომელიც 4-5 სექტემბერს იმართება, რას უნდა ველოდოთ?**

– სამიტისგან, რომელიც გიორგი მარგველაშვილის დონეზე იმართება, რას უნდა ველოდოთ?.. მე მგონი, პასუხი ნათელია.

გელა ზედელაშვილი
555 48-48-61

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ქართველი სამხედრო უკრაინაში: „ქართველებს საერთოდ არაფერი გადაუხადეს“



ინტერნეტსივრცეში უკრაინაში მყოფი ქართველის, ე.წ. „დობერმანის“ საუბარი გავრცელდა. ვიდეოჩანაწერი ხაკერულმა ჯგუფმა სახელწოდებით „კიბერბერკუტმა“ გაავრცელა.

ე.წ. „დობერმანი“ „სკაიპის“ საშუალებით მეგობარს ესაუბრება და ამბობს, რომ უკრაინის პრეზიდენტი პეტრო პოროშენკო არმიის დასახმარებლად არაფერს აკეთებს, სამხედრო პირებს კი მინიმალურ თანხებს უხდიან.

„იცი, ბიჭებმა ომისთვის რამდენი აიღეს? 100 დოლარი. ჩვენ, ქართველებს, საერთოდ არ გადაგვიხადეს არაფერი... არმია არ გვყავს, ომში მოხალისეებისგან შემდგარი ბატალიონები მონაწილეობენ. პოროშენკო კი არაფერს აკეთებს“, – ამბობს ქართველი მებრძოლი.

ბატალიონ „დონბასის“ წევრის მტკიცებით, უკრაინის შინაგან საქმეთა მინისტრს არსენ ავაკოვს მისი დაპატიმრება სურს. „დობერმანი“ ამბობს, რომ მის ოჯახს ემუქრებიან, რის გამოც კიევში შვეიცარიის საელჩოსთვის თავშესაფრის თხოვნით მიმართვას აპირებს. (ფრონტნიუსი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## გუდაურსა და ბაკურიანში გათოვლიანებისთვის 9 მლნ დაიხარჯება



ეკონომიკის მინისტრ გიორგი კვირიკაშვილის განცხადებით, მიმდინარე წელს გუდაურსა და ბაკურიანში გათოვლიანებისთვის დაახლოებით 9 მილიონი დაიხარჯება. კურორტებზე ტრასების გათოვლიანების მიმართულებით ინვესტიცია განხორციელდება და დამტკიცდა, რომ ორი წლის განმავლობაში, ჯამში, 25 მლნ ჩაიდება.

„წლევანდელი სათხილამურო სეზონისთვის წამყვანი იტალიური და ავსტრიული კომპანიები დაამონტაჟებენ სათხილამურო ტრასის ნაწილის გათოვლიანების აპარატურას, რომელიც წელსვე ამუშავდება. მომავალი წლისთვის იგეგმება ორი ხელოვნური ტბის აშენება – ერთი გუდაურში და მეორე ბაკურიანში“, – განაცხადა მინისტრმა.

მისივე თქმით, ავსტრიულ და იტალიურ კომპანიებთან ხელშეკრულებას მიმდინარე წლის 30 აგვისტოს მოეწერება ხელი. (ფრონტნიუსი)



# „ჯიპიანი“ მღვდლები

საზოგადოების ფართო წრეებში საკმაოდ აქტიურად განიხილება სასულიერო პირთა ყოფა-ცხოვრებისა და მოქმედებების სხვადასხვა ასპექტები, სადაც ხშირ შემთხვევაში სახალხო აღშფოთებისა და უკმაყოფილების მიზეზი თავად საეკლესიო წარმომადგენელნი არიან, რომელთაც ჯერ კიდევ ვერ გაუცნობიერებიათ ის საკუთარი პასუხისმგებლობა და სულიერი ეტიკეტი, რომელიც მათ თავიანთი ნებით ღვთისგან დაიკისრეს.

საყოველთაო ჭორაობისა და განქიქების ტალღამ აგერ უკვე ქუჩებშიც გადმოინაცვლა და გაჩნდა ისეთი მოწოდების საპროტესტო აქციები, როგორიცაა: „დაგმე ჯიპი“, „მღვდელ-კლაუსი“ და ა.შ. ეს ყოველივე, რაღა თქმა უნდა, მეტწილად მარგინალურ, სარკასტულ და არააკადემიურ სახეს ატარებს, რასაც პირადად მე კატეგორიულად ვემიჯნები, თუმცა ჩემი მოკრძალებული საწუხარის ძირითად სათქმელს ქვემოთ მაინც მოგახსენებთ.

სასულიერო პირების მფლობელობაში არსებულ „ჯიპებთან“ დაკავშირებით ასე ვიტყოდი: თუკი სამთავრობო უწყებებსა და სახელისუფლებო წრეებში, თანამდებობის პირებს დაწესებული აქვთ თანხაზე ლიმიტი და არ ეძლევათ უფლება, რომ გარკვეული ღირებულების ზევით შეფასებული ნივთი თუ საგანი საჩუქრად მიიღონ (შეიწირონ), მიმაჩნია, რომ ასეთივე შეზღუდვა საპატრიარქოს მხრიდან უნდა დაუწესდეთ სასულიერო პირებსაც, რაც წმ. სინოდის დონეზე გადასაწყვეტი საკითხია და არა ქუჩის მომთაბარე აქციებზე გასარჩევი თემა.

გავრცელებულია იმგვარი მიდგომაც, როცა ზოგნი ამბობენ, რომ „მღვდელიც ჩვეულებრივი ადამიანია და მერე რა მოხდაო“. მათ გასაგონად კი ასე უნდა ითქვას: დიახ, ისიც რიგითი ადამიანია, მხოლოდ ბიოანატომიურად და არა ვალდებულებებში. საწყენია, როცა სამღვდელო პირი მხოლოდ შესამოსლით განსხვავდება საერო პირისგან და არა ცხოვრების წესით.

ზოგადად, უნდა აღინიშნოს, რომ მოცემული საკითხი ძალიან რთული და ამავე დროს სენსიტიური პრობლემაა. საგულისხმოა, რომ „ჯიპების“ თემა ორივე მხარეს აკომპლექსებს, როგორც საზოგადოებას, ისე თავად ძვირადღირებული ავტომობილის მომხმარებელ სასულიერო პირსაც. ფსიქოლოგიური თვალსაზრისით ეს სრულიად ლოგიკურია, როდესაც მრევლი, ან უბრალოდ რიგითი ადამიანი წუხს იმის გამო, რომ სამღვდელო დასის წარმომადგენელი ფეშენებელური მანქანით მოძრაობს, ამ დროს კრიტიკისას თუ პროტესტისას, იგულისხმება წმინდა ზნეობრივი და ეთიკური მხარე, რომელიც სინდისზე გადის და არა იურიდიულ ნორმებზე. მოქალაქეობრივი კუთხით, კანონიერია ის, რომ ამა თუ იმ სასულიერო პირს ზეკომფორტული მანქანა ჰყავდეს (იჩუქოს), რადგან კონსტიტუცია ამის უფლებას იძლევა, მაგრამ, თუკი მივუდგებით სარწმუნოებრივ-მორალური რაკურსით, ეს, როგორც მინიმუმ, ძალიან უხერხულია, ხოლო ჩვეულებრივ კი ანგარება და სახმართმოყვარეობაა, მით უფრო იმ ფონზე, როცა მოსახლეობის 65% სიღარიბის ზღვარს მიღმა იმყოფება. მე იმის თქმა მსურს, რომ ასეთ საკითხებს, პირველ რიგში საკუთარი ბუნებითი სჯული, შეგნება, გული და სულიერი სიმწიფე არეგულირებს, ვიდრე იძულება ან საზოგადოებრივი აზრი, რომელსაც, სამწუხაროდ, დიდი ხანია უკვე ნაკლებ ანგარიშს უწევენ სოლიდარობისა თუ თანაგრძნობის კუთხით. საკუთრივ „ჯიპი“ კი არ არის პრობლემა, არამედ ის, რომ მასზე შეხორცებული და მიჯაჭვული დამოკიდებულებით ქრისტეს მოციქულებად მოწოდებული სამღვდელო პირები (არა ყველა, არამედ გარკვეული ნაწილი) უმისოდ „ვერ არსებობენ“. აღარაფერს ვამბობ უპოვარობის აღთქმადადებულ ბერმონაზვნებზე, რომელთაც უქონლობა ევალებათ აღკვეცის დღიდან.

ვფიქრობ, რომ გადამწყვეტი ის კი არ არის, მე რას ვიფიქრებ ფუფუნებასა და განცხრომაში მყოფ სასულიერო პირზე, არამედ მნიშვნელოვანია ის, თუ რას მოუწოდებს წმ. მამათა ღვთივსულიერი განწესება და თავად ეკლესიის ბუნება იერარქებს.

ამრიგად, მე მაინც ვფიქრობ, რომ ეკლესია (იგულისხმება იერარქია) და მისი დასი მოკრძალებული და ღარიბი უნდა იყოს, რადგან მას ყოველივე ამქვეყნიური (ფული, აქსესუარები, საგნები), უბრალოდ, უნდა ამძიმებდეს, თავისუფლებასა და სიხარულს აკარგვინებდეს და ხელს უშლიდეს სხვა უფრო აუცილებელ საზრუნავებში. ასე უფალიც უფრო მოგვხედავდა მოწყალე თვალით, არა სიღარიბის გამო, არამედ იმისთვის, რომ წარმავალს მარადიული ვამჯობინეთ. სხვა მხრივ, მართლმადიდებლობაში არ იქნებოდა ასკეტიზმი ფუძემდებლური ცხოვრების პრინციპად დასახული.

გარკვეულწილად იმ აზრსაც ვიზიარებ, როცა ამბობენ, რომ „ჯიპი“ ჰყავს და ბევრ ადამიანს მაინც ეხმარება სულიერადაც და მატერიალურადაცო, მაგრამ მიმაჩნია, რომ კიდევ უფრო მეტს დაეხმარებოდა, ულტრათანამედროვე და ბოლო მოდელის ზეკომფორტული მანქანა რომ არ ჰყავდეს. ავტომანქანა საჭიროა, მაგრამ არა მაინცდამაინც სუპერგამოშვება.

კონკრეტულად არავის ვგულისხმობდი, ეს ჩემი კერძო შეხედულებაა და პირადად მე ყველა სასულიერო პირს პატივს ვცემ, მაგრამ მჯერა მხოლოდ მათი, ვინც სიტყვას საქმეში ავლენს.

ისე კი, ეკლესიაში გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი და საყურადღებო პრობლემებია (რომელთა გადაჭრაც სასწრაფო ჩარევას საჭიროებს), ვიდრე „ჯიპები“, რადგან მასზე ბევრად უფრო მანკიერი ვნებები არსებობს, რომელიც აღმზრდელობითად დასჯადია და სამკურნალო.

P.S. **აქვე დავსძენდი, რომ ვარ ეკლესიის წევრი, სტიქაროსანი, მედავითნე, სასულიერო სემინარიის კურსდამთავრებული, პროფესიით თეოლოგი და, შესაბამისად, თავისუფალი ვარ პოლიტიკური ანგაჟირების, მარგინალური განწყობებისა თუ მტრული დამოკიდებულებისგან. აგრეთვე, მკაცრად ვემიჯნები კონკრეტული პირების განკითხვას, ლანძღვას, დაცინვასა და მათზე ქირქილს.**




**„სასულიერო პირების მფლობელობაში არსებულ „ჯიპებთან“ დაკავშირებით ასე ვიტყოდი: თუკი სამთავრობო უწყებებსა და სახელისუფლებო წრეებში, თანამდებობის პირებს დაწესებული აქვთ თანხაზე ლიმიტი და არ ეძლევათ უფლება, რომ გარკვეული ღირებულების ზევით შეფასებული ნივთი თუ საგანი საჩუქრად მიიღონ (შეიწირონ), მიმაჩნია, რომ ასეთივე შეზღუდვა საპატრიარქოს მხრიდან უნდა დაუწესდეს სასულიერო პირებსაც, რაც წმ. სინოდის დონეზე გადასაწყვეტი საკითხია და არა ქუჩის მომთაბარე აქციებზე გასარჩევი თემა“**

**გიორგი ტიგინაშვილი** (ივრისპირელი), მწერალი საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის წევრი

*(ივერიონი)*

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## სოფელი მუცოს ელექტრომომარაგების პროექტი იწყება



საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, ენერგეტიკის სამინისტრო დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფელ მუცოში მდინარე მახკოლურაზე 100 კვტ სიმძლავრის მცირე ჰიდროელექტროსადგურისა და შიდა გამანაწილებელი ქსელის მშენებლობისთვის საჭირო საპროექტო და სამშენებლო სამუშაოებს განახორციელებს. პროექტის ღირებულება 500 000 ლარს შეადგენს.

პრემიერ-მინისტრის ინიციატივით, კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო 2014 წლიდან ეროვნული მნიშვნელობის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის ციხე-ნამოსახლარის – მუცოს სრულ რეაბილიტაციას ახორციელებს. (ნიუპოსტი)

## მელნიკოვთან საპროცესო შეთანხმების გაფორმების საკითხი 15 დღეში გადაწყდება




თბილისის საქალაქო სასამართლო 15 დღის ვადაში მიიღებს გადაწყვეტილებას, დაამტკიცებს თუ არა პროკურატურას და ოლეგ მელნიკოვს შორის საპროცესო შეთანხმებას.

მელნიკოვის ადვოკატის, ვარლამ ბელხამიშვილის განცხადებით, იმ შემთხვევაში, თუ სასამართლომ საპროცესო შეთანხმება დაამტკიცა, ოლეგ მელნიკოვი პატიმრობიდან მიმდინარე წლის დეკემბერში განთავისუფლდება. ადვოკატის განმარტებით, საპროცესო შეთანხმება ითვალისწინებს მელნიკოვისთვის 2 წლით თავისუფლების აღკვეთას, რომლის ათვლაც უკრაინაში დაკავების მომენტიდან, 2012 წლის დეკემბრიდან იწყება.

„იმის გამო, რომ საპროცესო შეთანხმება მიღწეულია მხარეთა შორის, გირგვლიანის საქმიდან მელნიკოვის ბრალდების საქმე გამოიყო ცალკე წარმოებად. ახლა უკვე სასამართლომ უნდა დაამტკიცოს ეს საპროცესო შეთანხმება. პროკურატურამ უკვე დააყენა შუამდგომლობა. 15 დღის ვადაში უნდა ჩაინიშნოს სხდომა, სადაც მოსამართლე მიიღებს გადაწყვეტილებას, დაამტკიცოს თუ არა საპროცესო შეთანხმება“, – აღნიშნა ბელხამიშვილმა. (ინტერპრესნიუსი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## საქართველოში ისრაელის საელჩოზე დაგეგმილ ტერაქტზე ახალი დეტალები ქვეყნდება




თურქი სამართალდამცავების დასკვნით, თბილისში 2012 წლის თებერვალში ისრაელის საელჩოზე დაგეგმილ ტერაქტთან ირანის მფარველობის ქვეშ მყოფ ტერორისტულ ორგანიზაციას ჰქონდა კავშირი.

თურქული გამოცემა Today’s Zaman-ის ცნობით, სამწლიანი მუშაობის შედეგად, გამოძიება მივიდა დასკვნამდე, რომ საქართველოში ისრაელის საელჩოზე დაგეგმილ ტერაქტში დაკავშირებულია „ტაჰიდ სალამის“ ქსელი, რომელიც ირანული რევოლუციური გვარდიის კორპუსის სასარგებლოდ მუშაობს.

როგორც თურქული გამოცემა იუწყება, „ტაჰიდ სალამის“ ერთ-ერთმა ლიდერმა, ნასერ გაფარიმ საქმეში მთავარ ეჭვმიტანილს დაავალა თბილისში გამომგზავრება. გამოძიების ინფორმაციით, ნასერ გაფირი სარგებლობდა დიპლომატიური პასპორტით, რომელიც ირანის საკონსულოზე იყო მიერთებული.

ამ დროისთვის გამოძიებას აქვს მტკიცებულებები, რომელიც მოპოვებულია ერთ-ერთი ეჭვმიტანილის ელექტრონული ფოსტიდან. ერთ-ერთი პირი, რომელიც, სავარაუდოდ, ეჭვმიტანილია ამ ტერაქტში, თბილისში შემოვიდა 2011 წლის 2 ნოემბერს და გადმოკვეთა ართვინი-სარფის საზღვარი, ხოლო 2011 წლის 13 ნოემბერს საქართველოდან გავიდა.

2012 წელს საქართველოში მდებარე ისრაელის საელჩოზე აფეთქება მზადდებოდა. საელჩოს თანამშრომელმა რომან ხაჩატურიანმა საკუთარი მანქანის ქვეშ აღმოაჩინა ნაღმი, რის შესახებაც პოლიციას შეატყობინა. ქართველმა სამართალდამცავებმა ასაფეთქებელი მოწყობილობის გაუვნებელყოფა მოახერხეს და ტერაქტი აღკვეთეს. იმავე პერიოდში აფეთქება მოხდა ინდოეთში ისრაელის საელჩოსთან. შედეგად ოთხი ადამიანი დაიჭრა. (ინტერპრესნიუსი)

## თინა ხიდაშელი პრეზიდენტის ქალიშვილს იცავს — „პატივი ეცით ადამიანის პირად ცხოვრებას“...



რამდენიმე ინტერნეტსაიტზე პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილის ქალიშვილის ზღვაზე გადაღებული ფოტოები გავრცელდა. ერთ-ერთმა საიტმა ფოტოები შემდეგი სათაურით გამოაქვეყნა:

„პრეზიდენტ მარგველაშვილის ქალიშვილის ნახევრად შიშველი ფოტოები“.

სტატიას პარლამენტის წევრი თინა ხიდაშელი გამოეხმაურა და შვილებს – სანდრო და გიგა უსუფაშვილებს სოციალური ქსელით მიმართა:

– აი, ამიტომ წაგიყვანეთ ასე შორს, ამ ქაჯებს რომ დავსხლეტოდით. ღმერთო ჩემო, რა საქაჯეთია; „დრონი.გე“, პალტოებით ზღვაზე და საერთოდ, ამ გოგოს თავი რომ დაანებოს ყველამ, არა? სულ მუდამ უხერხულ მდგომარეობაში ვარდებით.

სულ არ ვიცნობ, მაგრამ მშვენიერი, ნათელი ახალგაზრდაა და რაც უკვე გაიბანძეთ თავი, მგონი, საკმარისია თქვენგან. ეს ამბავი ახალი არ არის, ძველია, მაგრამ პატივი ეცით ადამიანის პირად ცხოვრებას, მით უფრო, როცა სათქმელი არაფერი გაქვთ.

*reitingi.ge*

## გოგა ხაჩიძე: „გვმართავს კაცი, რომელსაც არანაირი თანამდებობა არ აქვს“



საპარლამენტო უმცირესობის წევრი გოგა ხაჩიძე „ენ-დი-აი“-ს კვლევის იმ ნაწილს ეხმაურება, სადაც მოსახლეობის 53% არ ამართლებს ივანიშვილის ჩარევას ხელისუფლების გადაწყვეტილებებში.

– „ენ-დი-აი“-ს კვლევამ დაადასტურა, რომ მინიმუმ უცნაური ქვეყანა ვართ.

გვმართავს კაცი, რომელსაც არანაირი თანამდებობა არ აქვს და შესაბამისად, არანაირი ფორმალური პასუხისმგებლობა.

ეგ კიდევ არაფერი, მაგის სახელი და გვარი მაინც ვიცით, უკვე სახეზეც ვცნობთ და ვიცით, სად ცხოვრობს.

ახლა რომ გითხრათ, დღეს, ქვეყანაში, ღარიბაშვილზე გაცილებით მეტი რეალური ძალაუფლება შმაგი კობახიძეს აქვს და ძალიან ბევრ გადაწყვეტილებას სატელეფონო ზარით აღებინებს მოქმედ პრემიერ-მინისტრს-მეთქი, დამიჯერებთ?!..

– რა თქმა უნდა, არა.

– არც კი გაგიგიათ ხო?!

– არა.

– სულ ტყუილად...

„საყვარელი დეიდაშვილი უჩა“, მოგონილია ამასთან შედარებით.

ბიძინა

შმაგი

უჩა

ვაიჰ... – წერს ხაჩიძე „ფეისბუკის“ გვერდზე.

*newposts.ge*

## გია ჯაჯანიძე: „სასქესო ორგანოსაც კი დავიგრძელებ“



ფსიქოლოგის თქმით, ადამიანს გენეტიკა თუ არ მოდგამს, რაც უნდა გაიკეთოს, არაფერი უშველის.

– არც რაიმე პლასტიკური ოპერაცია... 60 წლის მერე კი, რისი საჭიროებაც იქნება. მაგალითად, თუნდაც სასქესო ორგანოსაც კი დავიგრძელებ... ახლა ამაზე ვიღაცები კი იტყვიან, 60 წლის ასაკში რაღად გინდა ეგ ამბავიო, მაგრამ მაინც... რაც უნდა, თქვან... ადრე ჩემს სიდაბლეს საოცრად განვიცდიდი, ვნერვიულობდი და ამან ხელი შეუწყო იმას, რომ ვერანაირად ვერ ავმაღლდი. ახლა კი უკვე არაფერზე ვნერვიულობ, თავს აღარ ვიკლავ. თუ ჩემზე ვინმეს რაიმე კომპრომატი აქვს, ადგეს და ფილარმონიის წინ რომ ეკრანია, იქ გაუშვას, აღარ მადარდებს. ისე, ადამიანს გენეტიკა თუ არ მოგდგამს, რაც უნდა გაიკეთო, არაფერი გიშველის... ის ურჩევნიათ, ყველამ თავის სუნს მიხედოს, თავი მოიწესრიგოს, საზოგადოება რომ არ შეაწუხოს, – აცხადებს ჯაჯანიძე.

*ambebi.ge*

## ნიკა რურუა: „ქველმოქმედების გარეშეც ასეთი საამური სისულელე კარგი რამეა ჩვენნაირი ჩაკომპლექსებული ერისთვის“



კულტურის ყოფილი მინისტრი ნიკა რურუა Ice Bucket Challenge-ის სკეპტიკოსებს „ფეისბუკის“ საშუალებით მიმართავს. რურუას მიაჩნია, რომ ქველმოქმედების გარეშეც კი „ასეთი საამური სისულელის“ ჩადენა ერისთვის, რომელსაც ცივილიზებული სილაღე აკლია, კარგია.

რურუა იმასაც წერს, რომ თანხას wehelp.ge-ზე ჩარიცხავს, რადგან მასაც მიაჩნია, რომ „ყველა გაჭირვებულს უჭირს, მაგრამ ზოგ გაჭირვებულს უფრო მეტად უჭირს“.

– Ice Bucket Challenge-ის სკეპტიკოსებს (ანუ თავზე ყინულიანი წყლის გადასხმის მოწინააღმდეგეებს) ვეტყოდი, რომ ისინი ნამეტანი სერიოზულად იღებენ და უყურებენ საკუთარ მნიშვნელოვან პერსონას და მიმაჩნია, რომ ქველმოქმედების გარეშეც ასეთი საამური სისულელე კარგი რამეა ჩვენნაირი ჩაკომპლექსებული ერისთვის, ვისაც აშკარად აკლია ცივილიზებული სილაღე, რომელიც, ჩემი აზრით, გვჭირდება კიდეც, რადგან სილაღე ერთგვარად განაპირობებს და ეხმარება მხნეობის გამომუშავებას ადამიანებში. მხნეობა კი, დამეთანხმებით, გვაკლია.

რაც შეეხება ქველმოქმედებას – გადავწყვიტე, რომ ჩემი თანხა გადავრიცხო საქართველოს მოქალაქეთა დასახმარებლად (WE HELP-ში) და არა ოკეანის იქით, ვინაიდან ამ შემთხვევაში (ჯორჯ ორუელის არ იყოს) „ყველა გაჭირვებულს უჭირს, მაგრამ ზოგ გაჭირვებულს უფრო მეტად უჭირს“.

ეს ნამდვილად ასეა ჩვენს შემთხვევაში:)“, – წერს რურუა.

*news.ge*

## „პრეზიდენტი მიდის „კაზანტიპზე!“



ამის შესახებ ექსპერტი რომან გოცირიძე სოციალურ ქსელში წერს:

– პრეზიდენტი მიდის „კაზანტიპზე“! ყველა „მონოლითური“ ხელისუფლება ავტორიტარულში გადაგვარდება და როგორც წესი, მერე ამხობენ. კარგია, რომ ჩვენი ხელისუფლება არ არის მთლად ერთსულოვანი. ეული, მაგრამ პოსტის წონიდან გამომდინარე, მაინც მნიშვნელოვანი ფიგურა-პრეზიდენტი ცდილობს, განასახიეროს თანამედროვეობა, მთავრობა-უმრავლესობა კი წარმოჩინდა, როგორც რეტრო. ბოლო პერიოდში პრეზიდენტმა რამდენიმე თამამი ნაბიჯი გადადგა. გადადგამს თუ არა კიდევ ერთს – მოინახულებს თუ არა „კაზანტიპს“. არა მგონია, გამბედაობა ეყოს. ამ წელიწადს! – წერს გოცირიძე.



*pia.ge*

## მარიამ საჯაია: „მართლა კარგი იყო „კაზანტიპი“, არ დამიწყონ ვიღაცებმა, რატომ წახვედი“



დეპუტატი მარიამ საჯაია „კაზანტიპის რესპუბლიკის“ ორგანიზატორებს მადლობას უხდის.

– მართლა კარგი იყო „კაზანტიპი", ბევრი ამბობს, გართობა არ არისო... და ქობულეთში უკეთ ერთობა(?). მუსიკა, აპარატურა, განათება, შოუ, სიტუაცია, ყველაფერი უმაგრესია! ქართველი გოგოებისთვის უფასო.... რაც შეეხება „აღვირახსნილი გარყვნილების“ თემას: აქ ხდება თავისუფლება, არავინ გაძალებს არაფერს და გარყვნილებას ვინ დაგაძალებს,... უსმენ მუსიკას, ცეკვავ, იღებ ენერგიას და გამოსცემ პოზიტივს! ყველაზე მეტად ვისაც უნდა, რომ გარყვნილება ხდებოდეს და აქტიურად ეძებენ, არიან იქ მყოფი ქართველი კაცების ნაწილი,... პლუს ერთი არგუმენტი :))) ქართველი უფროსი ძმა დამპატიჟებდა, მსგავსი ბუდე რომ იყოს?! აქ ხდება თავისუფლება P.S. არ დამიწყონ ვილაცებმა, რატომ წახვედი, რომ გაიგონ, გაგიბაზრონ და ა.შ. Answ: გახსნილობა, გამჭვირვალობა, სიმართლე, პლუს we are young, we love freedom! P.P.S. ორმაგი შოკი იყო ჩვენთვის, რადგან მახსოვს, ჩემს ბავშვობაში რაც იყო განმუხური,... მადლობა! უდიდესი!“, – წერს მარიამ საჯაია „ფეისბუკის“ საკუთარ გვერდზე.

*kvira.ge*

მიხეილ სახვაძე 599 93-28-03



ქმარი ცოლს ეკითხება:
– რას იზამ, თუ დამინახე, როგორ ვკოცნი სხვა ქალს?
– ნუუ... როგორც ერთგული და მოსიყვარულე ცოლი, ხშირად მოგინახულებ ხოლმე... ტრავმატოლოგიურში!..

*****

ცოლ-ქმარი საწოლში წევს. უკვე ღამეა. ცოლი:
– ძვირფასო, გძინავს?
– არა!
– და გინდა?
ქმარი (აღგზნებული ხმით):
– მინდა!!!
– ჰოდა, დაიძინე მერე...

*****

– ქალბატონო, ეს კაბა ძალიან გასუქებთ!
– აგაშენა ღმერთმა! მე კი ყველაფერს შაურმას ვაბრალებდი!..

*****

გამოცდის წინა ღამე. პროფესორის ბინაში ტელეფონის ზარი გაისმის.
გაღიზიანებული, ნამძინარევი ადამიანის ხმა:
– გისმენთ!
– რაო, გძინავს, ხო, შე წამპალო?
– ?!
– ჩვენ კი ვმეცადინეობთ!!!

*****



– რა გემრიელი ხორცია, პირდაპირ პირში დნება!
– ბაბუ, ეს ხომ ნაყინია?!

*****

ავადმყოფი საავადმყოფოს დერეფანში გარბის და მთელი ხმით გაჰყვირის. გზად მთავარი ექიმი შეეჩეხა:
– რა გჭირთ, ასე რატომ ყვირით?
– რატომ და ბრმა ნაწლავის ოპერაცია უნდა გამეკეთებინა, მედდა კი ამბობს: „ასე ძალიან ნუ ნერვიულობთ, ოპერაცია ძალიან მარტივია და ყველაფერი კარგად იქნება“.
– მერე რა არის ამაში გადასარევი – მას თქვენი დამშვიდება სურდა!
– ჰო, მაგრამ ამ სიტყვებით ის ქირურგს მიმართავდა!!!

*****

მამა პატარა ქალიშვილს ეთამაშება. ცოტა ხანში გოგონამ მამას ხელი ჰკრა და მოლუშულმა უთხრა:
– კარგი, გვეყოფა – თავი მტკივა!
მამა ჩამოჯდა, ცოლს შეხედა და:
– ამ სისულელეს ბავშვობიდანვე სწავლობთ, არა?!

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ, დავით ახობაძის ნახატები*

# ჰოლივუდის ვარსკვლავების ყველაზე დიდი და საშინელი საიდუმლოებები



რაღა თქმა უნდა, ცნობილ ადამიანებზე ბევრს ჭორაობენ და უამრავ ბინძურ ტყუილსაც იგონებენ, თუმცა არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ კვამლი ცეცხლის გარეშე არ ჩნდება – არაერთი ვარსკვლავის ცხოვრება მართლაც სავსეა ფათერაკებით, საშინელი სიმართლითა და საიდუმლოებებით...

– სილვესტერ სტალონეს კინოკარიერა პორნოგრაფიით დაიწყო – ამის შესახებ, პრინციპში, მართლაც ყველამ იცის და წარსულს არც თავად სტალონე მალავს. სლაის პირველი პორნოფილმი „კიტისა და სტადის წვეულება“ გახლდათ, რომელშიც მას არა სამსახიობო ოსტატობის, არამედ კამერის წინ სექსის ხელოვნების დემონსტრირება დასჭირდა. პორნოინდუსტრიაში დღეს უკვე ყველასთვის კარგად ნაცნობი მსახიობი თითქმის 10 წელი დარჩა, პირველი სერიოზული როლი, რომელმაც მას დიდი აღიარება მოუტანა, მხატვრულ ფილმ „როკიში“ შეასრულა.



– ჯეკ ნიკოლსონის და რეალურად დედამისი იყო – ეს შოკისმომგვრელი ინფორმაცია ჰოლივუდის ვარსკვლავმა ჟურნალ „თაიმის“ კორესპონდენტისგან მხოლოდ მას შემდეგ შეიტყო, რაც ამ ისტორიის ყველა მონაწილე უკვე გარდაცვლილი იყო, რაღა თქმა უნდა, თავად მსახიობის გარდა.

ჯეკ ნიკოლსონი 1936 წელს დაიბადა, დედამისი ერთ-ერთ ღამის კლუბში სტრიპტიზის მოცეკვავედ მუშაობდა, მამა კი ვაჟის დაბადებამდე ცოტა ხნით ადრე უგზო-უკვლოდ გადაიკარგა. ნიკოლსონის ბებიამ გადაწყვიტა, რომ ბავშვი თავად გაეზარდა და სწორედ ამიტომ, წლების მანძილზე მსახიობს ბებია დედა ეგონა, დედა კი – და.

– მაიკ ტაისონის პრომოუტერს ორი ადამიანი ჰყავს მოკლული – პროფესიონალური კრივის მოყვარულებისთვის დონ კინგის, ლეგენდარული პრომოუტერის სახელი, ალბათ, კარგად არის ცნობილი, რომლის წყალობითაც თავის დროზე მაიკ ტაისონის, ევანდერ ჰოლიფილდისა და ლენოქს ლუისის ვარსკვლავი აკაშკაშდა, თუმცაღა უმრავლესობას არ ეცოდინება დონ კინგის ცხოვრების იმ შავი ლაქების შესახებ, რომელზეც ის, ფაქტობრივად, არასოდეს საუბრობს. საქმე ისაა, რომ ცნობილ პრომოუტერს ორი ადამიანი ჰყავს იმქვეყნად გასტუმრებული. პირველი ეპიზოდი 1954 წელს უკავშირდება, როცა დონ კინგის სახლში მძარცველი შეიპარა. მაშინ სასამართლომ პრომოუტერი გაამართლა, თუმცა 12 წლის შემდეგ მკვლელობისთვის ციხეში ჩაჯდომამ მაინც მოუწია – 1966 წელს კინგმა ცემით მოკლა ადამიანი, რომელსაც მისი 600 დოლარი ემართა.

– ვაინონა რაიდერი ნატურალური ქერა თმის პატრონია – რაღა თქმა უნდა, მსახიობის ამ საიდუმლოს „საშინელებად“ მონათვლა გადამეტებულია, თუმცა ამერიკელების მიერაა რეიტინგი შედგენილი და გადაამლაშეს კიდევ ერთხელ, არა უჭირს. როგორც აღმოჩნდა, გასული საუკუნის 80-90-იანი წლების სექსსიმბოლო ვაინონა რაიდერი სინამდვილეში ქერა ყოფილა, თუმცა ბავშვობიდან გამოყოლილმა კომპლექსებმა მას განსხვავებული იმიჯი შეაქმნევინა.

– ჯანეტ ჯექსონი ქორწინებას 8 წელი მალავდა – თითქოს, ჯექსონების ოჯახი ყოველთვის ყურადღების ცენტრშია, თუმცა ამის მიუხედავად, საიდუმლოების ნაკლებობას ცნობილი შავკანიანი მუსიკოსები მაინც არ უჩივიან. მაგალითად, ჯანეტ ჯექსონი მთელი 8 წელი მალავდა თავისი გათხოვების ფაქტს, რადგან თურმე, მამის ეშინოდა. რეალობას ფარდა მხოლოდ მას შემდეგ აეხადა, რაც მომღერლის მეუღლემ რენე ელიზონდო უმცროსმა განქორწინება მოინდომა და ამის შესახებ ოფიციალური განცხადება გააკეთა.

– შარლიზ ტერონს დედამ მამა თვალწინ მოუკლა – მომხიბვლელ მსახიობს საშინლად არ უყვარს ბავშვობის წლების გახსენება, რომელიც მან სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში გაატარა, რაც, პრინციპში, სავსებით გასაგებია, რადგან აბა, ვის გაუხარდება საკუთარი ოჯახის ძალადობის ფაქტების გამომზეურება? ხმები იმის შესახებ, რომ შარლიზის მამას არაერთხელ ჰყავს ნაცემი თავად მსახიობიც და დედამისიც, დიდი ხანია, ვრცელდება, თუმცა ვერავინ წარმოიდგენდა, რომ ყველაფერი ასე ტრაგიკულად დასრულდებოდა – ერთხელ, როგორღაც თავად ოსკაროსანი მსახიობი გამოტყდა ინტერვიუში, რომ 15 წლის ასაკში მამის სიკვდილის მოწმე გახდა – დედამისს ქმარი შვილისა და საკუთარი თავის დაცვისას შემოაკვდა.

– ტობი მაგუაიერის მამა ბანკებს ძარცვავდა – ტობი მაგუაიერს პოპულარობა სპაიდერმენის როლმა მოუტანა და რა გასაკვირია, რომ ვარსკვლავად ქცეული არასოდეს ამხელდა, ვინ იყვნენ მისი მშობლები? თუმცა ჟურნალისტებმა მსახიობის წარსული მაინც ამოქექეს და დაადგინეს, რომ 1993 წელს მამამისი, ვინსენს მაგუაიერი ციხეში ბანკის ძარცვის გამო გაუმწესებიათ.

– ოპრა უინფრიმ შვილი 14 წლის ასაკში გააჩინა – ამერიკელი მაყურებელი უკვე რამდენიმე ათეული წელია, რაც მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე ცნობილ და მდიდარ ტელეწამყვანს თვალებში შესციცინებენ და მისი ყველაფერი სჯერათ. ოპრა უინფრი თავგამოდებული უფლებათა დამცველიცაა და შეუბღალავი იმიჯითაც სარგებლობს, თუმცა მის რეპუტაციას ჩრდილი მას შემდეგ მაინც მიადგა, რაც ცნობილი გახდა, რომ 13 წლის ასაკში მან საკუთარი დედა გაქურდა და სახლიდან გაიქცა, რამდენიმე თვის შემდეგ კი შვილიც გააჩინა, რომელიც, სამწუხაროდ, მალევე გარდაიცვალა. ყველაზე მეტად საზოგადოება იმ ფაქტმა დაშოკა, რომ ოპრა უინფრიმ არც კი იცოდა, ვინ იყო ბავშვის მამა.



– ვუდი ჰარელსონის მამა ქილერი იყო – ეს შემზარავი საიდუმლო ბევრისთვის საყვარელმა მსახიობმა თავადვე გაამხილა – მამამისი, ჩარლზ ჰარელსონი ხალხს ფულის გამო ხოცავდა. ცნობილია ისიც, რომ ჰოლივუდის ვარსკვლავის მამა კოლორადოს შტატის მკაცრი რეჟიმის კოლონიაში გულის შეტევით გარდაიცვალა...

***zvezdi.ru***

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები...

## ავსტრიელებს სთხოვენ: საცურაო აუზებში წყალს ნუ ყლაპავთო...



ესმით, ბატონო, ამ ევროპელებს ეკონომიურობის აუცილებლობა და ზოგ-ზოგიერთებს კი არ ჰგვანან, ყველაფერი თავაშვებული და დაუფიქრებლები რომ არიან, მაგრამ მაინც გვგონია, რომ ეს კონკრეტული აკრძალვა მაინც ძალიან უცნაურია.

როგორც ირკვევა, ავსტრიის საზოგადოებრივი აუზების ხელმძღვანელობა ქვეყნის მოქალაქეებს სწორედ ეკონომიურობიდან გამომდინარე აუზებში ცურვისას პირის დახურვას და ასე ცურვას სთხოვს, რათა, რაც შეიძლება ნაკლები რაოდენობის წყალი დაიხარჯოს და, შესაბამისად, მომსახურებაზე ნაკლები თანხები გამოიყოს.

აღნიშნული უწყების გამოთვლებით, მხოლოდ ვენაში აუზების სტუმრები ყოველდღიურად 5 ათასამდე ლიტრ წყალს ყლაპავენ. გარდა ამისა, აუზებიდან წყლის გარკვეული ნაწილი მათ საცურაო კოსტიუმებითაც „მიაქვთ“. შესაბამისად, ცურვისა და გაგრილების მსურველებს იმასაც სთხოვენ, რომ აუზში ნეილონის შორტები არ ჩაიცვან, რათა სამოსმა ბევრი წყალი არ შეისრუტოს. სხვათა შორის, სტატისტიკური მონაცემი ამ შემთხვევისთვისაც არსებობს – აუზზე მისული ყოველი ათასი ადამიანი დაახლოებით 2 ათასი ლიტრ წყალს „იპარავს“.

***vesti.ru***

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები...

## მთვრალმა ავსტრალიელმა ნიანგის გაჭენება მოისურვა და...



საბედნიეროდ კი გადარჩა, მაგრამ მაინც სერიოზულად დაშავდა.

როგორც ირკვევა, ტრაგი-კომიკურ-სულელური შემთხვევა ავსტრალიის ქალაქ ბრუმში დაფიქსირდა – 36 წლის მამაკაცს, რომელიც „მაგარ წვიმაში იყო მოყოლილი“ და სახლისკენ „ავტოპილოტით“ მიდიოდა, უეცრად თავში ძალიან ცუდი იდეა მოუვიდა – „ნიანგით თუ არ გავიკატავე, კაცი არ ვიყო მეო“ და უახლოესი პარკისკენ აიღო გეზი.

იქაური მედიის ინფორმაციით, ნასვამი მამაკაცი ნიანგების ვოლიერში გადაძვრა და ერთ-ერთ მოზრდილ მტაცებელს ზურგზე მოახტა.

ახლა, ნიანგი რომ არ დაიჭიხვინებდა და არ გაქუსლავდა, რად უნდა ამას მტკიცება – რეპტილია თავხედ ლოთს ფეხში სწვდა და სერიოზული დაზიანებებიც მიაყენა, თუმცა წამში გამოფხიზლებულმა ცალტვინამ თავის გადარჩენა, საბედნიეროდ, მოახერხა.

ცნობილია, რომ მძიმე ოპერაციის გადატანის შემდეგ, ავსტრალიელი მამაკაცი ნელ-ნელა მომჯობინებისკენ მიდის.

***etotupo.ru***

## დაუბანელი თავი ჯანმრთელობის შენარჩუნებაში დაგეხმარებათ



დიდი ხანია, თავი არ დაგიბანიათ? ჩათვალეთ, რომ ასეთი საქციელით საკუთარი ორგანიზმი ოზონის უარყოფითი ზემოქმედებისგან დაიცავით.

ასეთი დასკვნა ბრიტანელმა მეცნიერებმა გამოიტანეს, რომლებმაც ექსპერიმენტის მოხალისეებს თავი რამდენიმე დღის განმავლობაში არ დააბანინეს და ოზონის ზემოქმედების დონე ამგვარად განსაზღვრეს.

აღმოჩნდა, რომ დაუბანელმა თმამ ოზონის უარყოფით გავლენას, საშუალოდ, 7-ჯერ უფრო მეტი წინააღმდეგობა გაუწია, ვიდრე დაბანილმა.

შეგახსენებთ, რომ ოზონი ტოქსიკური თვისებებით გამოირჩევა. შეუძლია სასუნთქი გზების ლორწოვანას გაღიზიანება და იმ შემთხვევაში, თუკი მისი შემცველობა დასაშვებზე მაღალია, ფილტვებსაც ადვილად აზიანებს.

***myjane.ru***

მიხეილ სახვაძე 599 93-28-03

ავტორი თინა ციბაძე 598 44-31-00



1. საფრანგეთის ჰიმნი
2. მხ/ფ „101 ...“
3. ვირის ნაშიერი
4. ნორვეგიის სანაპირო ყურე
5. სანელებელი ბალახი
6. იაპონური ავტომობილი
7. სამკაული
8. მსახ. ... სარაჯიშვილი
9. ციხე-სიმაგრე დუშეთის რაიონში
10. მსახიობი ბარბარა ...
11. თბილისის გარეუბანი
12. ღვინის პოეტური სახელწოდება
13. საკანი
14. მევიოლინე ... ისაკაძე
15. დედამიწის მოდელი
16. შხამი, ამზადებენ ინდიელები
17. მსახიობი ჯეიმს ...
18. ... ლოიდ ვებერი
19. სამკურნალო მცენარე
20. ცისფერი პიგმენტი
21. სისხლნაკლულობა
22. ... ულენშპიგელი
23. ტენორი ბენიამინო ...
24. კუზიანი
25. სანელებელი
26. ვენეციელი მენავეების სიმღერა
27. პორტუგალიის დედაქალაქი
28. მხატვარი სალვადორ ...
29. „საქორწილო მარშის“ კომპოზიტორი
30. კურდღლის ნაშიერი
31. თოვლის კაცი
32. აგენტი 007
33. მწერალი რედიარდ ...
34. შიფრი, ანუ ...
35. ალამი
36. საკერავი მანქანის დეტალი
37. ცხოველის ბრჭყალი
38. ... არმანდო მარადონა
39. სიყვარულის ღმერთი
40. ძველი ფილმების ჩვენება
41. კომპოზიტორი ზაქარია ...
42. მხ/ფ „... შეუძლიათ ჩაეწერონ“
43. მსახიობი ... თურმანი
44. ცხენის რძის სასმელი
45. ჟელატინიანი ტკბილეული
46. ამერიკული თოჯინა
47. იაპონური მულტიპლიკაცია
48. დაბა სვანეთში
49. ხილი
50. მსახიობი ომარ ...
51. ... წავა და სხვა მოვა
52. გასაღები
53. მზის ამოსვლა
54. სამშენებლო მასალა: წყლის, ცემენტისა და ღორღის ნარევი
55. კუთხის შუაზე გამყოფი ხაზი
56. ქალაქი საფრანგეთში
57. სოუსი ბოსტნეულისათვის
58. „... და ჯულიეტა“
59. მახრჩობელა გველი
60. რაჯ კაპურის ფილმი
61. გიტარის მავთული
62. ტურ ჰეიერდალის ტივი
63. ესპანელი დიდებული
64. თევზსაჭერი გემი
65. რეჟისორი გოდერძი ...
66. ვერცხლისწყლის ნაერთი ლითონთან
67. ცვარი
68. მშენებლის სახაზავი
69. მხ/ფ „ორი ბატონის ...“
70. ოთხიანი ნარდში
71. სილა
72. მსახიობი ... თბილელი
73. მხ/ფ „... და გოგი“
74. ქალაქი შვეიცარიაში
75. ნივთიერების უმცირესი ნაწილაკი
76. სათევზაო ჯოხი
77. მიმართვა ქალისადმი აშშ-ში
78. მსახიობი ... ჭიჭინაძე
79. დანაკარგი
80. ანდამატი
81. თავის ჩონჩხი
82. რეპტილია ზოგადად
83. ზღვა საბერძნეთთან
84. „კარმენის“ კომპოზიტორი
85. ხის ჯიში
86. ლაშქარი
87. მოგზაური ... პოლო
88. ფრანგული მონეტა
89. სახელმწ. ჩრდ. ამერიკაში
90. მსახ. ... ბერიკაშვილი
91. მომლოცველი
92. ... ფონ ბისმარკი
93. ქანდაკება პირამიდებთან
94. ერთგვარი ავიამიზნი
95. სხვა ქვეყანაში შესვლის უფლება
96. მომღერალი ბობ ...
97. ილუზიონისტი დევიდ ...
98. ზღვის ცხოველი ეშვიანი ცხვირით
99. ქიმიური ელემენტი
100. ვინი პუხის ავტორი
101. მხ/ფ „პიერი ... თანამშრომელი“
102. ზღვის ნაწლავღრუიანი ორგანიზმი
103. სასოფლო-სამეურნ. იარაღი
104. პოეტი ვაჟა-...
105. ციტრუსი
106. მსახიობი ჯენიფერ ...
107. თმის მწერი
108. ფეხბურთის „მეფე“
109. მდინარე ჩრდ. ამერიკაში
110. კავშირებითი სიტყვა
111. საერთაშორისო გაერთიანება
112. ქალაქი საქართველოში
113. ... პუგაჩოვა
114. მწვანე ადგილი უდაბნოში
115. მსახიობი რობერტ დე ...
116. ქალაქი ფლორიდაში
117. მუზეუმი მადრიდში
118. მსახ. ... გარდნერი
119. მსახ. ... გოგიაშვილი
120. მხ/ფ „... ხვიტია“
121. ციებ-ცხელება
122. ღრმული ხის ტანში
123. ხერხემლის ძვალი
124. ტელეკომპ.
125. სიმსივნის ფორმა
126. მერიმე, „... ფალკონე“
127. მდინარე გერმანიაში
128. ვირის საპირისპირო ბრძანება
129. წვეტიანი გოდორი
130. ქიმიური ელემენტი
131. ... უდუმაშვილი
132. შუადღის პურის ჭამა
133. მიმართვა ინგლისელი მამაკაცისადმი
134. მსახიობი ალბერტო ...
135. მომღერალი ... მარტინი
136. ერთკუზიანი აქლემი
137. ნაკლი
138. ... ფრეინდლიხი
139. „ქვინი“ ... მერკური
140. ანსამბლი „სტატუს ...“
141. მწერალი ლევან ...
142. თანხმობის ფორმა
143. წყლის მოლუსკი
144. განთიადი

პასუხები: 1. მარსელიეზა; 2. დალმატინელი; 3. მუტრუკი; 4. ფიორდი; 5. ქონდარი; 7. საყურე; 8. ნანული; 9. ანანური; 10. ბრილსკა; 11. ოქროყანა; 12. ნუნუა; 13. დილეგი; 14. ლიანა; 15. გლობუსი; 16. კურარე; 17. კაანი; 18. ენდრიუ; 19. ასკილი; 20. მელანინი; 22. ტილ; 23. ჯილი; 24. ივა; 25. მარილი; 26. ბარკაროლა; 27. ლისაბონი; 28. დალი; 29. მენდელსონი; 30. ბაჭია; 31. იეტი; 32. ბონდი; 33. კიპლინგი; 34. კოდი; 35. დროშა; 36. მაქო; 37. კლანჭი; 38. დიეგო; 39. ამური; 40. რეტროსპექტივა; 41. ფალიაშვილი; 42. მსურველებს; 43. უმა; 44. კუმისი; 45. მარმელადი; 46. ბარბი; 47. ანიმე; 48. მესტია; 49. ატამი; 50. შარიფი; 51. იგი; 52. კლიტე; 53. აისი; 54. ბეტონი; 55. ბისექტრისა; 56. სტრასბურგი; 57. მაიონეზი; 58. რომეო; 59. ბოა; 60. „ავარა“; 61. სიმი; 62. „კონ-ტიკი“; 63. იდალგო; 64. სეინერი; 65. ჩოხელი; 66. ამალგამა; 67. ნამი; 68. გონიო; 69. მსახური; 70. ჩარი; 71. ქვიშა; 72. მარინე; 73. ხარება; 74. ლოზანა; 75. ატომი; 76. ანკესი; 77. მემ; 78. დოდო; 79. ზარალი; 80. მაგნიტი; 81. ქალა; 82. გველი; 83. ეგეოსი; 84. ბიზე; 85. აკაცია; 86. სპა; 87. მარკო; 88. ეკიუ; 89. კანადა; 90. გივი; 91. პილიგრიმი; 92. ოტო; 93. სფინქსი; 94. სურავანდი; 95. ვიზა; 96. მარლი; 97. კოპერფილდი; 98. ნარვალი; 99. ფოსფორი; 100. მილნი; 101. მილიციის; 102. პოლიპი; 103. ცელი; 104. ფშაველა; 105. გრეიპფრუტი; 106. ლოპესი; 107. ტილი; 108. პელე; 109. მისური; 110. რომ; 111. იუნესკო; 112. აბაშა; 113. ალა; 114. ოაზისი; 115. ნირო; 116. მაიამი; 117. პრადო; 118. ავა; 119. ვასო; 120. მაცი; 121. მალარია; 122. ფულურო; 123. მალა; 124. ანძა; 125. მიომა; 126. მატეო; 127. რაინი; 128. მაინა; 129. გიდელი; 130. იოდი; 131. ზაალ; 132. სადილი; 133. სერ; 134. სორდი; 135. რიკი; 136. დრომადერი; 137. ზადი; 138. ალისა; 139. ფრედი; 140. კვო; 141. სანიკიძე; 142. კი; 143. მიდია; 144. ალიონი. იკითხება: სომბრერო.

ნეკროლოგები, განცხადებები, მილოცვები

მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა 12:00-დან 18:00-მდე

ტელ.: 577 99-99-96 (032) 2-333-170; 2-21-21-80 (101);

## დიზაინერმა მოდური სამოსი ბაქტერიისგან „გამოზარდა“




ეს მიღწევაც ბრიტანელების ანგარიშზეა – ლონდონის მოდისა და ტექსტილის სკოლის დიზაინერმა სიუზან ლიმ შექმნა მსოფლიოში პირველი სამოსი, რომელიც ბაქტერიისგანაა მიღებული.

როგორც ირკვევა, უნიკალური მასალის მისაღებად, რომლის სახელწოდებაც „მიკრობული ცელულოზა“ გახლავთ, საჭიროა ერთმანეთში სასმელების ფერმენტაციისთვის განკუთვნილი კოფეინის შემცველი ბაქტერიების, დროჟისა და ტკბილი მწვანე ჩაის შერევა.

თურმე, ასეთ ნაზავში ბაქტერიები საკმაოდ სწრაფი ტემპებით გამრავლებას იწყებენ და შედეგად ქსოვილის თხელ ნაჭრებად ყალიბდებიან.

აი, სწორედ ამ პროცესის დასრულების შემდეგ ხდება შესაძლებელი სამოსის შეკერვა, რაც სიუზან ლის წარმატებით გამოუვიდა.

მისი განმარტებით, როცა მიკრობული ცელულოზა შრება, ის მკვრივდება და პაპირუსს ემსგავსება, რომელიც გადამუშავებას ადვილად ექვემდებარება და შესაძლებელი ხდება შეღებვა, ზედ ნაქარგების დატანა და ასე შემდეგ.



რამდენად იაფფასიანი სიამოვნებაა ბაქტერიებისგან სამოსის დამზადება, სამწუხაროდ, არ ზუსტდება. ასევე, უცნობია, დროის რა მონაკვეთია საჭირო ბაქტერიების ქსოვილად გადაქცევისთვის, თუმცა იმის თქმა კი შეგვიძლია, რომ ამ ახალი ტექნოლოგიის დახვეწისთვის საკმაოდ სოლიდური თანხებია გამოყოფილი.

*myjane.ru*

## სიცხე, ქარიშხლები და წყალდიდობები ჩვეულებრივ კლიმატურ მოვლენად იქცევა?



სხვა გზა აღარ დაგვრჩება და ყველანაირ ბუნებრივ კატაკლიზმას ჩვეულებრივ მოვლენად აღვიქვამთ, როგორც ეს, მაგალითად, ნიავის დაბერვის ან შხაპუნა წვიმის შემთხვევაში ხდება ხოლმე.

რთული დასაჯერებელია, არა? რა გითხრათ, თუკი მოხშირებულ კატასტროფებს გავითვალისწინებთ და ზედ მეცნიერების დასკვნასაც დავამატებთ, უჩვეულო და გასაკვირი საერთოდ აღარაფერი გამოდის.

მეცნიერების განმარტებით, დედამიწას თავისი ბირთვი იმდენად ავარვარებს შიგნიდან, ხოლო სიმხურვალე ისეთი სიხშირით ამოედინება ზედაპირზე, რომ სიცხეები, ხშირი მეწყერები, ქარიშხლები, სეტყვა და კიდევ ათასი უბედურება ანომალიად აღარ შეფასდება და ჩვეულებრივ კლიმატურ მოვლენად იქცევა.



მკვლევარები პროგნოზირებენ იმასაც, რომ ტემპერატურის ზრდასთან ერთად, გაიზრდება წყალდიდობების ხანგრძლივობაც.

– გლობალური დათბობის ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანი ანომალიური კლიმატური პირობების ხანგრძლივობისა და პერიოდულობის ზრდა იქნება, – მიიჩნევენ მეცნიერები.

*tainamira.ru*

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*

## ჰოროსკოპი

**ვერძი 21.03-21.04**
**27 აგვისტო:** დღეს საკმაო ძალა და შესაძლებლობები გექნებათ ნებისმიერი მიზნის მისაღწევად. პრობლემა შეიძლება ის აღმოჩნდეს, რომ მსგავსი სურვილი არ აღმოგაჩნდეთ.

**კურო 22.04-21.05**
**27 აგვისტო:** სრული ბედნიერებისთვის შეიძლება გარშემომყოფთა კეთილგანწყობალა დაგჭირდეთ და მის მოსაპოვებლად ყველაფერი იღონეთ.

**ტყუპები 22.05-21.06**
**27 აგვისტო:** შეეცადეთ, საყოველთაო ყურადღება არ მიიპყროთ, რადგან არსებობს რისკი, რომ თქვენით დაინტერესებულთა შორის ისეთებიც აღმოჩნდნენ, ვის ნახვასაც არ ისურვებდით.

**კირჩხიბი 22.06-22.07**
**27 აგვისტო:** დღეს თითოეული ადამიანი თქვენი მეგობარი იქნება, იმის მიუხედავად, იცნობდით ადრე თუ არა. ასეთ განწყობაზე დიდხანს არ დარჩეთ, ხვალ შეიძლება ყველაფერი შეიცვალოს.

**ლომი 23.07-22.08**
**27 აგვისტო:** თუ ვინმეს რამეს დაჰპირდით, დაპირება დღეს უნდა შეასრულოთ, თუნდაც ეს ძალიან რთული აღმოჩნდეს. ასმაგად დაგიბრუნდებათ.

**ქალწული 23.08-22.09**
**27 აგვისტო:** როგორც ჩანს, დღეს მიზანი საშუალებას გაამართლებს. ბევრი რამ გეპატიებათ, თუკი შედეგს მიაღწევთ, მაგრამ უნდა იჩქაროთ.

**სასწორი 23.09-22.10**
**27 აგვისტო:** თუ რამე საკითხს მარტო ვერ გაუმკლავდებით, დახმარება ითხოვეთ. დღეს გამოვლენილი ნაბისმიერი სახის ზედმეტობა საკმაოდ უსიამოვნო შედეგს მოგიტანთ.

**მორიელი 23.10-21.11**
**27 აგვისტო:** ნებისმიერ კამპანიაში თავს კომფორტულად და რაღაც დიდისა და საჭიროს ნაწილად იგრძნობთ. სიტყვის შემსრულებელი იქნებით, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ დაპირებები უაზროდ ჩამოარიგოთ.

**მშვილდოსანი 22.11-21.12**
**27 აგვისტო:** დილიდანვე თავს რჩეულად იგრძნობთ. შედეგები სხვადასხვაგვარი იქნება, მაგრამ ეს დღე მოსაწყენი ნამდვილად არ იქნება.

**თხის რქა 22.12-19.01**
**27 აგვისტო:** ძალიან მსუბუქი და სასიამოვნო დღე გელით. სიხარულს მოგანიჭებთ თითქმის ყველაფერი – სამსახურიდან დაწყებული, იმ ადამიანებთან ურთიერთობით დამთავრებული, ვინც მაინცდამაინც არ გესიმპათიურებათ.

**მერწყული 20.01-18.02**
**27 აგვისტო:** რაოდენ გლობალური საკითხებითაც არ უნდა იყოთ დაკავებული, წვრილმანებს დიდი ყურადღება მიაქციეთ. ერთი მათგანიც რომ გამოგრჩეთ, ხვალ ის სერიოზულ პრობლემად გექცევათ.

**თევზები 19.02-20.03**
**27 აგვისტო:** სხვათა პრობლემებით თავი არ დაიტვირთოთ, დღეს თქვენიც საკმაოდ გექნებათ. ალტრუიზმის გამოვლენას შემდეგშიც შეძლებთ.

## ტურისტული საგზურის შეძენა გრძელი გვარსახელის გამო ვერ შეძლო



როგორც ჩანს, მაინცდამაინც ჩინელი უნდა იყო და გვარადლი, სუ, ხუ ან ჭუ უნდა გქონდეს მემკვიდრეობით მიღებული, რომ მსოფლიოს სხვადასხვა კურორტზე დასვენება უპრობლემოდ შეძლო. ყოველ შემთხვევაში, სწორედ ასეთი დასკვნის გამოტანა შეიძლება იმ კურიოზული შემთხვევიდან, რომელიც ნისლიან ალბიონზე სულ ახლახან მომხდარა.

თურმე, ბრიტანეთში მცხოვრებ შრი-ლანკელ სტუდენტს არდადეგების კვიპროსში გატარება გადაუწყვეტია და ერთ-ერთი ტურისტი ფირმისთვისაც მიუმართავს, თუმცა რამდენიმე დღეში უარი მიუღია, მიზეზად კი ტურისტულმა ფირმამ ის ფაქტი დაასახელა, რომ სტუდენტის გვარ-სახელი – ჯენიფერ აბეგუნევარდენე სპეციალური ანკეტის ველში არ ეტევაო.

მართალია, სტუდენტს წინასწარ გადახდილი თანხა უკან დაუბრუნდა, თუმცა ის სასამართლოში ჩივილს მაინც აპირებს, რათა როგორმე დიდი ხნის ოცნება აიხდინოს და კვიპროსზე გაემგზავროს.

*mainfun.ru*

## პოლიციისა და სამხედროების დასაცავად „ტყვიაგაუმტარი კრემი“ გამოიგონეს



ბრიტანელმა მეცნიერებმა ნივთიერება შექმნეს, რომელსაც ჯავშანჟილეტების გამძლეობას პრინციპულად გააუმჯობესებს და შესაბამისად, ადამიანების სიცოცხლის დაცვაც უკეთ მოხდება.

როგორც ირკვევა, სითხეს „ტყვიაგაუმტარი კრემი“ ეწოდება, რომელიც ტყვიის მოხვედრისთანავე მაგრდება და მის ენერგიას, ფაქტობრივად, მთლიანად ამცირებს.

უნიკალური ტექნოლოგია ბრიტანული კომპანია „ბეი სისტემსის“ სპეციალისტებმა შექმნეს, რომლებიც მხოლოდ იმას ამხელენ, რომ მათი ნივთიერება ახლად აღმოჩენილი ქიმიური ფორმულის მიხედვითაა მომზადებული, რომელიც ფირმის საიდუმლოა და საზოგადოება ვერასოდეს გაიგებს.

ახალი ტექნოლოგიის გამოყენებით მომზადებულმა ჯავშანჟილეტმა გამოცდები უკვე წარმატებით ჩააბარა და სავარაუდოდ, ამიერიდან მისი სერიული წარმოებაც დაიწყება.

*fatroom.ru*

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*



ვენეროლოგის კაბინეტში:

– ექიმო, თქვენთან მოსვლა ერთმა ჩემმა კარგმა ნაცნობმა მირჩია და...

– გასაგებია! აბა, ჩაიწიეთ შარვალი და მიჩვენეთ ეს თქვენი კარგი ნაცნობი...

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ, დავით ახობაძის ნახატი*

შ.პ.ს. „გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“

ალია ≫ 211359457 კვირის ქრონიკა

დამფუძნებელი გიორგი ბრეგვაძე

რედაქტორი: თამაზ ბესტავაშვილი
(577-74 99 89) 2212180 პირადი (112)

ოფისმენეჯერი – ტატა ბრეგვაძე
(032) 2-333-170; 2-21-21-80 (101); 577 99-99-96

გაზეთის დისტრიბუციის მენეჯერი
ილია ჭაჭვაძე (599 55-45-22)

კომპიუტერული ცენტრის დირექტორი
ლევან ბანეთიშვილი

**გაზეთ „ალიაში“** გამოქვეყნებულ სტატიებზე **საავტორო ქონებრივი უფლების მფლობელია გაზეთის რედაქცია.** მესამე პირების მიერ მისი გამოყენება აკრძალულია და, შესაბამისად, მისი გამოყენების/გავრცელების შემთხვევაში ამოქმედდება კანონმდებლობით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციები, **„საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 59-ე მუხლი.**

სარეკლამო სამსახური
☎ 2-333-170
577-444-442
მიხეილ სახვაძე
221 21 80
(შიდა ნომერი 108)
E-mail: reklama@alia.ge
®-ით, ან ⬭-ით გასული მასალები დაფინანსებულია შემკვეთის მიერ და სარგებლობს რეკლამის უფლებით. სარეკლამო მასალებში მოყვანილ ფაქტებზე რედაქცია პასუხს არ აგებს.

ISSN 2298-0008
UDC (UAK) 070.4 (479.22) ა-49

რედაქციის მისამართი: აკადემქალაქი, I კვარტალი 30-4 კორპ. I სართული (ალექსიძის ქუჩა)
☎ 2333-170; Fax: 2330-500, E-mail:
alia@alia.ge

გაზეთი დასაბეჭდად ხელმოწერილია 03.50